

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, № 10

შ რ ო მ ი თ ი

დ ა ვ ე ბ ი

1. დეკრეტული შვებულების თანხის ანაზღაურება
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება
 - დისციპლინური გადაცდომა
 - დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების საფუძველები
 - სამსახურებრივი შეუსაბამობა
 - სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის (უხეში) დარღვევის გამო
 - სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო
 - სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურში 4 თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის გამო
3. სამუშაოზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

1. დეკრეტული შვებულების თანხის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1106-1068(კ-08)

10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

2007 წლის 27 ივლისს თ. ს-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა დეკრეტული შვებულების თანხის -600 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე არის საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის მსახიობი. 2005 წლის 26 მაისს საკეისრო კვეთით შეეძინა პირველი შვილი -ი. ჩ-შვილი, 2006 წლის 14 ოქტომბერს ასევე საკეისრო კვეთით შეეძინა მეორე შვილი -ლ. ჩ-შვილი. მეორე შვილის დაბადების ჩათვლით იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. კუთვნილი დეკრეტული შვებულების თანხის მისაღებად 6-თვიან ვადაში ვერ მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, რადგან მშობიარობას მოჰყვა გართულებები, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, მეუღლე 2007 წლის დასაწყისში იმყოფებოდა მივლინებაში საზღვარგარეთ. კუთვნილი თანხის მისაღებად 2007 წლის ივნისში მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, მაგრამ უარი ეთქვა თანხის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ გაშვებული ჰქონდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესით" განსაზღვრული 6-თვიანი ვადა.

თ. ს-მის სარჩელი არ ცნო მოპასუხე სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელმა და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ს-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის 2007 წლის 15 ივნისის №182 წერილის თანახმად, თ. ს-მე 2006 წლის 9 აგვისტოდან 12 დეკემბრის ჩათვლით იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში და შრომისუუნარობის ფურცლის თანახმად, მისი სახელფასო განაკვეთი შეადგენდა 170 ლარს. შპს №1 ქალთა კონსულტაციის მიერ, 2006 წლის 8 ივნისის საავადმყოფო ფურცლის თანახმად, სადეკრეტო შვებულების გამო თ. ს-მე სამუშაოდან გათავისუფლებული იყო 2006 წლის 9 ივნისიდან 2006 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ს-მეს განაცხადი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებელი დახმარების დაფინანსების შესახებ შედგენილია 2007 წლის 11 ივნისს, დამსაქმებელმა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დეკრეტული შვებულების ანაზღაურების შესახებ წერილობითი მოთხოვნით მიმართა 2006 წლის 21 ივნისს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2007 წლის 28 ივნისის წერილით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის დროისათვის გასული იყო ექვსი თვე, რაც ეფუძნებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანების ნორმებს.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სწორად ეთქვა უარი ერთჯერადი დახმარების ანაზღაურებაზე, რადგან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის" 10.1 მუხლის შესაბამისად, დასაქმებული/მოსამსახურე დახმარების/კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელსა და მის ასლს წარუდგენს დამსაქმე-

ბელს/დაწესებულებას და ითხოვს მისგან ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, რის შემდგომაც დამსაქმებელი/დაწესებულება ავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს და წერილობით მიმართავს დამსაქმებლის/დაწესებულების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ფონდის შესაბამის ფილიალს. ამავე წესის 10.7 მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება საავადმყოფო ფურცლის ფონდში წარდგენის შემთხვევაში, მისი დახურვიდან 6 თვის შემდეგ.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო შემთხვევაში საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისადმი მიმართვა უნდა განხორციელებულიყო საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან -2006 წლის 12 დეკემბრიდან ექვსი თვის ვადაში -2007 წლის 12 ივნისამდე დროის შუალედში. კონკრეტულ შემთხვევაში კი, მოთხოვნა მოპასუხეს წარედგინა 2007 წლის 21 ივნისს, ექვსი თვის ვადის დარღვევით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება კონკრეტულ შემთხვევაზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გავრცელების შესახებ, რადგან სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სადავო ურთიერთობა კი არსით საჯარო-სამართლებრივია, რადგან სახელმწიფო თავისი ერთ-ერთი დაწესებულების (სააგენტოს) მეშვეობით უზრუნველყოფს კონკრეტული შინაარსის სოციალური გარანტიების რეალიზებას საჯარო სამართლის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის" საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-მემ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით:

აპელანტმა უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ მოახერხა საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან ექვსი თვის განმავლობაში დოკუმენტების წარდგენა სოციალური დაზღვევის ფონდში, თუმცა საავადმყოფო ფურცელი აიღო 2007 წლის 8 ივნისს, მისი მიღების ვადა იყო 2007 წლის 12 ივნისამდე.

აპელანტმა მიიჩნია, რომ მის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესი". სასამართლომ არ იმსჯელა, რომ მითითებულ ბრძანებაში ცვლილებების განხორციელებამდე -2006 წლის აგვისტომდე იყო გასული დეკრეტულ შვებულებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით თ. ს-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, თ. ს-მე 2006 წლის 9 აგვისტოდან 12 დეკემბრის ჩათვლით იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. სადეკრეტო შვებულების გამო სამუშაოდან გათავისუფლდა 2006 წლის 9 ივნისიდან 2006 წლის 12 დეკემბრამდე. განაცხადი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ასანაზღაურებელი დაფინანსების შესახებ თ. ს-მის მიერ შედგენილია 2007 წლის 11 ივნისს, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დეკრეტული შვებულების ანაზღაურების შესახებ წერილობით მიმართა 2006 წლის 21 ივნისს, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვამდე ექვსთვიანი ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის" 10.7 მუხლის შესაბამისად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება საავადმყოფო ფურცლის ფონდში წარდგენის შემთხვევაში, მისი დახურვიდან 6 თვის შემდეგ. მოსარჩელეს კი მოთხოვნა წარდგენილი ჰქონდა ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საქალაქო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით ვერ იქნება გამოყენებული სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-მემ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესი", რადგან საქართველოს შრომის კოდექსით 6-თვიანი ვადა დადგენილი არ არის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანების გამოცემამდე, 2005 წლის მარტიდან თ. ს-მე იმყოფებოდა სამწლიან დეკრეტულ შვებულებაში, რის გამოც მითითებული ბრძანებით განსაზღვრული 6-თვიანი ვადა მასზე არ უნდა გავრცელებულიყო.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი თ. ს-მის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა თ. ს-მემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს, მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა არ ცნო თ. ს-მის საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ს-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, თ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს, მოჰასუსხეს -სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს თ. ს-მის დეკრეტული შვებულების თანხის -600 ლარის ანაზღაურება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. "ე" მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თ. ს-მის მიერ სსსკ-ის 407.2 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილია დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის 2007 წლის 15 ივნისის №182 წერილის თანახმად, თ. ს-მე 2006 წლის 9 აგვისტოდან 12 დეკემბრის ჩათვლით იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში და შრომისუუნარობის ფურცლის თანახმად, მისი სახელფასო განაკვეთი შეადგენდა 170 ლარს. შპს №1 ქალთა კონსულტაციის მიერ 2006 წლის 8 ივნისის საავადმყოფო ფურცლის თანახმად, სადეკრეტო შვებულების გამო თ. ს-მე სამუშაოდან გათავისუფლებული იყო 2006 წლის 9 ივნისიდან 2006 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით. მისი განაცხადი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო ასანაზღაურებელი დახმარების დაფინანსების შესახებ შედგენილია 2007 წლის 11 ივნისს, დამსაქმებელმა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დეკრეტული შვებულების ანაზღაურების შესახებ წერილობითი მოთხოვნით მიმართა 2006 წლის 21 ივნისს. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდის 2007 წლის 28 ივნისის წერილით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის დროისათვის გასული იყო ექვსი თვე, რაც ეფუძნებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანების ნორმებს.

საკასაციო სასამართლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული "ორსულობის, მშობიარობისა

და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის” 10.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დასაქმებული/მოსამსახურე დახმარების/კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელსა და მის ასლს წარუდგენს დამსაქმებელს/დაწესებულებას და ითხოვს მისგან ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი/დაწესებულება ავებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის/მოსამსახურის პირადობის მოწმობის ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებლის/დაწესებულების იურიდიული მისამართის/ადგილსამყოფლის მიხედვით სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში. ამავე წესის 10.7 მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება საავადმყოფო ფურცლის დახურვის, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ დარღვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის” 10.7 მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა, რამდენადაც, სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ, ს.ფ. 4–ზე მდებარე საავადმყოფო ფურცლის თანახმად, მოსარჩელე დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა 2006 წლის 9 ივნისიდან იმავე წლის 12 დეკემბრის ჩათვლით; საავადმყოფო ფურცელი გაიცა 2006 წლის 8 ივნისს, ხოლო საავადმყოფო ფურცელი სადეკრეტო შვებულების შესახებ დაიხურა 2006 წლის 12 დეკემბერს საქმეში არსებული თ. ს–მის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილთა შვილად აყვანის გამო ასანაზღაურებელი დახმარების დაფინანსების განაცხადის თანახმად, თ. ს–მემ განაცხადი დამსაქმებელთან წარუდგინა 2007 წლის 11 ივნისს, მაშინ, როცა საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან განაცხადის წარდგენამდე ექვსი თვე იწურებოდა 12 ივნისს, ანუ მოსარჩელემ უფლების რეალიზაცია დამსაქმებელთან მოახდინა ნორმატიული აქტით დადგენილ 6 თვიან ვადაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ის გარემოება, რომ დამსაქმებლის ვალდებულება –წარდგენილი განაცხადი გადაეგზავნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, შესრულდა 2006 წლის 21 ივნისს, ვერ გახდება წინაპირობა, მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლოდ მიჩნევისათვის, რამდენადაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის” 10.7 მუხლით დადგენილია დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ზოგადი ხანდაზმულობის ვადა –6 თვე, თუმცა არ არის ცალსახა მითითება, რომ დამსაქმებლის მიერ სწორედ 6–თვიან ვადაში უნდა მოხდეს განაცხადის ფონდისათვის გადაგზავნა, რაც უნდა განიმარტოს შემდეგნაირად, რომ დასაქმებულის მიერ განაცხადის წარდგენა დამსაქმებელთან 6 თვიან ვადაში (რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა) ნიშნავს, რომ მან უზრუნველყო უფლების რეალიზაცია კანონით დადგენილ ვადაში. მეტიც, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის” 6. “გ” მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულზე/მოსამსახურეზე შევსებული საავადმყოფო ფურცელი ან ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში კანონის ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. ამასთან, დასაქმებულისათვის/მოსამსახურისათვის დახმარების ან კომპენსაციის მიღების უზრუნველსაყოფად დასაქმებული/დაწესებულება ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარუდგინოს დაფინანსების განაცხადი, ანუ სწორედ დამსაქმებლის ვალდებულებას წარმოადგენს განაცხადის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გადაგზავნა. ამასთან, ნორმატიული აქტით არ არის დადგენილი დასაქმებულის არათუ ვალდებულება, არამედ უფლებამოსილება, განაცხადი თავად წარუდგინოს უშუალოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს, აგრეთვე, არ არის განსაზღვრული, რომ დამსაქმებლის მიერ განაცხადის ფონდისათვის გადაგზავნის ვადის დარღვევის შემთხვევაში, დასაქმებულის დეკრეტული შვებულება არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/5 ბრძანებით დამტკიცებული “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის” 10.1 მუხლის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, დასაქმებული/მოსამსახურე დახმარების/კომ-

პენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელს და მის ასლს წარუდგენდა დამსაქმებელს/დაწესებულებას და ითხოვდა მისგან ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, რის შემდგომაც დამსაქმებელი/დაწესებულება ავსებდა საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს და წერილობით მიმართავდა დამსაქმებლის/დაწესებულების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ფონდის შესაბამის ფილიალს. 2007 წლის 27 ივნისს განხორციელებული ცვლილებით მითითებული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, რომ: დასაქმებული/მოსამსახურე დახმარების/კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელსა და მის ასლს წარუდგენს დამსაქმებელს/დაწესებულებას და ითხოვს მისგან ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი/დაწესებულება ავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის/მოსამსახურის პირადობის მოწმობის ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებლის/დაწესებულების იურიდიული მისამართის/ადგილსამყოფლის მიხედვით სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებულ პუნქტში 2007 წლის 27 ივნისს განხორციელებული ცვლილება ვერ გავრცელდება მოსარჩელის მიმართ, რამდენადაც მოსარჩელემ უფლების რეალიზაცია მოახდინა 2006 წელს /ცვლილების შეტანამდე/ მოქმედი კანონქვემდებარე აქტის მოქმედების პერიოდში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა დაეკისროს თ. ს-მის სასარგებლოდ დეკრეტული შვებულების თანხის 600 ლარის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2. მუხლის საფუძველზე, სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ს-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხეს –სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს თ. ს-მისათვის დეკრეტული შვებულების თანხის –600 ლარის ანაზღაურება;
5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება

დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-631-599(კ-09)

23 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 24 დეკემბერს ნ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხის -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007/კ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ სამინისტროში დაიკავა დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა. დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა კეთილსინდისიერად.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2004 წლის 10 დეკემბერს ჩაჰბარდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007/კ ბრძანება, უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანის თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ბრძანება მისთვის მოულოდნელი იყო, ვინაიდან მოსარჩელისათვის არ უცნობებიათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ზაკ-ის 95-ე მუხლის შესაბამისად, რადგან ბრძანებით უარესდებოდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა. ზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ იქნება გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007კ ბრძანება არ შეესაბამება ზაკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად, თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისამართი და საჩივრის წარმოდგენის ვადა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელო ითხოვდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007კ ბრძანების ბათილად ცნობას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ნ. გ-შვილის სასარჩელო განცხადება საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს.

მოპასუხის წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-შვილის მიერ არაერთგზის იქნა უგულვებელყოფილი სამსახურებრივი მოვალეობები. მთავარი სპეციალისტი ნ. გ-შვილი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ორგანიზებული პროგრამების ყოველ მეცადინეობას ესწრებოდა, მათ შორის, იმ პერიოდშიც, როდესაც შრომისუნარობის გამო არ ცხადდებოდა სამსახურში. ასევე დადგინდა, რომ მთავარი სპეციალისტი ნ. გ-შვილი სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებდა არაჯეროვნად და ზერეულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მთავარი სპეციალისტის ქმედებები დაკვალიფიცირდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, რის გამოც საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად,

ნ. გ-შვილი სამი თვის ვადით გადაყვანილ იქნა დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ხდებოდა ბრალეულად და არაჯეროდან, შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნისას მოსარჩელე მონაწილეობდა ტრენინგებში და ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიმართ გააჩნდა ზერელე დამოკიდებულება. მოსარჩელის განმარტება, რომ იმყოფებოდა ამბულატორიულ მკურნალობაზე და შეეძლო პერიოდულად გადაადგილება და შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნისას ტრენინგებში მონაწილეობის მიღება, სასამართლომ არ გაიზიარა. მართალია, შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნა არ ნიშნავს პირის უუნარობას და მას შესაძლებელია შეეძლოს გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ შრომისუუნარობის ფურცელი, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 89-ე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, სასამართლოს მითითებით, სამსახურებრივ ურთიერთობათა შეჩერების საფუძველია, რასაც თავისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №10073 ბრძანება ადმინისტრაციული აქტია და ამდენად, სამინისტრო ვალდებული იყო, დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება და ბრძანება ბათილად ეცნო ზაკ-ის მე-60 და ასკ-ის 32-ე მუხლების თანახმად და მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამსახურში მიღების ან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არის ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად მიმართულია საჯარო შრომითი ურთიერთობის წამოშობის ან შეწყვეტისაკენ. ამდენად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებისა და სამსახურში მიღების ბრძანება ადმინისტრაციული გარიგების დადებისაკენ მიმართული მოთხოვნებია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ურთიერთობას წარმოადგენს ადმინისტრაციული გარიგება, ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის საჯარო შრომითი ურთიერთობა, ხოლო დავის საგანს ადმინისტრაციული გარიგების დადება. მართალია, მინისტრის ბრძანება ზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის ყველა ელემენტს შეიცავს, რომ ბრძანება, გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი ხასიათისაა, მაგრამ, ვინაიდან ბრძანება ეხება შრომით სამართლებრივ ურთიერთობას, წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ აქტს არამედ დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისკენ და ზაკ-ის მეხუთე თავის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მინისტრის ბრძანება შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ეხება და სწორედ აღნიშნულის გამო, სარჩელის განხილვა ექვემდებარება ასკ-ის მეორე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით განსჯად ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. ზაკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლის ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ამდენად, მოსარჩელის არგუმენტი, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №10073 ბრძანების გამოცემისას დარღვეულია ზაკ-ის 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ასევე 95-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები, არამართებულია. ზაკ-ის 53-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის მტკიცებულებათა დასაბუთებისათვის მათ შემდგომ შესწავლასა და გამოკვლევას. 95-ე მუხლით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაში დაინტერესებული პირის მონაწილეობა. მოსარჩელის მიმართ დისციპლინური გადაცდომის გამო სამინისტროს მიერ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - სამი თვის ვადით ჩამოქვეითება, რაც ადმინისტრაციულ აქტად ვერ მიიჩნევა, ამდენად სამინისტრო ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ადმინისტრაციულ წარმოებას ვერ დაიწყებდა მოცემული საკითხის გადასაწყვეტად. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობანი, რაც არ წესრიგდება ამ კანონით, რეგულირდება შესაბამისი ნორმებით.

ვინაიდან საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ არეგულირებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის მიმართ წერლობითი ახსნა-განმარტების ჩამორთმევას, აღნიშნული საკითხი მოწესრიგდა შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური სახდელის დადებად, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

საქმეზე დართული მტკიცებულებების თანახმად, მოსარჩელეს 2004 წლის 6 დეკემბერს გაეგზავნა სამსახურებრივი ბარათი, სადაც განემარტა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესახებ და მოეთხოვა დისციპლინურ დარღვევაზე ახსნა-განმარტება, მოსარჩელის მიერ აღნიშნულ დარღვევაზე წარმოდგენილ იქნა 2004 წლის 7 დეკემბრის განცხადება. ამდენად, მოპასუხის მიერ დაცულია შკკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.

ამავე კოდექსის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება იყოს უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა, არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზაკ-ის მე-60 მუხლი აწესრიგებს მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის და არა ადმინისტრაციული გარიგების ბათილად გამოცხადებას. ამდენად, მოსარჩელის მიმართ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის 1007/კ ბრძანების -სამი თვის ვადით დაგებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, ბათილად ცნობა დაუშვებელია ზაკ-ის მე-60 მუხლისა და ასკ-ის 32-ე მუხლის გამოყენებით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შილმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, "ადმინისტრაციული ორგანო უფლებმოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. გასაჩივრებული ბრძანების შემთხვევაში კი დარღვეულია აღნიშნული ნორმა, გადაწყვეტილება მიღებულია ისე, რომ არ იქნა შესწავლილი ის გარემოებები, ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №2004/კ ბრძანება არ არის ადმინისტრაციული აქტი და იგი წარმოადგენს გარიგებას.

ადმინისტრაციული გარიგების დეფინიცია კი მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციული გარიგების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები. გასაჩივრებული ბრძანებით მისი ქმედებები კვალიფიცირებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დაედო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი კი მიეკუთვნება არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანებაც ადმინისტრაციული აქტია.

აპელანტის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, მინისტრის ბრძანება, რომლითაც საჯარო მოხელეს დაეკისრა დისციპლინური სასჯელი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტია თუ ადმინისტრაციული გარიგება.

ასევე არამართებულია გასაჩივრებულ ბრძანებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტზე მითითება, ვინაიდან მოპასუხეს არ წარმოუდგენია არც ერთი მის მიერ კანონის დარღვევით შესრულებული წერილი ან შეუსრულებელი სამუშაოს დამადასტურებელი მტკიცებულება.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მისთვის უნდა ეცნობებინათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის ფორმას. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007/კ ბრძანების რეკვიზიტები არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმადაც თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტით გასაჩივრება. მისი მისამართი და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007/კ ბრძანება; აღნიშნულ სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ სათანადო სამედიცინო დოკუმენტით დადასტურებული მუშაკის დროებითი შრომისუუნარობა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს, მაგრამ იგი არ ავალდებულებს პირს, შეწყვიტოს სხვა სახის საქმიანობა, თუ ამის ობიექტური შესაძლებლობა მას აქვს.

შესაბამისად, მისი დაავადების ხასიათიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მიერ დროებითი შრომისუუნარობის დროს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ შრომით ხანმოკლე ხანგრძლივობის ღონისძიებებზე დასწრების, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად და ზერელედ შეფასება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ზემოაღნიშნული შედარების ილუსტრაციას არ წარმოადგენს მტკიცებულების სახით საქმეზე თანდართული ნ. გ-შვილის მიერ შედგენილი სამსახურებრივი მნიშვნელობის წერილები. მათი უმრავლესობა ხელმოუწერელია და შეუძლებელია ავტორის დადგენა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ნ. გ-შვილს დისციპლინური სასჯელი არ დასდებია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ტრენინგებზე მონაწილეობის გამო. ნ. გ-შვილი არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდა სამსახურში გამოცხადებას, რადგან, როგორც ფაქტობრივად დადასტურდა, მისი ჯანმრთელობის გაუარესება (რომელიც მან დაამტკიცა იმით, რომ წარმოადგინა საავადმყოფო ფურცელი), სრულიადაც არ უშლიდა ხელს ისეთივე გონების მობილიზების საჭიროების მქონე სამუშაოს შესრულებაში მიეღო მონაწილეობა სამინისტროში, როგორი წარმატებითაც ამას აკეთებდა ტრენინგებზე. თუმცა, ეს არ იყო არც ერთ-ერთი და არც ერთადერთი საფუძველი მის მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენებისა, ამის ვარაუდის საფუძველს არ იძლევა თვით გასაჩივრებული ბრძანების ტექსტი.

სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007კ ბრძანების კანონიერება. ბრძანების კანონიერების შემოწმება შესაძლებელია შემდეგი გზით – შემოწმდეს რამდენად დაკულია მისი მომზადებისა და გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და რამდენად ამყარებს ბრძანებით მიღებულ გადაწყვეტილებას მასთან დაკავშირებული და მასში გადმოცემული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რაზედაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. სასამართლომ იმსჯელა იმ გარემოებებზე, რომლებიც არ დასდებია საფუძვლად ნ. გ-შვილის მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენებას და არ შეუფასებია ის მტკიცებულებები, რომლებიც გახდა მისი დასჯის საფუძველი.

კასატორის მითითებით, ნ. გ-შვილმა სასამართლოს ვერ წარუდგინა ვერც ერთი მტკიცებულება ან ახსნა-განმარტება მის მიერ შესრულებული სამუშაოების არაჯეროვნების გასაქარწყლებლად. ნ. გ-შვილის მიერ განხორციელებული ქმედებები მინისტრის ბრძანებით შეფასდა, როგორც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება. სასამართლომ ვერ წარმოადგინა სათანადო მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რატომ არ არის აღნიშნული სამართლებრივი შეფასება – ნ. გ-შვილის ქმედების კვალიფიცირება სწორი და რით დასტურდება, რომ ნ. გ-შვილი ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენით სამსახურებრივ მოვალეობებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებდა. ნ. გ-შვილი წარმოადგენდა მთავარ სპეციალისტს, რომლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრული იყო მისი სამუშაო აღწერილობით და სამინისტროს შინაგანაწესით. მის მიერ დაკისრებული მოვალეობების ხარისხიანად შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მისი უშუალო უფროსი. მის მიერ შესრულებული სამუშაო იყო არასათანადო პასუხისმგებლობით შესრულებული, პერმანენტული შეცდომებით.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა ფაქტობრივად დადასტურებული გარემოებები სამინისტროს მხრიდან ნ. გ-შვილისათვის "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლო-

ბის ზომის შეფარდების საფუძველს, მან გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, სახეზეა ის შემთხვევა, როდესაც სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საკაცო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

2008 წლის 16 ივნისს ნ. გ-შვილმა შეგებებული საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი და ნ. გ-შვილის შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას ნ. გ-შვილმა მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივარს - მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007კ ბრძანება.

სააპელაციო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007კ ბრძანებაში ნ. გ-შვილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - უფრო დაბალი რანგის, დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე გადაყვანის საფუძველად დასახელებულია მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაერთგზისი უგულვებელყოფა, რაც გამოიხატა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნისას სამსახურში გამოუცხადებლობასა და სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობებზე დასწრებაში, ასევე სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებასა და მათდამი ზერელე დამოკიდებულებაში.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ დასახელებული გარემოებანი არ ქმნიან დისციპლინარული გადაცდომის შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლო განმარტავდა, რომ მოპასუხის მიერ ეჭვს ქვეშ არ არის დაყენებული 2004 წლის 4 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით ნ. გ-შვილის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა, რაც, საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" 89-ე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველია. ამასთან, დასახელებული კანონის 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მის შედეგს წარმოადგენს მოხელის დროებით გათავისუფლება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და არა მისთვის თანამდებობით მინიჭებულ უფლებათა სრულად ანუღირება (შრომისუნარობის პერიოდში).

სასამართლო აღნიშნავდა, რომ ნ. გ-შვილის მიერ სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობებზე დასწრება მისი უფლების - აიმაღლოს კვალიფიკაცია, რეალიზაციას წარმოადგენს, რომლის ამკრძალავ ნორმასაც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი არ შეიცავს.

სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობებზე მოსარჩელის დასწრებას და სათანადო სერთიფიკატის მიღებას გ-შვილის სამსახურებრივ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან მიმართებით არავითარი იურიდიული შედეგი არ გამოუწვევია და შესაბამისად, მისი ამგვარი ქმედება არ ცდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობებზე დასასწრებად და სათანადო სერთიფიკატის მისაღებად სავალდებულო არ იყო მოხელის, მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მუშაკის სტატუსი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა გასაჩივრებული ბრძანებით მოსარჩელის დაქვეითების მეორე საფუძველიც -სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და მათდამი ზერელე დამოკიდებულება.

პალატა განმარტავდა, რომ საქმეში წარმოდგენილი, არასრულყოფილად შედგენილი დოკუმენტები, რომელთა ავტორადაც ნ. გ-შვილია დასახელებული, მათი იდენტიფიცირების შეუძლებლობის გამო, არ შეიძლება დასახელებულ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს.

მოსარჩელის საქმიანობის ხარისხის შეფასებისას სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ საქმეში წარმოდგენილი დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის მუშაკთა დატვირთვის 2004 წლის სექტემბერ-ნოემბრის მონაცემებით ნ. გ-შვილის მიერ შესრულებული სამუშაო -ამ სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებული სამუშაოს 40%-მდეა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ნ. გ-შვილის ქმედებაში არ არის "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის "ე" პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების საფუძველი, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №10073 ბრძანების, როგორც კანონშეუსაბამოს, ბათილად ცნობის საფუძველს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სამინისტროს მიერ დადგენილ და გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებებს, როცა მიიჩნია, რომ ნ. გ-შვილის ქმედებებში არ არსებობს დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობა.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო პალატას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან გ-შვილი სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამაში მონაწილეობდა როგორც ფიზიკური პირი, ეს გარემოება არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო იმის დასტურად, რომ გ-შვილს ზერელე დამოკიდებულება ჰქონდა სამსახურის მიმართ.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ შეუსწავლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, არასწორად მიიჩნია, რომ ხელმოწერის არ არსებობა დოკუმენტების მტკიცებულებად მიღების შესაძლებლობას გამორიცხავდა. სასამართლომ გარემოებების გამოკვლევის გარეშე ბათილად ცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №10073 ბრძანება, რომლის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველ ნაწილზე. ამდენად, კასატორის აზრით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" პუნქტის თანახმად, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. გარდა ამისა, არასწორად განმარტა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილად ცნობილ შემდეგ გარემოებაზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 ოქტომბრის №10073 ბრძანებაში

ნ. გ-შვილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -უფრო დაბალი რანგის, დავები-სა და პროფესიული პასუხისმდებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის, თანამდებობაზე გადაყვანის საფუძვლად დასახელებულ იქნა მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაერთგზისი უფლებულყოფა, რაც გამოიხატა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნისას სამსახურში გამოუცხადებლობასა და სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრებაში, ასევე, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებასა და მათდამი ზერელე დამოკიდებულებაში.

საქმეზე ასევე დადგენილადაა ცნობილი, რომ სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამის მეცადინეობაზე დასასწრებად და სათანადო სერთიფიკატის მისაღებად სავალდებულო არ იყო მოხელის, მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მუშაკის სტატუსი და ნ. გ-შვილი ამ სტატუსით არ მონაწილეობდა.

ზემოაღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გაიზიაროს სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია საავადმყოფო ფურცელთან მიმართებაში და თვლის, რომ დროებითი შრომისუნარობის მოქმედების პერიოდში სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრებით ნ. გ-შვილს დისციპლინარული გადაცდომა არ ჩაუდენია.

კასატორი სადავოდ არ ხდის 2004 წლის 4 ნოემბრიდან იმავე წლის 26 ნოემბრის ჩათვლით ნ. გ-შვილის ავადმყოფობის ფაქტს და მასზე საავადმყოფო ფურცლის გაცემის კანონიერებას. ამდენად უდავოა, რომ ნ. გ-შვილს სამსახური უმიზეზოდ არ გაუცდენია.

“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 89-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დროებითი შრომისუნარობა წარმოადგენს სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს. საკასაციო სასამართლო ადასტურებს მითითებულ ნორმასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მხრიდან წარმოდგენილ განმარტებას და თვლის, რომ შრომითი ურთიერთობის შეჩერება იწვევს იმ უფლებების კონსერვაციას, რომელთა განხორციელებაც დაწესებულებისათვის იქნება იურიდიული შედეგის მომტანი ან ასეთი შედეგის მატარებელი და დაუკავშირდება ამ უკანასკნელის სახელს.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო პროგრამის მეცადინეობაზე ნ. გ-შვილის დასწრებას და სათანადო სერთიფიკატის მიღებას მის სამსახურებრივ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან მიმართებაში არავითარი იურიდიული შედეგი არ გამოუწვევია და ამასთან, არ დასტურდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან უმიზეზოდ თავის არიდების ფაქტი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამ მოტივით ნ. გ-შვილთან მიმართებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

რაც შეეხება დისციპლინური ზემოქმედების გამოყენების მეორე საფუძველის -სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და მათდამი ზერელე დამოკიდებულება -შეფასებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლო შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ საკითხის განსაზღვრა, თუ რამდენად ჯეროვნად ასრულებს პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობას, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების საგანს, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მოხელე მოკლებულია უფლებას და/ან შესაძლებლობას, მოითხოვოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისას ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება. მოცემულ პირობებში სასამართლოს ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს იმ საკითხის განსაზღვრა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცულია თუ არა ობიექტურობის კრიტერიუმი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმეში წარმოდგენილი მოტივაცია და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა სასამართლოს მხრიდან საკუთარი შეფასებების წარმოდგენის შესაძლებლობას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია არასრულყოფილად შედგენილი დოკუმენტები, რომელთა იდენტიფიცირების შეუძლებლობის გამო, ვერ ხდება მათი ნ. გ-შვილისადმი მიკუთვნება. ამასთან, სამუშაო დოკუმენტებში ხარვეზის არსებობა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება შემსრულებლის მუშაობის ნაკლად იქნას მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მოტივაცია და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს, რამდენად ჯეროვნად ასრულებდა ნ. გ-შვილი მასზე დაკისრებულ სამსახურებრივი მოვალეობას. საკასაციო სასამართლო ადასტურებს რა იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც საჯარო სამსახურში დასაქმებული მოხელის კვალიფიკაციას უკავშირდება, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ თავისთავად მაღალი კვალიფიკაცია არ გამოიციხავს სამსახურებრივი საქმიანობისადმი პირის ზერელე და გულგრილ დამოკიდებულებას.

საკასაციო სასამართლო გამორიცხავს რა სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საკვალი-ფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრებით ნ. გ-შვილის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, იმავდროულად თვლის, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები და გასაჩივრებულ ბრძანებაში წარმოდგენილი მოტივაცია სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას დაადგინოს ან გამორიცხოს, ნ. გ-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვანი შესრულება -არშესრულების ფაქტი, რის გამოც, გასაჩივრებული ბრძანება ბათილად უნდა იქნას ცნობილი და კასატორს დაევალოს, ყველა გარემოების შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე ნ. გ-შვილის მიერ დისციპლინარული გადაცდომის საკითხთან მიმართებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის №1007კ ბრძანება ნ. გ-შვილთან დაკავშირებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალოს, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ახალი აქტის გამოცემის თაობაზე;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დისციპლინური გადაცდომა

განჩინება

№ბს-761-726(კ-09)

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასისა და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 4 აგვისტოს ლ. ნ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის №408/კ ბრძანებით დაინიშნა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. აღნიშნულ სამსახურში დანიშვნამდე იყო ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და დაწყებითი (საპილოტე) კლასის პედაგოგი. რესურს-ცენტრში მას არასახარბიელო სამუშაო მდგომარეობა დახვდა, ხარჯებისათვის გამოყოფილი კვარტალური თანხა კი თითქმის დახარჯული იყო, რის გამოც ვერ მოხერხდა არსებული პრობლემების გამოსწორება. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობის გამო მან 2008 წლის 23 მაისს წერილობით მიმართა მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს და რესურს-ცენტრის საკონფერენციო დარბაზის გაქირავებაზე ნებართვა ითხოვა. შემდგომში მოსარჩელემ აღათვალი, რომ ასეთი მიმართვა საქართველოს გა-

ნათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა განეხორციელებინა, ამიტომ მისი თხოვნით ქონების მართვის ადგილობრივმა სამსახურმა მეორე დღესვე შეაჩერა აღნიშნული საკითხის განხილვა. 2008 წლის 2 ივნისს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონალური კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს და ითხოვა ნებართვა დარბაზის გაქირავებაზე, რაზეც პასუხი არ მიიღო და შესაბამისად, არც დარბაზი გაქირავებულა.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 11 ივლისს მას ჩაბარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების საფუძველით. ხსენებულ ბრძანებაში გათავისუფლების მიზეზად დარბაზის გაქირავებაზე თანხმობის გამოთხოვაზე იყო მითითებული, რაც დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართულ უღირს საქციელად (ბრალეულ ქმედებად) იყო მოხსენიებული, გარდა ამისა, გათავისუფლების საფუძველად მოსარჩელის სკოლაში პედაგოგიური საქმიანობაც იყო მითითებული.

მოსარჩელემ სამსახურიდან მისი გათავისუფლების ბრძანება უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1-1/2091 ბრძანების საფუძველზე ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე 300 კვ.მ მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართით გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს, რომელმაც 2008 წლის 15 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტით ჩაიბარა აღნიშნული ქონება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქონების პირდაპირ მფლობელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ხსენებული ქონებით სარგებლობას ახორციელებდა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ხსენებული ქონების კანონმდებლობით განსაზღვრულ მოსარგებლე პირს წარმოადგენდა რესურს-ცენტრი, შესაბამისად, სარგებლობის უფლების გადაცემისათვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 7 ივლისის №1-1/585 ბრძანებით გათვალისწინებული ნებართვაც მოსარჩელემ ქონების მართვის ადგილობრივი სამსახურისაგან ითხოვა, რადგან საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 7 ივლისის №1-1/585 ბრძანებით დადგენილი წესით შენობა-ნაგებობის მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით, რისთვისაც მოსარგებლე განცხადებით მიმართავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, ხოლო თანხმობის გაცემის შემთხვევაში, მოსარგებლესა და მესამე პირს შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით ფორმდებოდა ხელშეკრულება. მოსარჩელის განმარტებით, მართალია, მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი ახორციელებდა ამ ქონებით სარგებლობას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს ტერიტორიული ორგანო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენდა სამინისტროს შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე და ის არ იყო დამოუკიდებელი იურიდიული პირი, სამართლებრივად არ იქნებოდა სწორი ამ ხელშეკრულების მხარედ ყოფილიყო რესურს-ცენტრი. ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ასეთი მიმართვა ქონების მართვის სამინისტროსთვის ან მისი ტერიტორიული სამსახურისათვის უნდა განეხორციელებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელსაც ეს ქონება ჰქონდა გადაცემული უსასყიდლო სარგებლობის უფლებით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი თხოვნით ქონების მართვის ადგილობრივმა სამსახურმა მეორე დღესვე შეაჩერა აღნიშნული საკითხის განხილვა, ხოლო 2008 წლის 2 ივნისს მან მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონალური კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს და ყველა სამართლებრივი ნორმის დაცვით ითხოვა ნებართვა საკონფერენციო დარბაზის გაქირავებაზე, რაზეც პასუხი არ მიუღია, შესაბამისად, არც დარბაზი გაქირავებულა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების სადავო ბრძანებაში არ იყო დასაბუთებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა -დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), ანუ ის გარემოებები, რაშიც გამოიხატა სამსახურის დისკრედიტაცია, რატომ იყო ეს საქციელი უღირსი და მით უმეტეს ბრალეული ქმედება. ამასთან, მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემისას დარღვეული იყო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები და 95-ე და 99-ე მუხლები.

მოსარჩელემ უსაფუძვლოდ მიიჩნია მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად პედაგოგიური საქმიანობის შეუთავსებლობაზე მითითებაც. სადავო ბრძანებაში პედაგოგიური საქმიანობის შე-

უთავსებლობის გამო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან აღნიშნულ საქმიანობაზე პირდაპირ მიუთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასანიშნად წარსადგენ ავტობიოგრაფიასა და თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციაში. ამასთან, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში წარმოადგენდა თანამდებობის პირის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირებას სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან, რისთვისაც ამავე კანონის მე-13 მუხლმა დააზუსტა თანამდებობრივი შეუთავსებლობის სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნა, რომ თანამდებობის პირს (სახელმწიფო მოსამსახურეს) უფლება არ ჰქონდა, შეესრულებინა რაიმე ანაზღაურებადი სამუშაო, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა ან დაეკავებინა თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში, შეესრულებინა ანაზღაურებადი სამუშაო ან დაეკავებინა რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. ამდენად, მოსარჩელის განმარტებით, სახელმწიფო მოსამსახურეს არ ეკრძალებოდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან/და შემოქმედებითი საქმიანობა, თუნდაც მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციიდან. ამასთან, მოსარჩელემ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ მან განცხადებით მიმართა ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორს და მოითხოვა დირექტორის მოადგილისა და კლასის დამრიგებლის თანამდებობიდან გათავისუფლება და მხოლოდ დაწყებით, საპილოტე კლასში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლება განაგრძო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანების ბათილად ცნობა, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, 2008 წლის 11 ივლისიდან სამსახურში აღდგენამდე მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის იძულებით გაცდენილი დროის ყოველთვიური ხელფასის -622,50 ლარის, მორალური ზიანის -5000 ლარისა და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ნ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი აქტი; ლ. ნ-ძეს აუნაზღაურდა განაცდური ხელფასი მისი გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდში; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ნ-ძე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის №408/კ ბრძანებით დაინიშნა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. მანამდე იგი მუშაობდა ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში და დაწყებითი (საპილოტე) კლასის პედაგოგად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1-1/2091 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს გადაეცა ქ. მცხეთაში, ... ქ. №73-ში მდებარე შენობის პირველი სართული -300 კვ.მ მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართით, რომელიც რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობამ მიღება-ჩაბარების აქტით ჩაიბარა 2008 წლის 15 თებერვალს. 2008 წლის 23 მაისის №939 წერილით, ლ. ნ-ძემ მიმართა მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს, რომლითაც მოითხოვა მისთვის როგორც რესურს-ცენტრის ხელმძღვანელისათვის რესურს-ცენტრის დარბაზის გაქირავების უფლების მინიჭება. მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 20 ივნისის წერილის თანახმად, სამმართველოში 2008 წლის 29 მაისს შესული №939 წერილის განხილვა შეჩერდა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 მაისის სიტყვიერი მიმართვის საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2008 წლის 11 ივნისის №17-08-2/7492 წერილის

საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ სამინისტროსათვის ცნობილი გახდა ზემოთ მითითებული №939 წერილის შესახებ და აღნიშნულთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა წარმოადგენს თხოვნას დამხმარე ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე, რომლის უფლებამოსილებაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" თანახმად, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს არ გააჩნდა. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსი პასუხისმგებელი იყო რესურს-ცენტრის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მიზანი იყო სამინისტროს პოლიტიკის განხორციელება. ამასთან, ზემოთ მითითებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 7 ივლისის №1-1/585 ბრძანების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის სახელმწიფო ქონების განკარგვის თაობაზე მიმართვის უფლება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ნ-მეს დაევალა წერილის მიღებიდან 3 დღის ვადაში ახსნა-განმარტების სამინისტროში წარდგენა, რაც მან 2008 წლის 19 ივნისს შეასრულა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანებით, მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის -ლ. ნ-ძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა -სამსახურიდან განთავისუფლება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემას საფუძველად დაუდო "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი და 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას მიიჩნია, რომ ლ. ნ-ძის ქმედება, რაც გამოიხატა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის მიმართვაში, წარმოადგენდა დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართულ უღირს საქციელს (ბრალეულ ქმედებას), რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ბრძანებით არ იყო დასაბუთებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა -დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეური ქმედება), ანუ ის გარემოებები, რაშიც გამოიხატა სამსახურის დისკრედიტაცია, რატომ იყო ეს საქციელი უღირსი და მითუმეტეს ბრალეური ქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას და მიიჩნია, რომ ლ. ნ-ძის სამსახურიდან განთავისუფლებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაარღვია არა მხოლოდ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე; დაუშვებელი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დასდებოდა ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოკვლეული.

ლ. ნ-ძის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანებაში მითითებულ მეორე საფუძველთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა საშუალო სკოლაში მის პედაგოგიურ საქმიანობას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენდა საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძველს, აწესრიგებდა საჯარო სამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას, ხსენებული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რომელიც არ წესრიგდებოდა ამ კანონით, რეგულირდებოდა შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ შეზღუდვას ან აკრძალვას სამსახურებრივ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით (მათ შორის შემოსავლის მიღებას) "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონთან ერთად ადგენდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავდა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციის თავიდან აცილებას, გამოვლენის აღკვეთასა და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებსა და სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძველს და აზუსტებდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მოთხოვნას სახელ-

მწიფო მოსამსახურის მიერ შემოსავლების მიღებას იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც სამსახურ-ობრივ მოვალეობათა შესრულების წესით უწევდა ზედამხედველობას. "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში იყო თანამდებობის პირის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან, რისთვისაც ამავე კანონის მე-13 მუხლმა დააზუსტა თანამდებობრივი შეუთავსებლობის სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნა, რომ ის წესრიგდებოდა საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ამავე მუხლის მე-3 ნაწილთან, რომლის თანახმად, თანამდებობის პირს (სახელმწიფო მოსამსახურეს) უფლება არ ჰქონდა, შეესრულებინა რაიმე ანაზღაურებადი სამუშაო, გარდა სამეცნიერო პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან დაეკავებინა რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში, ან შეესრულებინა რაიმე ანაზღაურებადი სამუშაო ან დაეკავებინა რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. სამსახურეობრივ ზედამხედველობასთან დაკავშირებით, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის თანამდებობის პირის სამსახურეობრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირში (საჯარო მოხელეში) იგულისხმებოდა ის პირი (საჯარო მოხელე), რომლის მიერ გაცემულ აქტთან დაკავშირებითაც თანამდებობის პირი, უფლებამოსილი იყო, გაეცა წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ, შეეჩერებინა აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება, გაეუქმებინა აქტი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ნ-მემ განცხადებით მიმართა ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორს და მოითხოვა დირექტორის მოადგილისა და კლასის დამრიგებლის თანამდებობიდან განთავისუფლება და მხოლოდ დაწყებით საპილოტე კლასში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლების გაგრძელება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ნ-მეს არ დაურღვევია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან იგი არანაირ ადმინისტრაციულ ფუნქციას სკოლაში არ ასრულებდა და მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობით იყო დაკავებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანება გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლო კომპეტენციას და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის -ლ. ნ-მის სამუშაოზე აღდგენის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანებით და მოპასუხეს უნდა დავალებოდა ხსენებული გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ ლ. ნ-მესთან მიმართებაში გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, აღარ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი ლ. ნ-მის მიმართ ხელფასის გაუცემლობისა, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოხელეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო, აღნიშნულის გათვალისწინებით, ლ. ნ-მეს უნდა ანაზღაურებოდა იძულებით განაცდური ხელფასი დათხოვნის დღიდან მასთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს მსჯელობა არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას და არ არსებობდა ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებს და უსაფუძვლოდ მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების დარღვევაზე.

კასატორის განმარტებით, მან ლ. ნ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო შესაბამისი მტკიცებულებებისა და გარემოებების შესწავლის საფუძველზე. კერძოდ, სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ის დარღვევები, რომელიც აღმოჩენილი იქნა ლ. ნ-ძის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დადასტურებულად მიიჩნია და მოსარჩელემაც აღიარა, რომ მან 2008 წლის 23 მაისს მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს საკონფერენციო დარბაზის გაქირავების უფლების მიღების თაობაზე. "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მოსარგებლის მიერ მესამე პირისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 7 ივლისის №1-1/585 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის სახელმწიფო ქონების განკარგვის თაობაზე მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულთან დაკავშირებით, რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება (№17-06-2/7492, 11.06.08). მოსარჩელემ დაადასტურა მის მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედება (№04/7647, 20.06.08), მაგრამ თავის გასამართლებელ არგუმენტად მოიყვანა ის ფაქტი, რომ მან გამოასწორა აღნიშნული დარღვევა და შეაჩერა მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოსათვის წარდგენილი წერილის წარმოება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსაზრება და უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ბრძანებაში არ არის დასაბუთებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, ანუ ის გარემოება, რაშიც გამოიხატა სამსახურის დისკრედიტაცია, რატომ არის ეს საქციელი უღირსი საქციელი და მით უმეტეს ბრალეული ქმედება.

კასატორის განმარტებით, სადავო ბრძანებაში დაწვრილებით არის განხილული ის გარემოებები, რაც საფუძველად დაედო ლ. ნ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებას. ლ. ნ-ძის მიერ რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შესრულების დროს სამინისტროსათვის ცნობილი გახდა მისი, როგორც რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან შეუფერებელი და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება. იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელის აღნიშნულ ქმედებას შედეგი არ მოჰყოლია, დადასტურდა მისი არაკომპეტენტურობა დაკავებულ თანამდებობასთან მიმართებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საგანამანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსი პასუხისმგებელია რესურს-ცენტრის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე. ამავე პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი კი ადგენს რესურს-ცენტრის უფროსის პასუხისმგებლობას საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესრულებაზე.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დადგენილად მიიჩნია ლ. ნ-ძის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტი. ამასთან, ხელმძღვანელი თანამდებობის პირზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულების შეუძლებლობა სამინისტროს მხრიდან სათანადო რეაგირების გარეშე ვერ დარჩებოდა. მიჩნეულ იქნა რესურს-ცენტრის მიერ არაკვალიფიციურობის გამოვლინება და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ლ. ნ-ძის საქციელი, მართლაც, წარმოადგენდა დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართულ ქმედებას, იქიდან გამომდინარე, რომ რესურს-ცენტრი, როგორც სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, რომელიც ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას რეგიონებში, უნდა იმართებოდეს სათანადო, კვალიფიციური კადრის მიერ. ამდენად, კანონმდებლობის არცოდნა და აღნიშნულის საფუძველზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება უფროსის თანამდებობისათვის შეუფერებელ მოქმედებას წარმოადგენდა.

ლ. ნ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების მეორე საფუძველთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამიად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რომელიც არ წესრიგდება ამ კანონით, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი კანონ-

მდებლობას წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურს-ცენტრი: ახორციელებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სასაშუალო განათლების იურიდიულ პირ -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული სწავლების ცენტრებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევასა და ზედამხედველობას. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ შეზღუდვას ან აკრძალვას სამსახურებრივ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონთან ერთად ადგენდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი აწესრიგებს თანამდებობის პირის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს (გარდა პედაგოგიური საქმიანობისა) აკრძალვის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება არა ზოგადად ანაზღაურების მიღების აკრძალვას, არამედ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით რეგლამენტირებულ აკრძალვას ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციიდან ანაზღაურების მიღების თაობაზე. კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. კასატორი იმაზეც მიუთითებს, რომ ლ. ნ-ძის შემთხვევა სწორედ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, კერძოდ, ხსენებული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგულირდება; ამდენად, აღარ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის გამოყენების ვალდებულება. კასატორი აღნიშნავს, რომ ლ. ნ-ძე იღებდა შემოსავალს -ხელფასს, იმ ორგანიზაციიდან -სკოლიდან, რომელსაც სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას უწევდა ზედამხედველობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო იურიდიულად დასაბუთებული, რის გამოც უნდა გაუქმებულიყო. ამასთან, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-13 მუხლები და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 22 ოქტომბერს 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის №408/კ ბრძანებით ლ. ნ-ძე დაინიშნა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. მანამდე იგი მუშაობდა ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში და დაწყებითი (საპილოტე) კლასის პედაგოგად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1-1/2091 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს გადაეცა ქ. მცხეთაში, ... ქ. №73-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე 300 კვ.მ ფართი მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართით, რომელიც რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობამ მიღება-ჩაბარების აქტით ჩაიბარა 2008 წლის 15 თებერვალს. ლ. ნ-ძემ 2008 წლის 23 მაისის №939 წერილით მიმართა მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს, რომლითაც რესურს-ცენტრისათვის გადაცემულ შენობაში

მდებარე საკონფერენციო დარბაზის გაქირავების უფლება ითხოვა. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 20 ივნისის წერილით დასტურდებოდა, რომ სამმართველოში 2008 წლის 29 მაისს შესული №939 წერილის განხილვა შეჩერდა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 მაისის სიტყვიერი მიმართვის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2008 წლის 11 ივნისის №17-08-2/7492 წერილი, რომლის თანახმადაც, სამინისტროსათვის ცნობილი გახდა ზემოაღნიშნული №939 წერილის შესახებ და მიიჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა წარმოადგენს თხოვნას დამხმარე ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე, რომლის უფლებამოსილებაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" თანახმად, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს არ გააჩნდა. ამასთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 7 ივლისის №1-1/585 ბრძანების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის სახელმწიფო ქონების განკარგვის თაობაზე მიმართვის უფლება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ნ-ძეს დაევალა ხსენებული წერილის მიღებიდან 3 დღის ვადაში სამინისტროში ახსნა-განმარტების წარდგენა. 2008 წლის 19 ივნისის მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლ. ნ-ძემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარადგინა ახსნა-განმარტება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანებით, მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის -ლ. ნ-ძის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა -სამსახურიდან განთავისუფლება. ხსენებული ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებული იყო "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი და 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი. სადავო ბრძანების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიჩნია, რომ ლ. ნ-ძის ქმედება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას -დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართულ უღირს საქციელს (ბრალეურ ქმედებას) წარმოადგენდა. ამასთან, სამინისტრომ შეიტყო, რომ ლ. ნ-ძე გარდა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსობისა, შეთავსებით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლაში, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ საჯარო სკოლაში განხორციელებული პედაგოგიური საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, შესაბამისად, ლ. ნ-ძე ვალდებული იყო, მისი დანიშვნის დღიდან შეეწყვიტა ხსენებული საქმიანობა, რაც არ განუხორციელებია, რის გამოც იგი ეწეოდა შეუთავსებელ საქმიანობას.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი საკითხი -ხსენებული აქტის კანონიერების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამ შემთხვევაში სარჩელის საგანზე არსებითად მსჯელობისა და მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლიანობაზე მსჯელობას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ამ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე განაცხადა უარი სადავო საკითხის გადაწყვეტაზე, რომ საერთოდ არ იმსჯელა მხარეთა მოტივებზე, შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და არ დაადგინა, თუ რატომ იყო შეუძლებელი მის მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტა. მით უფრო, რომ სადავო ბრძანებაში დაწვრილებით არის განხილული ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო ლ. ნ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ლ. ნ-ძე მუშაობდა რა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის თანამდებობაზე, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის შრომის უფლებას, რის გამოც სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ხსენებულ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად კი, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. სწორედ ხსენებულ ნორმაზე უთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანება მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლ. ნ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -სამსახურიდან განთავისუფლების გამოყენებისას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ლ. ნ-ძის სამსახურიდან განთავისუფლების მეორე საფუძველთან -საშუალო სკოლაში ლ. ნ-ძის პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისე გამოიყენა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომ არ იმსჯელა და არ დაასაბუთა, თუ რამდენად წარმოადგენდა მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი ხსენებული კანონით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს და რამდენად შეიძლებოდა მასზე ხსენებული კანონის გავრცელება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმ არგუმენტზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა არა ზოგადად, ანაზღაურების მიღების აკრძალვას, არამედ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით რეგლამენტირებულ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციიდან ანაზღაურების მიღების თაობაზე აკრძალვას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 4 ივლისის №748/კ ბრძანების კანონიერება უნდა შეამოწმოს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. ამასთან, საა-

პელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად უნდა გავრცელდეს მოსარჩელეზე "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის (უხეში) დარღვევის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1108-1070(კ-08)

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

21.09.07წ. ჯ. ფ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 02.07.07წ. №479 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მსახურობდა სასაზღვრო პოლიციის №11 სამმართველოს (აერო-პორტი-თბილისი) №1 სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის ცვლის უფროსად. 02.07.07წ. უკანონოდ იქნა დათხოვნილი სასაზღვრო პოლიციის რიგებიდან.

24.10.07წ. მოსარჩელემ წარადგინა დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა და იშუამდგომლა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის გამოხმობის თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა შეუფერებელი ქმედების ჩადენა, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს, რაც, სასაზღვრო პოლიციის შიდა ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების 19.06.07წ. დასკვნის თანახმად, გამოიხატა შემდეგში: 18.05.07წ. ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის დარბაზში, განწესში მყოფი ქ. თბილისის მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორების მიერ შემჩნეულ იქნა უმეთვალყურედ მიტოვებული საშუალო ზომის შავი ჩანთა, რომელიც მიჩნეულ იქნა საეჭვოდ. აღნიშნულის შესახებ ეცნობა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას. საეჭვო ნივთის ირგვლივ, სპეციალური ლენტით შემოსაზღვრული იქნა პერიმეტრი და გამოიძახეს გამნადმველები. დასკვნის მიხედვით, ამ დროს ჯ. ფ-მემ უნებართვოდ, განსაკუთრებული ცინიზმით შეაღწია საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორების მიერ სპეციალურად შემოღობილ ტერიტორიაზე, აიღო საეჭვო ჩანთა, გაიტანა შენობიდან და ფეხის დარტყმით მოისროლა გზის სავალ ნაწილზე. მოსარჩელის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება, მას და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, უშუალოდ საპატრულო პოლიციის და აეროპორტის მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების, ასევე საჰაერო ავიარეისების გადადებისა და პანიკის თავიდან აცილების მიზნით, დაბრკოლების გარეშე, საეჭვო ჩანთა გატანილ იქნა აეროპორტის ტერიტორიიდან. მოსარჩელემ მიუთითა, რომ რამდენიმე სავარაუდო ღონისძიებიდან ისეთის არჩევა, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას და მიზანზეა ორიენტირებული, წარმოადგენს "საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ" კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ სასაზღვრო პოლიციელის ვალდებულებას და მოვალეობას. მოსარჩელის აზრით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ, არ იქნა დადგენილი, რა მოხდა 18.05.07წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.10.07წ. განჩინებით იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ფ-მემ.

სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას მოსარჩელემ უარი განაცხადა სამსახურში აღდგენის მოთხოვნაზე, სააპელაციო პალატის 17.04.08წ. განჩინებით საქმის წარმოება ამ ნაწილში შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.05.08წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ფ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სასაზღვრო პოლიციის უფროსის 02.07.07წ. №479 ბრძანება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად

მიიჩნია, რომ ჯ. ფ-მე მუშაობდა სასაზღვრო პოლიციის №11 სამმართველოს №1 სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის ცვლის უფროსის თანამდებობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 02.07.07წ. №479 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამსახურის გავლის წესის" მე-4 თავის მე-20 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის და მე-6 თავის 29-ე მუხლის "კ" ქვეპუნქტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დებულების მე-7 მუხლის "ლ" და "ნ" ქვეპუნქტების და სასაზღვრო პოლიციის №11 სამმართველოს №1 სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის თანამშრომლის მიერ 18.05.07წ. ჩადენილი სასაზღვრო პოლიციელის შეუფერებელი საქციელის ფაქტზე სასაზღვრო პოლიციის შიდა ინსპექციის განყოფილების სამსახურებრივი შემოწმების საფუძველზე. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების პატაკების თანახმად, პატრულ-ინსპექტორებმა აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლებთან ერთად ლენტით შემოსაზღვრეს საეჭვოდ მიჩნეული ნივთი. განხორციელდა მომსახურე პერსონალის ევაკუაცია, გამოძახებულ იქნა გამნადმველთა ჯგუფი, ევაკუაციის დროს მომსახურე პერსონალს გამოეყო შავებში ჩაცმული მამაკაცი, როგორც შემდეგ დადგინდა, ჯ. ფ-მე მიუახლოვდა საეჭვო ნივთს, გამოიტანა იგი შენობიდან და მოისროლა გზის სავალ ნაწილზე. საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა განმარტებით, ჯ. ფ-მე ნასვამი იყო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომელთა პატაკები ვერ ჩაითვლება იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ შემთხვევის დროს ჯ. ფ-მე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი არ შემოწმებულა სიმთვრალეზე და არ არსებობდა უფლებამოსილი პირის ბრძანება სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების გამო მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. მოპასუხემ ვერ დაადასტურა ასევე, რომ ჯ. ფ-მე არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მითითებას ე.წ. ევაკუაციის შესახებ და ჩაიდინა ზემოაღნიშნული ქმედება, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა შემდგარიყო შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი დაფუძნებული იყო იმ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც არ იქნა სათანადოდ შესწავლილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ. კასატორი თვლის, რომ აეროპორტის ტერიტორიაზე საეჭვოდ მიჩნეული ნივთის აღება და თვითნებურად გარეთ გატანა სასაზღვრო პოლიციელისათვის შეუფერებელ საქციელია მიუხედავად იმისა, ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ის თუ არა. სასაზღვრო პოლიციის შიდა ინსპექციის მოკვლევას საფუძველად დაედო შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გადმოცემული მასალა. შიდა ინსპექციის მიერ გაზიარებული იქნა პატრულ-ინსპექტორების ახსნა-განმარტებები და მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ პატრულ-ინსპექტორების ახსნა-განმარტებები ვერ ჩაითვლებოდა სათანადო მტკიცებულებად, კასატორის აზრით, არასწორია, ვინაიდან პატრულ-ინსპექტორები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები არიან და განსახილველ ურთიერთობებში ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას და არ არსებობდა მათი ახსნა-განმარტებების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.05.08წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ჯ. ფ-მეს უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო ოზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორი შეფასება მიეცა ფაქტობრივ გარემოებებს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ჯ. ფ-მე მუშაობდა სასაზღვრო პოლიციის №11 სამმართველოს (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი) №1 სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის ცვლის უფროსის თანამდებობაზე. 18.05.2007 წ. ჯ. ფ-მე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის დარბაზში, განწესში მყოფი ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორების მიერ შემჩნეულ იქნა რამოდენიმე საათის განმავლობაში უმეთვალყურეოდ მიტოვებული საშუალო ზომის შავი ჩანთა, რომელიც მიჩნეულ იქნა საეჭვოდ. აღნიშნულის შესახებ ეცნობა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას. საეჭვო ნივთის ირგვლივ, უსაფრთხოების ლენტით შემოსაზღვრული იქნა პერიმეტრი და გამოიძახეს გამნადმეველები. ჯ. ფ-მე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მან ხელბარგი გაიტანა აეროპორტის შენობიდან და დატოვა სავალ ნაწილზე. ჯ. ფ-მის მოსაზრებით, იგი მოქმედებდა საპატრულო პოლიციის და აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლებთან შეთანხმებით და მისი ქმედება შეესაბამებოდა "საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ პოლიციელის ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჯ. ფ-მის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ეფუძნებოდა ისეთ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც სათანადოდ არ იქნა შესწავლილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პოლიციის თანამშრომელთა პატივები ვერ ჩათვლებოდა ჯ. ფ-მის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან იგი არ შემოწმებულა სიმთვრალეზე და არ არსებობდა უფლებამოსილი პირის ბრძანება სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების გამო მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. სააპელაციო სასამართლო ასევე დადასტურებულად არ მიიჩნევს ჯ. ფ-მის მიერ ე.წ. ევაკუაციის თაობაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მითითებების დაუმორჩილებლობას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას და თვლის, რომ ასეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში შედგენილი უნდა ყოფილიყო სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჯ. ფ-მის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება გამოიცა სზაკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების, მტკიცებულებების და არგუმენტების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. ჯ. ფ-მის სამსახურიდან განთავისუფლებას საფუძვლად დაედო სასაზღვრო პოლიციის შიდა ინსპექციის განყოფილების უფროსის 20.06.07წ. №38-6-140 წერილი და 19.06.07წ. სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 21.06.2006წ. №786 ბრძანებით დამტკიცებული სასაზღვრო პოლიციის დებულების მე-12 მუხლის თანახმად შიდა ინსპექციის განყოფილება უშუალოდ ექვემდებარება სასაზღვრო პოლიციის უფროსს და აკონტროლებს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობაში კანონიერების, ნორმატიული აქტებისა და სხვა მარეგლამენტირებელი დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებას, ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის, დისციპლინური დარღვევების თავიდან აცილებისა და დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების გამოვლენის ღონისძიებებს. შიდა ინსპექციის მიერ შემოწმების დაწყების საფუძველი გახდა საქართველოს შსს გენერალური ინსპექციიდან 08.06.2007 წ. გაგზავნილი ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში შეკრებილი მასალები. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პატრულ-ინსპექტორების მიერ შედგენილი პატივები, წარმოადგენენ 18.05.2007 წ. მომხდარი ფაქტის ამსახველ დოკუმენტალურ მასალას, რაც საფუძვლად დაედო ჯერ შსს გენერალური ინსპექციის, ხოლო შემდგომში სასაზღვრო პოლიციის შიდა ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების დაწყებას. შემოწმების მიმდინარეობისას ჯ. ფ-მეს ჰქონდა საშუალება ახსნა-განმარტება მიეცა შიდა ინსპექციის თანამშრომლისათვის, რაც მან არ ისურვა. სასაზღვრო პოლიციის შიდა ინსპექციის უფროსი ინსპექტორის მიერ 14.06.07წ. ცნობის თანახმად, სამსახურებრივი შემოწმების მასალებთან დაკავშირებით ჯ. ფ-მისაგან ახსნა-განმარტების მიღება ვერ მოხერხდა 10.06.07წ. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანების შედეგად ჯ. ფ-მის ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ყოფნის გამო. ექიმის მიერ 14.06.07წ. გაცემული ცნობის თანახმად ჯ. ფ-მის მდგომარეობის გამო მისი დაკითხვა არ იყო მიზანშეწონილი. 19.06.07წ. შედგენილი ოქმის თანახმად, 18.05.07წ. ინციდენტთან დაკავშირებით ჯ. ფ-მემ თავი შეიკავა ახსნა-განმარტების მიცემისაგან.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნიდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი პატივებით არ არის შესაძლებელი ჯ. ფ-მის სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დადგენა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯ. ფ-მე სამსახურიდან დათხოვილ იქნა არა იმ მიზეზით, რომ იმყოფებოდა არაფიზიკელ მდგომარეობაში ან ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, არამედ მის მიერ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის სტატუსთან შეუთავსებელი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის. ჯ. ფ-მის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური ზომა, დისციპლინური გადაცდომის დასადასტურებლად არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯ. ფ-მის მიერ ჩადენილი ქმედება, სხვა სამსახურებრივი გადაცდომის თუ სამართალდარღვევის ჩადენის გარეშე, წარმოადგენს ისეთი სახის დისციპლინურ დარღვევას, რომელიც იწვევს დისციპლინური სახდელის ზომის –სამსახურიდან დათხოვნის შეფარდებას. საფუძველს მოკლებულია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახეზეა 60^{1.2} მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, კანონის ისეთი არსებითი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატას არ მოყავს რაიმე არგუმენტაცია აღნიშნულის დასადასტურებლად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ 18.05.07წ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის დარბაზში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უთვალმეყურედ მიტოვებული ხელბარგის დადგენა საფუძვლიან ეჭვს ბადებდა საფრთხის შესაძლო წარმოქმნის შესახებ და მოითხოვდა უსაფრთხოების ზომების მიღებას. აღნიშნულის გამო მიღებულ იქნა პირველადი უსაფრთხოების ზომები, საექვო საგანი (ხელბარგი) იზოლირებულ იქნა უსაფრთხოების ლენტით, გამოძახებულ იქნა გამნადმეველთა ჯგუფი, განხორციელდა პერსონალის ევაკუაცია. ჯ. ფ-მის სამსახურებრივ ვალდებულებას შეადგენდა სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის განხორციელება, მას არ გააჩნდა ფეთქებად საშიში საგნების გაუვნებელყოფისათვის საჭირო კომპეტენცია და კვალიფიკაცია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი ჩანთის აეროპორტის შენობის ტერიტორიიდან გატანისა და მისი გადაგდების დროს მოქმედებდა აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისა და პატრულ-ინსპექტორებთან შეთანხმებით, აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება. “შსს საქვეუწყებო დაწესებულების –საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის” 4.3. მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს. აშკარა უკანონო ბრძანების ან მითითების მიღებისას სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე ხელმძღვანელობს კანონით. ასეთი ბრძანების შესრულება სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ჯ. ფ-მეს, თუნდაც რომ მიეღო სხვა პირთა მხრიდან მითითება ჩანთის გატანისა და გადაგდების შესახებ, იგი ვალდებული იყო, ემოქმედა კანონის ფარგლებში და დაეცვა შექმნილი მდგომარეობისათვის დადგენილი უსაფრთხოების წესები. თვითნებური ქმედებით ჯ. ფ-მემ რისკის ქვეშ დააყენა როგორც საკუთარი, ისე გარშემომყოფთა სიცოცხლე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ის მოქმედებდა “საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ” კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად განხორციელებული რამდენიმე სავარაუდო ღონისძიებიდან უნდა შეირჩეს ნაკლებად ზიანის მომტანი, ღონისძიება მიზანზე უნდა იყოს ორიენტირებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ორგანოს აქვს მართლზომიერ ზომებს შორის არჩევის შესაძლებლობა, მოსარჩელის მოქმედება –უსაფრთხოების ზომების იგნორირება, ლოკალიზების ზონის დარღვევა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიტოვებული ჩანთის გარეთ გატანა და მისი სავალ ნაწილზე მიტოვება არ იყო საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევისაკენ მიმართული, კანონმდებლობით დაშვებული მოსამსახურის მიხედულება კანონმდებლობით დასახული მიზნის, მოცემულ შემთხვევაში უშიშროების უზრუნველყოფას და არა თვითნებობას უკავშირდება. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით დისკრეციული უფლებამოსილება მოსამსახურისაგან მოითხოვს თვითნებობის აკრძალვას, უკანასკნელი თავის მხრივ უკავშირდება მოსამსახურის მიერ ზომების მიღებას კომპეტენტური მოსაზრებების საფუძველზე. მოსარჩელისათვის უცნობი იყო ხელბარგის შიგთავსი, მისი ქცევით რისკის ქვეშ დააყენა საკუთარი და გარშემომყოფთა სიცოცხლე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის უსაფრთხოება. შესაძლო საფრთხის ობიექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით განსაკუთრებულად საშიში იყო წინდახედული მოქმედება, რაიმე შეცდომის დაშვების გამოიციხვა. მოსარჩელემ სტრატეგიულ ობიექტზე უშიშროების ზომების დემონსტრაციული უგულვებლყოფით საშიშროება შეუქმნა როგორც საჯარო ისე კერძო ინტერესებს, მოსარჩელის საქციელი საერთოდ არ ისახავდა მიზნად რაიმე სიკეთის მიღწევას, ერთი მხრივ, ჩანთის მიტოვება არ იძლეოდა მისი სავალ ნაწილზე მიგდების საბაზს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩადენილი საქციელით მოსარჩელე ცინიკურ, უპატივცემულო დამოკიდებულებას ავლენდა სათანადო სამსახურების თანამშრომლებისადმი და მათ მიერ მიღებული პირველადი უსაფრთხოების ღონისძიებების მიმართ, შეგნებულად უშვებდა, ურიგდებოდა მძიმე შედეგის

დადგომის შესაძლებლობას, რაც ადასტურებს მისი ქცევის არაადეკვატურობას, წინაუხედავობას, სამსახურებრივი ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რაც იძლევა ჯ. ფ-მის საქციელის დისციპლინის უხეშ დარღვევად მიჩნევის პირობას. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია იმოქმედოს მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სათანადო უფლებამოსილება. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის ქცევა იყო არაგონივრული, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელმა კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნის – უსაფრთხოების მისაღწევად უნდა გაითვალისწინოს ე. წ. ნაგულიხმევი შეზღუდვები – იმოქმედოს გონივრულად იმ მიზნის შესაბამისად, რომლის მისაღწევადაც მიენიჭა მას კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის ქცევა არ პასუხობდა ამ მოთხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მოქმედებამ რისკის ქვეშ დააყენა მნიშვნელოვანი ფასეულობა – ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცულობა, სტრატეგიული ობიექტის მოქმედება, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა მოსარჩელის მიმართ მკაცრი დისციპლინური ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობდა ჯ. ფ-მის მიმართ “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამსახურის გავლის წესის” მე-20 მუხლის “ზ” ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის “კ” ქვეპუნქტის საფუძველზე სასაზღვრო პოლიციის რიგებიდან დათხოვნის საფუძველი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლისათვის შეუფერებელი საქციელის, სამსახურებრივი დისციპლინის უხეშ დარღვევის გამო. სზაკ-ის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ჯ. ფ-მის მოთხოვნის დაკმაყოფილების, მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის №479 ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე, სათანადოდ იქნა შეფასებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სადავო ბრძანება ემყარება სათანადო მტკიცებულებებს და არ ეწინააღმდეგება კანონს.

სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო შესაძლებლად თვლის საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რის შედეგადაც საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.05.2008წ. გადაწყვეტილება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით ჯ. ფ-მეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 02.07.2007 წ. №479 ბრძანების ბათილად ცნობასა და სამუშაოზე აღდგენის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.05.08წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. ჯ. ფ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის დარღვევის გამო

განჩინება

№ბს-1396-1354 (კ-08) 27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-შვილმა 2006 წლის ივლისში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2005 წლის 22 მაისის ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ზ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №190 ბრძანება ზ. მ-შვილის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 პ/შ ბრძანება მოსარჩელე ზ. მ-შვილის შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ; მოპასუხეს დაევალა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 2005 წლის 16 მაისიდან მუშაობდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მესამე სახაზო განყოფილებაში ... თანამდებობაზე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №190 ბრძანება მოსარჩელის სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მოტივით დისციპლინური სასჯელის სახით "საყვედურის" გამოცხადების შესახებ გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ სავალდებულო დებულებათა უგულვებელყოფით, მოსარჩელეს აღნიშნული აქტის გამოცემის წარმოებაში არ მიუღია მონაწილეობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ნაწილობრივ სარჩელი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ საქმეში წარმოდგენილი სადავო ბრძანებით და სამსახურებრივი შემოწმების დასკვნით გაურკვეველია და არ არის მითითებული, კონკრეტულად რაში გამოიხატება მოსამსახურის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2003 წლის 24 ივნისის №217 ბრძანებით დამტკიცებული "შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება და რის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ მაშინ, როდესაც დასკვნის შესაბამისად ერთი და იგივე გადაცდომისათვის ერთსა და იმავე პირობებში მყოფი პირებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ადმინისტრაციული აქტის მიღებისას დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 95-ე მუხლები, რადგან იგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იყო უფლებამოსილი, გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რაც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ადმინისტრაციული აქტი გამოსცა საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს არ მისცა საშუალება განეხორციელებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლება და ახსნა-განმარტებებით თუ დამატებითი მტკიცებულებით ემტკიცებინა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ბრალდების კანონიერება; ამასთან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ეცნობებინა მოსარჩელისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რადგან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით გაუარესდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, ვერც სადავო აქტით და ვერც სხვა რაიმე მტკიცებულებებით ვერ დგინდება მოსარჩელის დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და წარსულში მისი ისეთი საქმიანობა, რაც შეიძლება ყოფილიყო სამსახურიდან მისი დათხოვნის საფუძველი. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური ხელფასის სახით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის მოსაზრებით, საქმის მასალებში წარმოდგენილია ყველა ის მტკიცებულება, რომელიც ცალსახად ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საფუძველზე დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად დაადასტურა; კასატორი თვლის, რომ ზ. მ-შვილმა ჩაიდინა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების შესახებ" №217 ბრძანების მე-2 მუხლის "ა" პუნქტით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ -მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ზ. მ-შვილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 კ/შ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 კ/შ ბრძანებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილების (თელეთი-სადახლო) ... პოლიციის ლეიტენანტი ზ. მ-შვილი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შსს ორგანოებიდან სამხედრო ძალების თადარიგში; აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო-ქართლის სამმართველოს 2005 წლის 22 მაისის დასკვნა.

საქმეში წარმოდგენილ "შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს III სახაზო განყოფილების ... გ. ჩ-მისა და ზ. მ-შვილის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ" 2006 წლის 22 მაისის დასკვნაში მითითებულია, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გაირკვა, მორიგეობის გრაფიკის მიხედვით მორიგე ჯგუფში მყოფმა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს III სახაზო განყოფილების ..., პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ჩ-მემ და პოლიციის ლეიტენანტმა ზ. მ-შვილმა 2006 წლის 18 მაისის 5³⁰ საათზე ... საავტომობილო გზაზე გააჩერეს საპატრულო პოლიციის "ვაზ-2121" სახ. №..., ბორტის №... ა/მანქანა და ჩაიძინეს, რითაც ჩაიძინეს საქართველოს შსს სამინისტროს თანამშრო-

მელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. დასკვნაში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პატრულ-ინსპექტორებს გ. ჩ-მესა და ზ. მ-შვილს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც დაადასტურეს აღნიშნული ფაქტი. აღნიშნულის გამო, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 თავის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის და „საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების“ მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს III სახაზო განყოფილების . . . , პოლიციის ლეიტენანტი ზ. მ-შვილი დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი სამსახურიდან დათხოვნა.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს არ მისცემია საშუალება განეხორციელებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლება და ახსნა-განმარტებებით თუ დამატებითი მტკიცებულებით ემტკიცებინა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ბრალდების კანონიერება; საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ზ. მ-შვილის 2006 წლის 20 მაისის წერილობით ახსნა-განმარტებაზე, რომლითაც იგი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 2006 წლის 18 მაისს დილის 5 საათზე . . . საავტომობილო გზაზე გააჩერეს საპატრულო პოლიციის „ვაზ-2121“ სახ. №. . . , ბორტის №. . . ა/მანქანა და იმის გამო, რომ წვიმდა და ვერ ახერხებდნენ მანქანიდან გადმოსვლას, მანქანაში ჩაეძინა. სააპელაციო სასამართლომ კი ყოველივე ზემოაღნიშნულზე არ იმსჯელა და არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა; ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგად მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ამ ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, ერთის მხრივ, დადგენილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა მათზე, ხოლო, მეორეს მხრივ, ისე ჩათვალა სწორად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი მითითებული ნორმის გამოყენება და რატომ იყო შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო, ამიტომ საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივებს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორი გამოყენებისა და საქმის გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასების შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ზემოაღნიშნული აქტის ბათილად ცნობის ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან განთავისუფლება
დისციპლინის დარღვევის გამო**

განჩინება

№ბს-1396-1354 (კ-08) 7 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-შვილმა 2006 წლის ივლისში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2005 წლის 22 მაისის ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ზ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №190 ბრძანება ზ. მ-შვილის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 პ/შ ბრძანება მოსარჩელე ზ. მ-შვილის შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ; მოპასუხეს დაევალა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 2005 წლის 16 მაისიდან მუშაობდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მესამე სახაზო განყოფილებაში . . . თანამდებობაზე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №190 ბრძანება მოსარჩელის სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მოტივით დისციპლინური სასჯელის სახით "საყვედურის" გამოცხადების შესახებ გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალის-

წინებულ სავალდებულო დებულებათა უგულვებელყოფით, მოსარჩელეს აღნიშნული აქტის გამოცემის წარმოებაში არ მიუღია მონაწილეობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ნაწილობრივ სარჩელი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ საქმეში წარმოდგენილი სადავო ბრძანებით და სამსახურებრივი შემოწმების დასკვნით გაურკვეველია და არ არის მითითებული, კონკრეტულად რაში გამოიხატება მოსამსახურის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2003 წლის 24 ივნისის №217 ბრძანებით დამტკიცებული "შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება და რის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ, მაშინ როდესაც დასკვნის შესაბამისად ერთი და იგივე გადაცდომისათვის ერთი და იგივე პირობებში მყოფი პირებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ადმინისტრაციული აქტის მიღებისას დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 95-ე მუხლები, რადგან იგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იყო უფლებამოსილი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რაც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ადმინისტრაციული აქტი გამოსცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს არ მისცა საშუალება განეხორციელებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლება და ახსნა-განმარტებებით თუ დამატებითი მტკიცებულებებით ემტკიცებინა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ბრალდების კანონიერება; ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ეცნობებინა მოსარჩელისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რადგან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით გაუარესდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, ვერც სადავო აქტით და ვერც სხვა რაიმე მტკიცებულებებით ვერ დგინდება მოსარჩელის დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და წარსულში მისი მხრიდან ისეთი საქმიანობა, რაც შეიძლება ყოფილიყო სამსახურიდან მისი დათხოვნის საფუძველი. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური ხელფასის სახით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის მოსაზრებით, საქმის მასალებში წარმოდგენილია ყველა ის მტკიცებულება, რომელიც ცალსახად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საფუძველზე დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად დაადასტურა; კასატორი თვლის, რომ ზ. მ-შვილმა ჩაიდინა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების შესახებ" №217 ბრძანების მე-2 მუხლის "ა" პუნქტით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ზ. მ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 პ/შ

ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 16 ივნისის №159 პ/შ ბრძანებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილების (თელეთი-სადახლო) ... პოლიციის ლეიტენანტი ზ. მ-შვილი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შსს ორგანოებიდან სამხედრო ძალების თადარიგში; აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო-ქართლის სამმართველოს 2005 წლის 22 მაისის დასკვნა.

საქმეში წარმოდგენილ "შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს III სახაზო განყოფილების ... გ. ჩ-ძისა და ზ. მ-შვილის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ" 2006 წლის 22 მაისის დასკვნაში მითითებულია, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გაირკვა, მორიგეობის გრაფიკის მიხედვით მორიგე ჯგუფში მყოფმა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს III სახაზო განყოფილების ..., პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ჩ-ძემ და პოლიციის ლეიტენანტმა ზ. მ-შვილმა 2006 წლის 18 მაისს 5³⁰ საათზე ... საავტომობილო გზაზე გააჩერეს საპატრულო პოლიციის "ვაზ-2121" სახ. №..., ბორტის №... ა/მანქანა და ჩაიძინეს, რითაც ჩაიძინეს საქართველოს შსს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. დასკვნაში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პატრულ-ინსპექტორებს გ. ჩ-ძესა და ზ. მ-შვილს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც დაადასტურეს აღნიშნული ფაქტი. აღნიშნულის გამო, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 თავის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის და „საქართველოს შსს სამინისტროს დისციპლინური წესდების“ მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად შსს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს III სახაზო განყოფილების ..., პოლიციის ლეიტენანტი ზ. მ-შვილი დათხოვნილ იქნა შსს ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი სამსახურიდან დათხოვნა.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს არ მისცემია საშუალება განეხორციელებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლება და ახსნა-განმარტებებით თუ დამატებითი მტკიცებულებით ემტკიცებინა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ბრალდების კანონიერება; საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ზ. მ-შვილის 2006 წლის 20 მაისის წერილობით ახსნა-განმარტებაზე, რომლითაც იგი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 2006 წლის 18 მაისს დილის 5 საათზე ... საავტომობილო გზაზე გააჩერეს საპატრულო პოლიციის "ვაზ-2121" სახ. №..., ბორტის №... ა/მანქანა და იმის გამო, რომ წვიმდა და ვერ ახერხებდნენ მანქანიდან გადმოსვლას, მანქანაში ჩაეძინა. სააპელაციო სასამართლომ კი ყოველივე ზემოაღნიშნულზე არ იმსჯელა და არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა; ამ ნორმის თანახმად სასამართლოს აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგად მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ამ ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, ერთის მხრივ, დადგენილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა მათზე, ხოლო, მეორეს მხრივ, ისე ჩათვალა სწორად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი მითითებული ნორმის გამოყენება და რატომ იყო შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო, ამიტომ საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივებს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორი გამოყენებისა და საქმის გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასების შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ზემოაღნიშნული აქტის ბათილად ცნობის ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის უხეში დარღვევის გამო განჩინება

№ბს-36-36(კ-09)

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

ე. მ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების -აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და აჭარის ა/რ მთავრობის მიმართ, მე-სამე პირის -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

ე. მ-მე 2006 წლის მაისიდან მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების ... თანამდებობაზე. მას მუშაობის პერიოდში შენიშვნა ან საყვედური არ მიუღია, ხოლო კარგი მუშაობისათვის რამდენჯერმე მიიღო პრემია. 2008 წლის იანვარში მოსარჩელემ განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს, რომლითაც მას მოახსენა ხელვაჩაურის რაიონში ხე-ტყის უკანონო ჭრის თაობაზე. ამასთან, მოითხოვა კომისია სატყეო-სამეურნეო უბნების შესამოწმებლად. ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა

გ. კ-შვილმა 2008 წლის 24 იანვარს შუამდგომლობით მიმართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს, თითქოს მოსარჩელე 2007 წლის დეკემბერსა და 2008 წლის იანვარში არ ცხადდებოდა სამუშაოზე და ამ საფუძვლით მოითხოვა მისი სამუშაოდან გათავისუფლება. 2007 წლის 7 თებერვალს მოსარჩელეს ჩაჰბარდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის ბრძანება მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული ბრძანება ე. მ-მემ გაასაჩივრა აჭარის ა/რ მთავრობაში, მაგრამ მთავრობის 2008 წლის 18 მარტის ბრძანების თანახმად, უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის მითითებით, მას სამუშაო არ გაუცდენია და ზემომითითებულ პერიოდში კეთილ-სინდისიერად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. მისი სამუშაოდან დათხოვნა მოხდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის პირადი ინტერესით, რამდენადაც მოსარჩელემ სამმართველოს უფროსს აცნობა რაიონის ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო გაჩეხვის თაობაზე. ამასთან, აჭარის ა/რ მთავრობის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა მოხდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ასევე, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2008 წლის 5 თებერვლის №01-02/16 ბრძანება გამოცემულ იქნა ისე, რომ არ განხორციელებულა ადმინისტრაციული წარმოება, არ მოუთხოვიათ ფაქტზე ახსნა-განმარტება, არ ყოფილა შედგენილი რაიმე სახის აქტი მუშაობაში ნაკლოვანი მხარეების შესახებ. მოწმეებმა, რომლებიც ხელვაჩაურის განყოფილების მუშაკები იყვნენ, იძულებით და დაშინებით მისცეს ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის საწინააღმდეგო ჩვენებები, რომ, თითქოს ის სისტემატურად აცდენდა სამსახურს. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე მხარეს არ გააჩნდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ე. მ-მე სამუშაოს აცდენდა და არ ცხადდებოდა. ასეთი არც ადმინისტრაციული წარმოების დროს ყოფილა წარდგენილი და სათანადოდ გამოკვლეული.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველი:

გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას დარღვეულ იქნა ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში 2008 წლის 24 იანვარს გაიგზავნა სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის შუამდგომლობა ე. მ-მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობისათვის, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნულის გამო, ე. მ-მეს არაერთხელ ჰქონდა მიღებული სიტყვიერი შენიშვნა. მოპასუხის მტკიცებით, ეს გარემოება დადასტურდა სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების 2008 წლის 30 იანვრის კორესპონდენციითაც, სადაც ე. მ-მის სამუშაოზე სისტემატურ გამოუცხადებლობას ადასტურებდნენ ამავე განყოფილების სხვა საჯარო მოხელეები. კორესპონდენციაში მითითებული გარემოებები გადამოწმებულ იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ, კერძოდ, ხელვაჩაურის განყოფილებაში 2008 წლის 4 თებერვალს ჩატარდა თათბირი. სხდომაზე განყოფილების საჯარო მოხელეების მიერ კვლავ დადასტურდა ე. მ-მის სამსახურში სისტემატური გამოუცხადებლობის ფაქტი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე, 93-ე და 99-ე მუხლების საფუძველზე, ე. მ-მე სამუშაოდან გათავისუფლდა სამსახურებრივი მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობისათვის.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე აჭარის ა/რ მთავრობამ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ე. მ-მის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე 2008 წლის 20 თებერვლის №13 ბრძანებით დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ე. მ-მეს გაეგზავნა შეტყობინება და მიეცა შესაძლებლობა თავისი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების წარდგენისათვის. ზეპირი მოსმენა ჩატარდა 2008 წლის 6 მარტს, რომელსაც მოსარჩელე ესწრებოდა. ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო დასაბუთება იმისა, თუ რატომ უნდა ჩათვლილიყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ბრძანება ბათილად, ვერ წარადგინა ვერანაირი დოკუმენტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემდა ბრძანების ბათილად ცნობის შესაძლებლობას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ე. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ე. მ-მე 2006 წლის მაისიდან მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების . . . თანამდებობაზე. მას მუშაობის პერიოდში შენიშვნა ან საყვედური არ მიუღია, ხოლო კარგი მუშაობისათვის რამდენჯერმე მიიღო პრემია. ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა გ. კ-შვილმა 2008 წლის 24 იანვარს შუამდგომლობით მიმართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს, რომლითაც აცნობა, რომ ე. მ-მე არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, იგი დროულად არ ცხადდებოდა თავის სამუშაო ადგილზე, რის გამოც ვერ ახერხებდა მოქალაქეთა დროულ მიღებასა და მათი თხოვნა-საჩივრების განხილვას. 2008 წლის 30 იანვარს ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა გ. კ-შვილმა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის სახელზე დამატებით გააგზავნა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნა, რომ ე. მ-მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა გამოიხატა, როგორც სამუშაოზე მისი გამოუცხადებლობით, ისე თათბირებზე არდასწრებით, რის გამოც ვერ ხერხდებოდა მისთვის დავალების დროულად მიცემა და საფრთხე ექმნებოდა იმ სამუშაო პროცესების განხორციელებას, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ხელვაჩაურის განყოფილებას. 2008 წლის 4 თებერვალს ამავე განყოფილებაში შედგა თათბირი, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა საკითხი ე. მ-მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ. აღინიშნა, რომ მას არაერთხელ ჰქონდა მიღებული სიტყვიერი შენიშვნა, რაც დადასტურდა განყოფილების საჯარო მოხელეების მიერ. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის -ი. კ-აკის მიერ 2008 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა ბრძანება ე. მ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომლის მიხედვით, ე. მ-მის სამსახურში გამოუცხადებლობა მიჩნეულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულ შეუსრულებლობად.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ ე. მ-მის მიმართ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის შესაბამისად, გამოიკვლია ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მოპასუხის მიერ დადგენილ იქნა, რომ ე. მ-მემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა, როგორც სამუშაოზე მისი გამოუცხადებლობით, ისე სამუშაო თათბირებზე არდასწრებით, რითაც ხელი შეეშალა იმ სამუშაო პროცესების განხორციელებას, რომელიც დაკისრებული ჰქონდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99.3 მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლონ მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად არღვევდა სამსახურებრივ მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარემ ე. მ-მის სამუშაოზე დიდი ხნის განმავლობაში სისტემატური გამოუცხადებლობა სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად შეაფასა, რაც სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რადგან ეს არ ყოფილა ე. მ-მის მიერ სამუშაოზე ერთჯერადი გამოუცხადებლობა ან ერთი პერიოდის განმავლობაში ერთჯერადად რამდენიმე დღით გამოუცხადებლობა, არამედ, როგორც აღინიშნა, ე. მ-მე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სისტემატურად აცდენდა სამსახურს, რითაც ზიანი ადგებოდა სამმართველოს მუშაობას. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, არ არსებობდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო ე. მ-მის მოთხოვნა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის №24 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას პროცედურული დარღვევები არ მომხდარა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.1 მუხლით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა მისი კანონწინააღმდეგობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით არაკანონიერი იყო და ექვემდებარებოდა გაუქმებას. საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ შრომის დისციპლინა უხეშად დაარღვია. მოპასუხეების მიერ საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი სახის მტკიცებულება იმის შესახებ, რომ აპელანტი არ ცხადდებოდა სამუშაოზე, არ იყო წარდგენილი სათანადო აქტები ე. მ-მის სამუშაოზე გამოუცხადებლობისა და დაკისრებული მოვალეობების შე-

უსრულელობის შესახებ. ასევე არ იყო წარდგენილი სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით სამუშაოს გაცდენის მონაცემები. საქმეში წარდგენილი სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების 2008 წლის 4 თებერვლის №01-16/01 სხდომის ოქმის თანახმად, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ესწრებოდა თათბირს და დასვა საკითხი ტყეებში არსებული უკანონო ჭრების გამოვლენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ. ამავე ოქმით უტყუარადაა დადასტურებული, რომ სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილებაში ზემოაღნიშნული თათბირის გარდა სხვა თათბირი 2008 წელს არ ჩატარებულა, რასაც მოწმობდა მოცემული ოქმის ნუმერაცია.

აპელანტის განმარტებით, საქმის მასალებით არ არის დადგენილი, თუ რა სახის უხეში დარღვევები ჩაიდინა მან, რომელ რიცხვში არ გამოცხადდა სამუშაოზე, რა დავალება არ შეასრულა, რომელ მოქალაქეს შეეშალა ხელი მისი ქმედებით და რა ზარალი მიადგა ორგანიზაციას. ყოველივე ზემოაღნიშნული და საქმეში წარდგენილი ფაქტები ბანკის პრემიებისა და ხელფასის დარიცხვის ამონაწერის შესახებ უტყუარად ადასტურებდა, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან გათავისუფლების დღემდე, ანუ 2008 წლის 5 თებერვლის ჩათვლით, სრულყოფილად ჰქონდა მას დარიცხული ხელფასი ყველა სამუშაო დღეების მიხედვით. ამასთან, კარგი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა პრემია სამჯერ და არ გაუცდენია არასაპატიო მიზეზით არც ერთი სამუშაო დღე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ე. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ე. მ-ძე 2006 წლის მაისიდან მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების ... თანამდებობაზე. ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა გ. კ-შვილმა 2008 წლის 24 იანვარს შუამდგომლობით მიმართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს ე. მ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე იმ მიზეზით, რომ იგი არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, დროულად არ ცხადდებოდა სამსახურში, რის გამოც ვერ ახერხებდა მოქალაქეთა დროულ მიღებასა და მათი თხოვნა-საჩივრების განხილვას, არ ესწრებოდა თათბირებს, რის გამოც ვერ ხერხდებოდა მასზე დავალების დროულად მიცემა და საფრთხე ექმნებოდა იმ სამუშაო პროცესის განხორციელებას, რომელიც ეკისრებოდა ხელვაჩაურის განყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ ე. მ-ძის მიმართ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის შესაბამისად, გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რადგან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99.3 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლონ მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საფუძველს იყო მოკლებული აპელანტის მოთხოვნა "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის №01-03/16 ბრძანების გაუქმების შესახებ" ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე" აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის №24 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. მ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიკვლია და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სადავო ბრძანება ეფუძნება დაინტერესებული პირის –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის –მ. კ-შვილის 2008 წლის 24 იანვრის შუამდგომლობას მოსარჩელის მიერ სამუშაოს შეუსრულელობის გამო, სამუშაოდან გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ, რომელსაც იმ დროისთვის არავითარი დასაბუთება არ ახლდა. კასატორის აზრით, დაწესებულებაში სწორი მართვისა და მენეჯმენტის

პირობებში თანამშრომლის სამსახურში გამოცხადება აღირიცხება ე.წ. "ტაბელის" ან სპეციალური, თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ჟურნალში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. ამასთან, ე. მ-მისათვის არავის უცნობებია, რომ ზემდგომ ორგანოში განსახილველად გაიგზავნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, შეიძლება მოსარჩელე გაეთავისუფლებინათ. ამ უკანასკნელს კი არ მიეცა შესაძლებლობა, შესაბამისი მტკიცებულებები წარედგინა ადმინისტრაციული წარმოების ამ ეტაპზე და დაეცვა მისი უფლებები.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" საქმის წარმოების წესები არ იცნობს ისეთ დოკუმენტს, როგორცაა განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ სხვა თანამშრომლები. აღნიშნულ მოხსენებით ბარათში დამატებულია კიდევ ერთი ბრალდება, რომ მოსარჩელე არ ესწრებოდა თათბირებს მაშინ, როცა სასამართლოს მიერ მტკიცებულებად მიჩნეული 2008 წლის 4 თებერვლის №01-16/01 სხდომის ოქმით დგინდება, რომ ე. მ-მე ესწრებოდა თათბირს, ხოლო აღნიშნული ოქმის ნუმერაციის მიხედვით, ეს იყო ერთადერთი თათბირი, რომელიც ჩატარდა 2008 წელს. ამდენად, სხვა თათბირები არ ჩატარებულა და შესაბამისად, ვერც მოსარჩელე დაესწრებოდა მათ.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის განჩინებით ე. მ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ ე. მ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ე. მ-მე მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების ... თანამდებობაზე, ხოლო აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა -გ. კ-შვილმა 2008 წლის 24 იანვარს შუამდგომლობით მიმართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს, რომლითაც აცნობა, რომ ე. მ-მე არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, იგი დროულად არ ცხადდებოდა თავის სამუშაო ადგილზე (ხშირ შემთხვევაში, მთელი დღის განმავლობაში), რის გამოც ვერ ახერხებდა მოქალაქეთა დროულ მიღებასა და მათი თხოვნა-საჩივრების განხილვას, ხოლო ამასთან დაკავშირებით, მას არაერთხელ ჰქონდა მიღებული სიტყვიერი შენიშვნა, რის გამოც ზიანი ადგებოდა იმავე განყოფილების ადმინისტრაციას და აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპებს. გ. კ-შვილმა ხსენებული შუამდგომლობით აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის წინაშე იშუამდგომლა, რომ მას თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ე. მ-მე. 2008 წლის 30 იანვარს აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა -გ. კ-შვილმა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს, 2008 წლის 24 იანვრის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, დამატებით წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნა, რომ ე. მ-მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა გამოიხატებოდა, როგორც სამუშაოზე მის გამოუცხადებლობაში, ისე თათბირებზე არდასწრებაში (რასაც დაადასტურებდნენ ამ განყოფილების თანამშრომლები), რის გამოც ვერ ხერხდებოდა მისთვის დავალების დროულად მიცემა და საფრთხე ექმნებოდა იმ სამუშაო პროცესების განხორციელებას, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა ამ განყოფილებას. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების 2008 წლის 4 თებერვლის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ე. მ-მე, მოისმინეს აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის -გ. კ-შვილის მოხსენება იმის თაობაზე, რომ ე. მ-მე არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დროულად არ ცხადდებოდა სამსახურში (ხშირ შემთხვევაში, მთელი დღის განმავლობაში), რის გამოც ვერ ახერხებდა მოქალაქეთა მიღებას და მათი განცხადებების განხილვას, მას არაერთხელ ჰქონდა მიღებული სიტყვიერი შენიშვნა, აღნიშნული გარემოება კი დადასტურებულ იქნა ამ განყოფილების კონკრეტული საჯარო მოხელეების მიერ.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების შესაბამისად, ასევე დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის №01-03/16 ბრძანებით აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის მოადგილე ე. მ-მე 2008 წლის 5 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 79-ე მუხლის “ვ” ქვეპუნქტის, 93-ე მუხლისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის №01-03/16 ბრძანებაზე ე. მ-მემ წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის №24 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიკვლია და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ე. მ-მის მიერ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობაზე მითითებულია მოცემულ საქმეში წარმოდგენილ მთელ რიგ მტკიცებულებებში, კერძოდ: აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის –გ. კ-შვილის 2008 წლის 24 იანვრის შუამდგომლობაში; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის –გ. კ-შვილის 2008 წლის 30 იანვრის მოხსენებით ბარათში; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების 2008 წლის 4 თებერვლის №01-16/01 სხდომის ოქმში. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების ... ე. მ-მის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის №01-03/16 ბრძანებაში მიეთითა სწორედ დასახელებულ სამ მტკიცებულებაზე. გარდა ამისა, იმავე ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 79-ე მუხლის “ვ” ქვეპუნქტზე, 93-ე მუხლზე, 99-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და მასში გარკვევით აღინიშნა, რომ “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 78-ე მუხლის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა, რაც იმავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, იყო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის №24 ბრძანებაშიც აღინიშნა, რომ, როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვეოდა, ე. მ-მე არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, არ ცხადდებოდა სამსახურში (ხშირ შემთხვევაში, მთელი დღის განმავლობაში), რის გამოც ვერ ახერხებდა მოქალაქეთა დროულ მიღებასა და განცხადებების განხილვას, რაც იწვევდა ამ განყოფილების მუშაობის შეფერხებას, ხოლო ე. მ-მემ ვერ წარადგინა აღნიშნულის საპირისპირო კონკრეტული მტკიცებულება და აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული ბრძანება კანონის დარღვევით არ იყო მიღებული.

ე. მ-მის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის №01-03/16 ბრძანების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 78-ე მუხლზე, რომელშიც ჩამოთვლილია დისციპლინური გადაცდომის სახეები, რომლის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რომლის “ვ” ქვეპუნქტის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ ზომას წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. ხსენებული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოხელე, რომელიც

თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, გათავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებური დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, მოცემული საქმის მასალებით არ დასტურდება ე. მ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომის გამოყენება, მაგრამ მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების არარსებობა არ გამორიცხავს შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, კერძოდ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებულად მოხელის სამსახურიდან პირდაპირი გათავისუფლების შესაძლებლობა დადგენილია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევა. ამასთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულია სამსახურიდან გათავისუფლების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემთხვევები. პრაქტიკაში სავსებით შესაძლებელია, რომ სახეზე არ იყოს მოხელის მიერ თვითნებურად, 5 დღეზე მეტი ხნით სამსახურის მიტოვება, მაგრამ მოხელე სისტემატურად, 5 დღეზე ნაკლები დროის განმავლობაში, პერიოდულად არ ცხადდებოდეს სამსახურში და არსებობდეს მოხელის მიერ სამსახურში სისტემატური, პერიოდული გამოუცხადებლობის დადასტურებული ფაქტები, რაც სამართლებრივად, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევა და იგი ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც სამსახურში 5 დღეზე მეტი ხნით დენადი გამოუცხადებლობა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოხელის ქმედების "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაკვალიფიცირებისას უფლებამოსილია, მოახდინოს ამ პუნქტის ნორმის დამოუკიდებლად რეალიზება, ანუ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის ნორმა ამ კანონში, განსახილველი კუთხით, შეტანილია სწორედ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოხელის ქმედებაში არ არის ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების ნორმის შემადგენლობა, თუმცა რეალურად, მოხელე სამსახურში სისტემატურად, პერიოდულად, კერძოდ, 5 დღეზე ნაკლები ხნით არ გამოცხადდებოდა, რაც იურიდიულად ქმნის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის ცალკე, დამოუკიდებელ შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმდენად, რამდენადაც მოსარჩელე ე. მ-ძე სარჩელით სადავოდ ხდიდა მოწმეების აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების კონკრეტული მუშაკების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოსარჩელის საწინააღმდეგოდ მიცემულ ჩვენებებს და ამტკიცებდა, რომ მათ ჩვენებები მისცეს იძულებით და დაშინებით, რაზეც მიუთითებდა საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის სხდომაზეც, შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ, სასამართლო სხდომაზე დაკითხა კონკრეტული მოწმეები, კანონით დადგენილი, ჩვენების სისწორის უზრუნველყოფის საპროცესო მექანიზმის გამოყენებით -ყველა მოწმის გაფრთხილებით შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 370-371-ე მუხლებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რაზედაც მათ ჩამოერთვათ ხელწერილები. მოწმეებმა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს -სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსმა და თანამშრომლებმა სასამართლო სხდომაზეც დაადასტურეს, რომ ე. მ-ძე პერიოდულად, სისტემატურად, მთელ რიგ შემთხვევებში არ ცხადდებოდა სამსახურში. ამდენად, ამ ეტაპზე, შეუძლებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში კვლავ ეჭვქვეშ დადგეს საქალაქო სასამართლოში მოწმეების მიერ მოცემულ საქმეზე მიცემული ჩვენებების სისწორე. აღნიშნული ლოგიკურად გამორიცხავს ე. მ-ძის მიერ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრების გაზიარებასაც იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ ჩვენებების მიმცემი მოწმეები იყვნენ ზეწოლის ქვეშ. ამავე სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ე. მ-ძეს ზედიზედ 5 დღით კი არ გაუცდენია სამსახური, არამედ სამსახურს პერიოდულად აცდენდა ზედიზედ 2-3 დღით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე ადმინისტრაციული სამართალწარმოების -ამ საქმის მასალების ერთობლიობით კომპლექსურად არის დადასტურებული ე. მ-ძის მიერ სამუშაოზე არა დიდი ხნის განმავლობაში დენადი, არამედ სწორედ სამსახურში სისტემატური, პერიოდული გამოუცხადებლობა, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სწორად შეაფასეს, როგორც ე. მ-ძის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მიერ კასაციის მიზეზად იმაზე მითითებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" საქმის

წარმოების წესები არ იცნობს ისეთ დოკუმენტს, როგორცაა განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ სხვა თანამშრომლები. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს –სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის –გ. კ-შვილის 2008 წლის 30 იანვრის მოხსენებით ბარათს ხელს აწერს სწორედ გ. კ-შვილი, როგორც ამ მოხსენებითი ბარათის ავტორი, ხოლო ამავე განყოფილების სხვა თანამშრომლები მოხსენებითი ბარათის ტექსტსა და გ. კ-შვილის ხელმოწერას შორის (და არა ამ ბარათზე გაკეთებული) ხელმოწერებით, ამავე ბარათის ტექსტის შესაბამისად, ადასტურებენ ამ მოხსენებით ბარათში მოყვანილ მტკიცებას ე. მ-ძის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის თაობაზე და, შესაბამისად, ხსენებული თანამშრომლები არ წარმოადგენენ დასახელებული მოხსენებითი ბარათის ავტორებს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ ე. მ-ძის მიმართ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რადგან “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაეთავისუფლებინათ მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევდა სამსახურებრივ მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საფუძველს არის მოკლებული ე. მ-ძის მოთხოვნა “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2008 წლის 5 თებერვლის №01-03/16 ბრძანების გაუქმების შესახებ” ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე” აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის №24 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლზე (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი), რომლის თანახმად, თუ ამ თავით (თავი XIII –ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავში კი მოცემულია ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი და მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ამავე კოდექსის VII თავის (ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში) 103-ე მუხლის (ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში) პირველ ნაწილშიც მითითებულია, რომ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით. ხსენებული კოდექსის 106-ე მუხლით რეგლამენტირებულია კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმი, რომლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე –მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოხსენებული ნორმების შეჯერებით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისათვის ხსენებული კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, მაგრამ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება, როგორც სპეციალური წარმოება, არ არის განყენებული, ნორმატიულად და პროცედურულად აბსოლუტურად გამიჯნული წარმოება და იგი იმავდროულად, ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების კანონით დადგენილ ლეგალურ ფარგლებში რეალიზებითაც, ადმინისტრაციული წარმოების იმ სახის, კერძოდ, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით, რომელსაც, მათ შორის, ეძღვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავი, რადგან ამ კოდექსის 185-ე მუხლის ნორმა არ შეიცავს რაიმე მითითებას ამავე კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებების მხოლოდ ნაწილის გამოყენებაზე. ამასთან, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციული ორგანო არ დგას ადმინისტრაციული წარმოების სახის არჩევანის წინაშე, რადგან აღნიშნული კანონითაა რეგლამენტირებული, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლში, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ არის მითითებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და ამავედროულად, ამავე მუხლში არ არის ბლანკეტური მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII და IX

თავების დებულებებზე, რომლებიც, შესაბამისად, ითვალისწინებს ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების სახეებს. აღნიშნული ასევე დასტურდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 107-ე მუხლისა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილების ნორმებით, რომლებითაც ხსენებული თავებით დადგენილი წესების შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით (შესაბამის შემთხვევაში, სასამართლო სხდომის ოქმი), ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის არარსებობა, თავისთავად, არ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე სხდომის თავმჯდომარის მხოლოდ ხელმოწერლობა დამოუკიდებლად ვერ გახდება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ამგვარ საფუძველს საჯარო სამართლის სფეროში შემავალი შესაბამისი მატერიალურ-საკანონმდებლო აქტი - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს. საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის სხდომაზე აჭარის ა/რ მთავრობის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული მოსმენის 2008 წლის 6 მარტის №1 ოქმი ხელმოწერილია და სახეზეა ტექნიკური ხარვეზი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, მოცემულ საქმეში წარმოდგენილია აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული მოსმენის 2008 წლის 6 მარტის №1 ოქმის ასლი, რომელზეც არ არის სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა და ამ ასლზე არის მხოლოდ სხდომის მდივნის ხელმოწერა, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული გარემოება ვერ დააფუძნებს ე. მ-ძის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების უკანონობას და ვერ ჩაითვლება იმავე საჩივრის განხილვის შედეგად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 18 მარტის №24 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგება კანონს, ისინი გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისად, არ არსებობს ხსენებული აქტების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძველები.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წამოუყენებია რაიმე დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საფუძველად შეიძლება დასდებოდა მისი საკასაციო საჩივრისა და სარჩელის დაკმაყოფილებას. გასაჩივრებული აქტების კანონიერება გამორიცხავს ე. მ-ძის სხვა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობა და ამ საქმეზე მიიღო კანონიერი განჩინება, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიერ, კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ე. მ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 243.2, 257-ე, 389-ე, 411-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის დარღვევის გამო

განჩინება

№ბს-422-407 (კ-09)

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 მაისს მ. კ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც წარმატებით გაიარა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 16 აგვისტოს №1128/კ ბრძანებით დაინიშნა ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობისას არ მიუღია გაფრთხილება ან საყვედური საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან.

მოსარჩელის განმარტებით, ხსენებულ თანამდებობაზე ორი წლის მუშაობის მანძილზე არ უსარგებლია შვებულებით. 2008 წლის 1 აპრილიდან მ. კ-მე გავიდა კუთვნილ შვებულებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, თუმცა 2007 წლის 21 ნოემბერს ზემოხსენებული დებულების მე-3 მუხლში შევიდა ცვლილება, რის თაობაზეც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსარჩელისათვის არ უცნობებია.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის მსგავსად დაახლოებით ორმოცი რესურს-ცენტრის უფროსმა ისარგებლა შვებულებით ისე, რომ ერთი კვირით ადრე არ უცნობებიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, მაგრამ მათთვის სიტყვიერი საყვედურიც კი არ მიუციათ. მოსარჩელის შემთხვევაში, აღნიშნული მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ "ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებით ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის (მ. კ-მის) 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება "მ. კ-მის შვებულე-

ბის შესახებ” გამოცხადდა ძალადაკარგულად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტისა და “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების” მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, არც ერთი მითითებული ნორმა არ ანიჭებდა სამინისტროს უფლებას ძალადაკარგულად ეცნო რესურს-ცენტრის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მით უფრო, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ზემოხსენებული ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი არარად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, მოსარჩელემ გათავისუფლების ბრძანებაც უკანონოდ მიიჩნია, რამდენადაც ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდში, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 111-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოხელე არ შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ “ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანების არარად ცნობა, “მ. კ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -სამსახურიდან გათავისუფლების -გამოყენების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

2008 წლის 17 ივლისს მ. კ-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა “ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებისა და “მ. კ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -სამსახურიდან გათავისუფლების -გამოყენების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანების ბათილად ცნობა მისი ძალაში შესვლის დღიდან და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ 2008 წლის 31 მარტის წერილით, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შევიდა 2008 წლის 2 აპრილს, ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მ. კ-ძემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცნობა მის მიერ კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის თაობაზე, 2008 წლის პირველი აპრილიდან 30 აპრილამდე. აღნიშნული აქტის გამოცემით დარღვეულ იქნა “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის “თ¹” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსი თავის ან/და რესურს-ცენტრის თანამშრომლის უცხოეთში მივლინების, აგრეთვე თავისი შვებულების თაობაზე ვალდებულია, აცნობოს სამინისტროს უცხოეთში მივლინების/შვებულების თარიღამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა. აღნიშნული ცვლილება შევიდა 2007 წლის 21 ნოემბერს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ გამოქვეყნდა.

მოპასუხის განმარტებით, რესურს-ცენტრის უფროსის მიერ არათუ დარღვეული იყო ერთკვირიანი ვადა, არამედ სამინისტროში ინფორმაცია წადგენილ იქნა მ. კ-ძის შვებულებაში ყოფნის დროს. ამდენად, ... რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება გამოცემული იყო უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, რაც ხსენებული აქტის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი იყო. “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, მინისტრი თვალყურს ადევნებდა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების მიერ

თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებდა სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე. ამავე კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილი იყო, აქტი ეცნო ძალადაკარგულად. ამდენად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანება გამოცემული იყო უფლებამოსილი პირის მიერ და მოსარჩელის მტკიცება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს არ ჰქონდა აღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის უფლება, უსაფუძვლო იყო.

მოპასუხემ მ. კ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანების გამოცემის შემდეგ მ. კ-ძეს მიეცა საშუალება, წარმოედგინა ახსნა-განმარტება "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ მისი შვებულების საკითხი მინისტრთან წინასწარ შეთანხმებული იყო და აღნიშნულის თაობაზე წერილობით მიმართა კიდევ მინისტრს, თუმცა ხსენებული წერილი შეიცავდა მხოლოდ ერთ წინადადებას ("გთხოვთ, უახლოეს მომავალში მიმიღოთ, ჩვენს სფეროში, განათლების სისტემაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით") და არ მოიცავდა მითითებას შვებულებასთან დაკავშირებით.

მოპასუხის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მ. კ-ძის ახსნა-განმარტებაში არ იქნა დაფიქსირებული მოსარჩელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მოსარჩელე გაათავისუფლა თანამდებობიდან, გამოყენებულ იქნა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის, ანუ სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ამდენად, მოპასუხის განმარტებით, არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. კ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რამდენადაც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მ. კ-ძემ რ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მას არ დაურღვევია "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტი, ან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო საპატიო გარემოებით. ასევე, ვერ იქნა დადასტურებული და საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების დროს შესწავლილი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რითაც დარღვეული იქნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ ჰქონდა უფლება ძალადაკარგულად ეცნო რესურს-ცენტრის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებდა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას, მათი საქმიან-

ნობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას და კანონით დადგენილი წესით ახორციელებდა სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას, ხოლო იმავე მუხლის "მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტებს. ამასთან, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რესურს-ცენტრის საქმიანობაზე მუდმივ კონტროლს ახორციელებდა სამინისტრო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელისათვის "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მოთხოვნათა შეუსრულებლობა წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზეც, რომ განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინება მ. კ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსად მუშაობდა ორი წელი, ამ ხნის მანძილზე არასოდეს უსარგებლია შვებულებით. 2008 წლის პირველი აპრილიდან გავიდა კუთვნილ შვებულებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. 2007 წლის 21 ნოემბერს ზემოხსენებული დებულების მე-3 მუხლში შევიდა ცვლილება, რის თაობაზეც სამინისტროს ოფიციალურად არ უცნობებია მ. კ-მისათვის, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდა "ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება "მ. კ-მის შვებულების შესახებ". კასატორის განმარტებით, არც ერთი მითითებული ნორმა არ ანიჭებდა სამინისტროს ძალადაკარგულად ეცნო რესურს-ცენტრის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, მინისტრის ზემოხსენებული ბრძანების დასაბუთებაში მითითებული 61-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ სადავო აქტში არ არის მითითებული ის საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტი, ან შესაბამისი ნორმა, რის საფუძველზეც გამოიცა აღნიშნული აქტი, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ. კ-მის შვებულებაში ყოფნით სამინისტრო არ დაზარალებულა, ვინაიდან აღნიშნულით სამინისტროს ხელი არ შეშლია მუშაობაში.

კასატორის განმარტებით, ზემოთ ხსენებული ნორმების გარდა, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2008 წლის 15 აპრილის №425/კ ბრძანების გამოცემისას არ იყო დაცული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარეს-

დეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იქნა დაცული.

კასატორის განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იგი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ხოლო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია გასცეს წერილობითი მითითება შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა იმ მომენტისათვის, ვინაიდან სამინისტრო ყოველთვის აღიარებდა, რომ მ. კ-მე იყო კარგი თანამშრომელი.

კასატორი აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიძლება გამოყენებულიყო, თუ ადგილი ექნებოდა კასატორი მოვალეობას უხეზად დაარღვევდა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, ვინაიდან მ. კ-ძის შვებულებაში ყოფნით სამინისტროს ხელი არაფერში შეშლია.

კასატორი მიუთითებს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებობის ნებისმერი სხვა ზომა. მ. კ-მეს კი არასოდეს მიუღია არც გაფრთხილება და არც საყვედური.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 2 ივლისს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოადგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: "ქ. ... საგანამანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მ. კ-ძის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანებით დგინდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანამანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს მ. კ-ძეს მიეცა 2008 წლის კუთვნილი შვებულება 2008 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით. მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისი მოვალეობის შესრულება დაევა ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროს სპეციალისტს მ. ა-ძეს. ამავე ბრძანებით განისაზღვრა ბრძანების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის შეტყობინება, ხოლო ბრძანების შესრულება დაევა საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროს სპეციალისტს ო. კ-შვილს. ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა 2008 წლის 31 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს მ. გ-შვილს აცნობა, რომ 2008 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების საფუძველზე იმყოფებოდა შვებულებაში, ხოლო მის მოვალეობას შეასრულებდა ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი მ. ა-ძე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ... საგანამანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება, ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტის გამოცემით რესურს-ცენტრის უფროსმა დაარღვია ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული, შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციული აქტი -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დადგენილი ვალდებულება. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანამანათლებლო რესურს-

ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსი ვალდებულია თავისი შვებულების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობოს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მ. კ-მემ თავისი შვებულების თაობაზე ინფორმაცია სამინისტროს მიაწოდა 2008 წლის 2 აპრილს (სამინისტროში წერილობითი ინფორმაციის წარდგენის თარიღი), ხოლო შვებულებაში გავიდა 2008 წლის პირველი აპრილიდან. სადავო ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ რესურს-ცენტრის უფროსის მიერ შვებულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით და ვადებში მიწოდების შემთხვევაში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში რესურს-ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის მითითებით, როგორც რესურს-ცენტრის უფროსის მიმართ საკადრო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, შესაძლებელია მიეღოს სხვა გადაწყვეტილება შვებულების თარიღთან დაკავშირებით. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება "მ. კ-მის შვებულების შესახებ" გამოცემული იყო უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით და ზედამხედველობის წესით ექვემდებარებოდა ძალადაკარგულად გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ამავე ბრძანებით მ. კ-მეს დაევალა აღნიშნული ბრძანების კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენა მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობის საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ასევე ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-მის 2008 წლის 22 აპრილის №114 ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მან 2008 წლის 22 აპრილს მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №337 ბრძანება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება "მ. კ-მის შვებულების შესახებ". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, რომლითაც მას არ უსარგებლია ორი წლის მანძილზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №337 ბრძანების საფუძველზე 2008 წლის 22 აპრილიდან კი გამოვიდა სამსახურში და ასრულებდა მის მოვალეობას. ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მ. კ-მე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მან ჯერ კიდევ 2008 წლის 24 მარტს მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თხოვნით მიღებაზე, რათა ესაუბრათ მათ სფეროში არსებულ საკითხებზე, მათ შორის, იგულისხმებოდა შვებულებაში გასვლაც. აღნიშნული წერილი სამინისტროში გატარებულია 24/03/6075 ნომრით, რაზეც მოსარჩელეს სამინისტროდან პასუხი არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მ. კ-მის მიერ მითითებული 2008 წლის 24 მარტის №24/03/6075 წერილი არ მოიცავდა არანაირ მითითებას შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტის პირდაპირ მიუთითებდა, რომ შვებულების თაობაზე რესურს-ცენტრის უფროსი ვალდებულია აცნობოს სამინისტროს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, ამასთან, მ. კ-მის ახსნა-განმარტებით ბარათში არ იყო მითითებული ისეთი გარემოების შესახებ, რაც გამოავლენდა მოსარჩელის მიერ დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზს, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა), 79-

ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის, 99-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად და მ. კ-ძის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა -თანამდებობიდან გათავისუფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულია, რომ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები, რომლებიც იქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამდენად, მ. კ-ძე მუშაობდა რა ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის თანამდებობაზე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის შრომის უფლებას, რის გამოც სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ხსენებულ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი ნორმების მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს, რომლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად კი, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. სწორედ ხსენებულ ნორმაზე უთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება უდავოდ წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაგრამ სამინისტრომ ვერ დაასაბუთა, რამდენად წარმოადგენდა შვებულებამდე ერთი კვირით ადრე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი შეუტყობინებლობა უხეშ დარღვევას, რომელიც შეიძლება საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველი გამხდარიყო, სხვა საფუძველი კი მ. კ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული არ არის. მით უფრო, რომ მ. კ-ძის მიმართ სხვა პრეტენზიების არსებობის ფაქტი არც საქმის მასალებით და არც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებით არ დასტურდება. ამასთან, საქმეში არსებული ურთიერთგამომრიცხავი ცნობების მიუხედავად არ იქნა გამოკვლეული, შვებულების თაობაზე ერთი კვირით ადრე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი შეუტყობინებლობით, რეალურად რა ზიანი მიადგა ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს. ამასთან, საჭირო იყო თუ არა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის შვებულებაში გასასვლელად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა და ამ კუთხით არ იქნა შემოწმებული საქარ-

თველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას მოპასუხე მოქმედებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რომ არ იმსჯელა და არ გამოიკვლია, რამდენად იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული თანაზომიერების პრინციპი, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე თავის სასარჩელო განცხადებაში უთითებს, რომ მის მსგავსად დაახლოებით ორმოცი რესურს-ცენტრის უფროსმა ისარგებლა შვებულებით, ისე რომ ერთი კვირით ადრე არ უცნობებიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, მაგრამ მათთვის სიტყვიერი საყვედურიც კი არ მიუციათ, ანუ წარმოადგენდა თუ არა მხოლოდ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტის შეუსრულებლობა ყველა შემთხვევაში საჯარო მოსამსახურის მიმართ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის უმაღლესი ზომის -სამსახურიდან განთავისუფლების -გამოყენების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო დამატებით იმ გარემოებაზეც მიაქცევს ყურადღებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანება "მ. კ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -სამსახურიდან განთავისუფლების -გამოყენების შესახებ" გამოცემულ იქნა 2008 წლის 23 აპრილს, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით დაწერილი მ. კ-ძის ახსნა-განმარტებითი ბარათი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესული იყო 2008 წლის 24 აპრილს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერად მიჩნევისათვის იგი ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით რეგლამენტირებულ ყველა ლეგალურ დანაწესსა და იმპერატიულ მოთხოვნას, რათა ობიექტურად გამოირიცხოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ხოლო, თუ იგი ეწინააღმდეგება ამა თუ იმ კანონს, მაშინ იარსებებს დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილით რეგლამენტირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმები და არ იმსჯელა მთავარ საკითხზე -რამდენად წარმოადგენდა "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტის შეუსრულებლობა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უხემ დარღვევას; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას დაცული იქნა თუ არა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი და კანონიერად გაათავისუფლეს თუ არა სამსახურიდან მ. კ-ძე; სასამართლომ არ დაუსაბუთებია გასაჩივრებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანებების შესატყვისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ "ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებისა და "მ. კ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -სამსახურიდან გათვისუფლების -გამოყენების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანების კანონიერება უნდა შეამოწმოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის არაად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მ. კ-ძის მიერ ვერ იქნა დადასტურებული და საქმეშიც არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, იმის შესახებ, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მიღების დროს შესწავლილი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რითაც დარღვეული იქნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის დარღვევის გამო

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-179-173 (კ-09) 30 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. მ-მემ 2005 წლის ოქტომბერში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 9 სექტემბრის №2504 ბრძანების ბათილად ცნობა მისი სამსახურიდან დათხოვნის ნაწილში, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 9 სექტემბრის №2504 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა განსახილველი საკითხის გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შ. მ-მემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 თებერვლის განჩინებით შ. მ-ძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 9 სექტემბრის №2504 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა განსახილველი საკითხის გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე შ. მ-ძის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. მ-მე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მის მიმართ დათხოვნამდე გამოყენებულ იქნა სხვა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლების დარღვევაზე და განმარტა, რომ მოსარჩელის განთავისუფლების ბრძანების საფუძველად მითითებულია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლებს, ხოლო ამავე პუნქტის "დ" ქვეპუნქტი კი ითვალისწინებს პირის დათხოვნას სამსახურიდან სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო, თუმცა აღნიშნულ ბრძანებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა მითითებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა შვებულებაში მყოფი მოსამსახურის სამსახურებრივი შეუსაბამობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა მოპასუხის მიერ მოსარჩელის სამსახურებრივი შეუსაბამობის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება არ წარმოდგენილა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სადავო აქტის მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე-53-ე და 95-ე მუხლები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 11-ე მუხლის მეორე ნაწილის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებზე ეს კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან სპეციალური კანონმდებლობა არ არეგულირებს შვებულებაში მყოფ სამხედრო მოსამსახურესთან ურთიერთობებს, ამიტომ ამ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მოთხოვნები; ამ ნორმის თანახმად, მოხელეს სამსახურებრივი ურთიერთობა უჩერდება შვებულების პერიოდში, რაც ნიშნავს მის დროებით განთავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნდა მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლები, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ამდენად, სადავო ბრძანება მიღებულია კანონსაწინააღმდეგოდ და არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი.

სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს პირის განთავისუფლება სამსახურიდან, ხოლო ბრძანება მოსარჩელის განთავისუფლების შესახებ სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი. ამდენად არ არსებობს ხელფასის გაუცემლობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა გასაჩივრებული ბრძანების ფაქტობრივი საფუძვლები.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების წინ უნდა ჩატარებულიყო ადმინისტრაციული წარმოება, რაც მისი

მტკიცებით უსაფუძვლოა, ვინაიდან შ. მ-ძის სამსახურიდან დათხოვნას წინ უძღვოდა დისციპლინარული წარმოება.

კასატორს ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია სასამართლოს დასაბუთება იმის შესახებ, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაუსაბუთებელია. გასაჩივრებული ბრძანებით ირკვევა, შ. მ-ძის განთავისუფლებას საფუძვლად დაედო მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურის შუამდგომლობა, ხოლო აღნიშნულ შუამდგომლობას, თავის მხრივ, სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი, ხოლო სამართლებრივ საფუძვლად კი “სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლი. ამდენად, კასატორის მტკიცებით ბრძანება შეესება მე-53-ის 53-ე მუხლს.

კასატორის განმაცემით სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 111-ე მუხლი, რადგან ეს მუხლი არ მოიცავს განთავისუფლების აკრძალვას სამსახურებრივი შეუსაბამობის ფაქტის დადგენისას.

კასატორმა საკასაციო სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა მხოლოდ დათხოვნის ბრძანება, ხოლო ამ ბრძანების მიღებამდე ჩატარებული წარმოების სხვა აქტები არ გასაჩივრებულა. ამიტომ კასატორი თვლის, რომ ამ აქტის ბათილობამდე მასში მოყვანილი ყველა გარემოება უტყუარად დადგენილად ითვლება.

კასატორის განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს გადაწყვეტილება სამინისტროზე ხელფასის განაცდურის დაკისრების ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; შ. მ-ძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შ. მ-ძე 2004 წლის 28 დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის მატერიალური უზრუნველყოფის ოცეულის მეთაურად.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 9 სექტემბრის №2504 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის მატერიალური უზრუნველყოფის ოცეულის (შტატი №8/591-01), უფროსი ლეიტენანტი შ. მ-ძე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), “სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის (სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის) თანახმად. ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო მეორე ქვეითი ბრიგადის მე-2 თავის 2005 წლის 1 სექტემბრის №1615 შუამდგომლობა. აღნიშნულის გამოცემის საფუძვლად კი მითითებული იქნა ს/ნ 20232-ის 2005 წლის 9 აგვისტოს სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ მოსარჩელეს სამსახურიდან დათხოვნამდე სამსახურებრივი მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და სამსახურებრივი მოვალეობების არაკეთილსინდისიერი შესრულებისათვის 2005 წლის 16 ივნისსა და 2005 წლის 1 აგვისტოს დადებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები საყვედურისა და სასტიკი საყვედურის სახით.

დადგენილია, რომ სამხედრო ნაწილის 20232 მეთაურის 2005 წლის 16 ივნისის №159 ბრძანებით ბატალიონის მეთაურის ბრძანების უგულვებელყოფისათვის უფროსი ლეიტენანტი შ. მ-ძეს გამოეცხადა საყვედური პირად საქმეში შეტანით; ხოლო სამხედრო ნაწილის 20232-ის მეთაურის 2005 წლის 1 აგვისტოს №243 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის და თავის სამსახურებრივი სუსტი კონტროლისათვის უფროსი ლეიტენანტი სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის მატერიალური უზრუნველყოფის ოცეულის მეთაურ შ. მ-ძეს სასტიკი საყვედური გამოეცხადა. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოტივს იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება შ. მ-ძისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე საქმეში წარმოდგენილი ბრძანებების ფაქტობრივ გარემოებებს და ისე გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

მართალია მოსარჩელე სამხედრო ნაწილი 20232-ის მეთაურის 2005 წლის 15 აგვისტოს №88 ბრძანების თანახმად “კრწანისის” ეროვნულ სასწავლო ცენტრში სწავლების დამთავრებასთან დაკავშირებით ბატალიონის პირად შემადგენლობასთან ერთად გაშვებულ იქნა შვებულებაში 2005 წლის

15 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე ე.ი. იმ პერიოდში, როდესაც იგი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, მაგრამ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას შვებულებაში ყოფნის პერიოდში; "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი განსაზღვრავს საჯარო მოხელის შრომის უფლებების დაცვის გარანტიებს და ამ უფლებების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. ერთ-ერთ ასეთ გარანტიას წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევებში ადმინისტრაციისათვის მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შეზღუდვის დაწესება. მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების დროისათვის მოქმედი აღნიშნული კანონის 111-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო მოხელის სამუშაოდან განთავისუფლება შემცირების, ასაკის ან ატესტაციის შედეგების გამო, ამავე კანონის 89-ე მუხლის "ბ"-ი ქვეპუნქტების საფუძველზე მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში. ამავე კანონის 89-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად კი სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს მოხელის შვებულებაში ყოფნა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: ვინაიდან შეიარაღებული ძალების რიგებიდან მოსარჩელის განთავისუფლების საფუძველი არ ყოფილა შტატების შემცირება, განსაზღვრული ასაკის მიღწევა ან ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგები და იგი სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის დაითხოვეს სამუშაოდან, რაც დასტურდება მოპასუხის მიერ შ. მ-ძისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ღონისძიებების დაკისრებით, ამიტომ შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისი განთავისუფლება სადავო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველს არ წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რადგან სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ იყო შეუძლებელი სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით საქმეზე თვითონ მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს და მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 9 სექტემბრის №2504 ბრძანება კანონიერია და მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც სარჩელი უსაფუძველოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის უხეში დარღვევის გამო

განჩინება

№ბს-259-249(კ-09)

7 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ჯადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ლ-ანმა 06.07.07წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს კონტროლის პალატის მიმართ და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 07.06.07წ. №გან-147 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1992 წლის 28 აპრილიდან 2007 წლის 7 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში სხვადასხვა თანამდებობებზე. კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, არ გააჩნდა არცერთი სახის დისციპლინარული გადაცდომა და მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 07.06.07წ. ბრძანებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობისა და სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო, რაც გამოიხატა კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანების შეუსრულებლობაში და 06.06.07წ. ოპერატიულ თათბირზე გამოუცხადებლობაში, საქართველოს კონტროლის პალატის ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნ. ლ-ანი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 7 ივნისიდან. მოსარჩელის განმარტებით, მისთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს კონტროლის პალატის ცენტრალურ ოფისში 06.07.07წ. 18:30 საათზე იმართებოდა ოპერატიული თათბირი, ხოლო ის დეპარტამენტი, სადაც ნ. ლ-ანი მუშაობდა, იმყოფებოდა ქ. მცხეთაში. საქართველოს კონტროლის პალატაში სამუშაო საათები იწყება 09:30 საათზე და მთავრდება 18:30 საათზე. ნ. ლ-ანს ევალეობდა ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების და სამუშაო საათების დასრულების დროს სამსახურში მყოფი მუშაკების აღრიცხვის წარმოება. 06.06.07წ. მან საქართველოს კონტროლის პალატის ცენტრალური ოფისი დატოვა დაახლოებით 18 საათზე, რათა ჩასულიყო მცხეთაში და შეემოწმებინა სამუშაო საათების დასრულებამდე მუშაკთა ადგილზე ყოფნა, ქ. თბილისში დაბრუნდა 18:45 საათზე, შენობაში აღარ შეუშვეს დაცვის თანამშრომლებმა, რადგან ისინი ასრულებდნენ კონტროლის პალატის თავმჯდომარის დავალებას. მოსარჩელისთვის 07.06.07წ. ცნობილი გახდა, რომ ის გათავისუფლებული იყო და გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ოპერატიულ თათბირზე გამოუცხადებლობა, რაც მოსარჩელის მოსაზრებით უნდა გამხდარიყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 07.06.07წ. №გან-147 ბრძანება ნ. ლ-ანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მოპასუხეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და მის გამოცემამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 78-ე მუხ-

ლით განსაზღვრულია დისციპლინურ გადაცდომათა სახეები, ხოლო ამავე კანონის 93-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელიც უფლებამოსილია, სამსახურიდან გაანთავისუფლოს საჯარო მოხელე. სააპელაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში სადავო არაა, რომ ოპერატიულ თათბირზე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, კონტროლის პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გაანთავისუფლოს ამავე ორგანოს სტრუქტურული დანაყოფის უფროსის მოადგილე. აპელანტი ვერ ასაბუთებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობას და შეცვლის სავალდებულოობას, ვინაიდან სადავო აქტი გამოცემულია საქართველოს ზაკ-ის 96-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების იმპერატიულ მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქმის მასალებით უდავოდაა დადგენილი, რომ ნ. ლ-ანს არ მისცემია არანაირი შესაძლებლობა, მიეღო მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქართველოს ზაკ-ის 95.2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ეცნობებინა მისთვის. უდავოდაა დადგენილი, რომ ადმინისტრაციული წარმოება 06.06.07წ., დაიწყო ოპერატიული თათბირის დამთავრების შემდეგ, რომელიც დაიწყო 18:30 საათზე და დასრულდა 7 ივნისს გამოცემული ბრძანებით, ცხადია დროის ასეთ მცირე მონაკვეთში შეუძლებელი იყო მხარის მიერ მისი კანონიერი უფლებების განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ კონტროლის პალატამ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მიღებისას დაარღვია სჯაკ-ის 52-ე, 53-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე, და 98-ე მუხლები. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებზე, მას არ უმსჯელია იმ სპეციალურ ნორმაზე, რომლითაც რეგულირდება საჯარო სამსახურში საჯარო მოსამსახურის შრომითი ურთიერთობა. ასეთ სპეციალურ ნორმას წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, რომლის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამოცემულ იქნა გათავისუფლების ბრძანება. მოსარჩელე ნ. ლ-ანის ოპერატიულ თათბირზე გამოუცხადებლობა კონტროლის პალატის მიერ შეფასდა დისციპლინურ გადაცდომად და სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევად; ნ. ლ-ანისთვის ცნობილი იყო ოპერატიული თათბირის დანიშნვის დრო და მას თათბირზე გამოუცხადებლობის ან შესაძლო დაგვიანების შესახებ წინასწარ არ გაუფრთხილებია სათანადო ხელმძღვანელი პირები, რის გამოც იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ქმედება განხორციელდა სპეციალური კანონის - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დაცვით, რომელიც ადგენს საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის გატარების შემთხვევაში მოსამსახურისათვის რაიმე ახსნა-განმარტების ჩამორთმევის ვალდებულებას. კასატორის მოსაზრებით, კონტროლის პალატას არ დაურღვევია ნ. ლ-ანის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას ის კანონი, რომლითაც რეგულირდება საჯარო სამსახურსა და საჯარო მოსამსახურეს შორის შრომითი ურთიერთობა. ნ. ლ-ანის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მოცემულია საკანონმდებლო ნორმა, რომლის საფუძველზე გამოიცა გასაჩივრებული ბრძანება, ხოლო ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათი. ნ. ლ-ანს სადავოდ არ გაუხდია თათბირზე დაგვიანება, მას თათბირზე გამოუცხადებლობის ან შესაძლო დაგვიანების შესახებ წინასწარ არ გაუფრთხილებია სათანადო ხელმძღვანელი პირები, რისი შესაძლებლობა მას რეალურად გააჩნდა. კონტროლის პალატას თავისი გადაწყვეტილება არ დაუფუძნებია ისეთ გარემოებებზე, ფაქტებზე, რომელიც არ ყოფილა გამოკვლეული და შესწავლილი. კასატორმა მიუთითა, რომ ნ. ლ-ანმა ვერც სასამართლო განხილვის პროცესში წარმოადგინა ისეთი ახსნა-განმარტება და მითუმეტეს წერილობითი მტკიცებულება, რომელიც გააბათილებდა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ბრალულ შეუსრულებლობას და სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევას.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრის მოსაზრებები არ ცნო და ითხოვა, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება (გადაწყვეტილება, განკარგულება) არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატა მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე ნ. ლ-ანი მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატის ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 07.06.07წ. ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველად ბრძანებაში მიეთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა და სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა 06.06.07წ. ოპერატიულ თათბირზე გამოუცხადებლობაში. საკასაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.07წ. გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე ნ. ლ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის -საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 07.06.07წ. №გან-147 ბრძანება ნ. ლ-ანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს დაევალა, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის და სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნ. ლ-ანი სარგებლობდა საჯარო მოსამსახურის, კერძოდ, მოხელის სტატუსით და მასზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით არ არის მოცული დისციპლინური წარმოების პროცედურები, შესაბამისად, მოხელის მიმართ დისციპლინური წარმოება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა წარმართოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.

საკასაციო პალატა იზიარებს საკასაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე 95-ე, 96-ე, 98-ე მუხლების დარღვევით გამოსცა ბრძანება ნ. ლ-ანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან გადაწყვეტილება არ ეფუძნება იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს და არგუმენტებს, რომლებიც გამოკვლეული და შესწავლილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო ბრძანება ფაქტობრივად გამოიცა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 07.06.07წ. №გან-147 ბრძანების საფუძველი გახდა გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის მიერ არასამუშაო დროს შედგენილი და კანცელარიაში გატარებული მოხსენებითი ბარათი, რომელიც 06.06.07წ. 18³⁰ საათზე თავმჯდომარის მიერ დანიშნული თათბირის ჩატარების შემდგომ არის შედგენილი. სადავო ბრძანება გამოიცა თათბირზე გამოუცხადებლობის მიზეზების გამორკვევის გარეშე; მოსარჩელეს არ მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა; სზაკ-ის 95-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით ადმინისტრაციულმა ორგანომ

არ უზრუნველყო დაინტერესებული მხარის -ნ. ლ-ანის ჩაბმა ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიუხედავად იმისა, რომ სადავო აქტით უარესდებოდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა; ბრძანების გამოცემისას არ შესწავლილა ნ. ლ-ანის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ კი არ გამოცხადდა, არამედ თათბირზე დააგვიანდა, რაც გამოწვეული იყო დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობით, სამსახურის ადგილის -ადგილობრივი ბიუჯეტის დეპარტამენტის სხვა დასახელებულ პუნქტში -ქ. მცხეთაში განთავსებით; დაცვის კონტროლის პალატის შენობაში არ შემგებით და სხვ. სასკ-ის მე-17.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება სადავო აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საქმეში არ მოიპოვება აქტის გამოცემამდე პროცედურის დაცვი ს საფუძველი -ნ. ლ-ანის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის მტკიცებულებები. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორმა სადავო ბრძანების გამოცემისას დაარღვია სზაკ-ის მე-5 და 96.2 მუხლების მოთხოვნები, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, შესაბამისად არსებობდა სასკ-ის 32-ე მუხლზე მითითებით სადავო აქტის ბათილად ცნობისა და საქმის გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის საფუძველი. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე და დამატებით აღნიშნავს, რომ ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის გამო არარსებობს ხელფასის გაუცემლობის საფუძველი. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია და არ არსებობს საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინის უხეში დარღვევის გამო

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-714-680 (23-09) 10 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძემე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 იანვარს თ. თ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №10673-პ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 5 სექტემბრიდან მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების უფროს ინსპექტორად. 2007 წლის 12 სექტემბერს თ. თ-მე გადაყვანილ იქნა იმავე განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №10673-პ ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო.

მოსარჩელემ აღნიშნული ბრძანება უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების დროს იგი იმყოფებოდა შვებულებაში, რა დროსაც იგი გამოიძახეს სამსახურში და ყოველგვარი მიზეზისა და საფუძვლის გარეშე გაათავისუფლეს სამსახურიდან. ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო ის, რომ თ. თ-მემ მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ინსპექციის უფროსს, რაც, მოსარჩელის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა ცრუ ინფორმაციას.

2008 წლის 14 აპრილს თ. თ-მემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №10673-პ და 2007 წლის 18 დეკემბრის №10570-პ ბრძანებების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასისა და გამოუყენებელი შვებულების დარჩენილი დღეების ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება დაფუძნებული იყო მის მიმართ გამოგონილ, ცილისწამებლურ ბრალდებაზე, თითქოს თ. თ-მემ საგადასახადო ინსპექციის უფროსს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, რომელიც შეფასებულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევად, რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა და განმარტა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება ემყარებოდა ადმინისტრაციული წარმოების წესით გამოუკვლევად და შეუსწავლელ გარემოებებს, იგი გამოცემული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, "საჯარო სამსახურის შესახებ" და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნათა დარღვევით.

მოსარჩელის განმარტებით, სამსახურიდან მისი გათავისუფლების ბრძანებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ 2007 წლის 7 მაისს თანამშრომელ ი. შ-მესთან ერთად სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფებოდა ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №8-ში მდებარე სავაჭრო ცენტრ "კიდობნის" ტერიტორიაზე, №215 სავაჭრო ობიექტში, სადაც საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა. ოქმის შედგენის პროცესში მას პირად ტელეფონზე დაუკავშირდა უცნობი ქალბატონი, რომელიც გაეცნო და უთხრა, რომ ის იყო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი ა. ღ-ია. ამ უკანასკნელმა საუბარში აღნიშნა, რომ №215 მაღაზია ეკუთვნოდა მას და ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა მოსარჩელეზე, რათა მის მიერ სამართალდარღვევის ოქმი არ შემდგარიყო. მოსარჩელემ აღნიშნული ფაქტის შესახებ უამბო თავის თანამშრომელ ი. შ-მეს, ასევე, 2007 წლის 10 მაისს მოხსენებითი ბარათით მიმართა თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსს -გ. კ-შვილს. მითითებული მოხსენებითი ბარათის დაწერიდან 7 თვის შემდეგ აღნიშნული ფაქტი შემოსავლების სამსახურის უფროსის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შეფასდა, როგორც მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა და საფუძვლად დაედო თ. თ-მის სამსახურიდან გათავისუფლებას.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების დროს იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 18 დეკემბრის №10570-პ ბრძანებით 2007 წლის 17 დეკემბრიდან გამოძახებულ იქნა კუთვნილი შვებულებიდან. მოსარჩელე შვებულებიდან გამოიძახეს მისი თანხმობის გარეშე, ბრძანება გამოიცა უკანარიცხვით, ასევე, მასში არ იყო აღნიშნული შვებულების გამოუყენებული დარჩენილი დღეების ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, სადავო ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას, გამოცემული იყო ადმინისტრაციული წარმოების წესით გამოუკვლევად და შეუსწავლელ არგუმენტებზე დაყრდნობით, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გადაწყვიტა მისი სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი, რომ მოსარჩელისათვის არ ჩამოურთმევია ახსნა-განმარტება.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო ბრძანების გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლი, 53-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები, 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 95-ე მუხლი, 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები და მე-100 მუხლი. ასევე, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამასთან, მოპასუხეს არ უნდა გამოეყენებინა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლი და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი შემოსავლების სამსახურის მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით სხვაგვარად არ რეგულირდებოდა შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები. შემოსავლების სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლება განსაზღვრული იყო "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით. ხსენებულ მუხლში ჩამოთვლილი არც ერთი საფუძველი მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული არ იყო. ამდენად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გამოცემული იყო შესაბამისი კანონის მითითების გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა.

მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მოსარჩელის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში. ამდენად, №10673-პ სადავო ბრძანება გამოცემული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. თ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №1067-პ და 2007 წლის 18 დეკემბრის №1050 ბრძანებები და მოპასუხეს დაევალა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოსარჩელე თ. თ-ძის სასარგებლოდ 2007 წლის 21 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. თ-ძე მუშაობდა თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების, საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. იგი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და განმარტა, რომ ამ კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებდა დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს. ამავე მუხლის მე-3 მუხლის თანახმად კი მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევდა სამსახურებრივ მოვალეობას. მითითებული კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული ან არაჯეროვანი შესრულება; ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა; გ) ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ, ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურში იყო ჩადენილი თუ მის გარეთ. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ სადავო ბრძანებაში არ იყო მითითებული, 78-ე მუხლის რომელი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა ჩაიდინა მოსარჩელემ. მართალია, კანონით რეგლამენტირებული არ იყო, კონკრეტულად რა ითვლებოდა სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევად, რის გამოც მოხელეს სამსახურიდან შედარებით მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გარეშეც პირდაპირ დაითხოვდნენ, მაგრამ დისციპლინური გადაცდომის შეფასების უფლებამო-

სიღება გააჩნდა დაწესებულების ხელმძღვანელობას. მაგრამ თუ ეს შეფასება უსაფუძვლო იყო, მოხელეს შეეძლო, დაეცვა თავისი უფლებები, კერძოდ, მოეთხოვა სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით. ასევე, შეეძლო, მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვა გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ ცნობა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანებები იყო ზოგადი, არ იყო გამოკვლეული და კონკრეტულად მითითებული განსახილველ შემთხვევაში, ჩაიდინა თუ არა დარღვევა მოსარჩელემ. ასევე, მოსარჩელის შვებულებიდან გამოძახების რა საფუძველი არსებობდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს არ წარუდგინა და საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო აქტების გამოცემისას, დარღვეული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ნაწილში, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. თ-მეს უნდა ანაზღაურებოდა სამსახურიდან გათავისუფლებიდან -2007 წლის 21 დეკემბრიდან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასი, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო სადავო 2007 წლის 21 დეკემბრის №1067-პ ბრძანება დათხოვნის ნაწილში ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა. საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო იყო, იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული და მიღებული იყო სამართლის ნორმების დარღვევით, აგრეთვე, ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გარეშე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 18 დეკემბრის №10570-პ და 2007 წლის 21 დეკემბრის №10673-პ ბრძანებების ბათილად ცნობას და არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №1067-პ და 2007 წლის 18 დეკემბრის №1050 ბრძანებების ბათილად ცნობას, რაც მითითებული იყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

აპელანტმა მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 18 დეკემბრის №10570-პ და 2007 წლის 21 დეკემბრის №10673-პ ბრძანებების საფუძველი იყო თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2007 წლის 5 დეკემბრის №01/02-05/6627 წერილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმი და იმავე წლის 7 დეკემბრის შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის №26082 რეზოლუცია.

აპელანტმა აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იყო სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მოსარჩელის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში. კერძოდ, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი თ. თ-მე, 2007 წლის 10 მაისის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის სახელ-

ზე დაწერილ თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ 2007 წლის 7 მაისს სავაჭრო ობიექტში გამოვლენილ სამართალდარღვევაზე ოქმის დაწერის მომენტში ტელეფონით დაუკავშირდა თანამშრომელი ა. ლ-ია, რომელმაც განუცხადა, რომ ეს ობიექტი იყო მისი, რითაც ცდილობდა მოეხდინა მასზე ზემოქმედება, რათა არ შემდგარიყო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული ფაქტი დაედო საფუძვლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 მაისის №4580-პ ბრძანებას ა. ლ-იას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ხსენებულ საქმეზე 2007 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე თ. თ-ძე, რომლის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენება განსხვავდებოდა მისავე 2007 წლის 10 მაისის მოხსენებით ბარათში ასახული ფაქტისაგან. შესაბამისად, სასამართლომ მოხსენებით ბარათში მოყვანილი ფაქტი არ მიიჩნია დადასტურებულად.

აპელანტმა ასევე აღნიშნა, რომ კანონით რეგლამენტირებული არ იყო, კონკრეტულად რა ითვლებოდა სამსახურებრივ მოვალეობათა ისეთ უხეშ დარღვევად, რის გამოც მოხელეს სამსახურიდან შედარებით მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გარეშე პირდაპირ დაითხოვდნენ, მაგრამ დისციპლინური გადაცდომის შეფასების უფლებამოსილება გააჩნდა დაწესებულების ხელმძღვანელობას. ამდენად, აპელანტის მოსაზრებით, სადავო ბრძანებები გამოცემული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა თ. თ-ძემ, რომელმაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაევალა.

შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც იგი უნდა გაუქმებულიყო. თ. თ-ძის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ შეაფასა სარჩელში აღნიშნული ფაქტები და მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. ამასთან, საქალაქო სასამართლომ საქმის გადაწყვეტისას არასწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების თანახმად, სასამართლოს მიერ იმ გარემოებების დადგენის სრული შესაძლებლობა არსებობდა, რომ მოსარჩელე უსაფუძვლოდ იყო გათავისუფლებული სამსახურიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და თ. თ-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა თ. თ-ძემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი. ასევე, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანება დაფუძნებული იყო მის მიმართ გამოგონილ ცილისწამებულ ბრალდებაზე, თითქოს მან საგადასახადო ინსპექციის უფროსს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, კერძოდ, 2007 წლის 10 მაისს წარდგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეფასდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევად. მოცემული მოხსენებითი ბარათის წარდგენის შემდეგ მოსარჩელე ჩვეულებრივად აგრძელებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას კეთილსინდისიერად, სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ არაერთხელ დაიმსახურა წახალისების სახით ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ხოლო 2007 წლის 12 სექტემბრის №7884-პ ბრძანებით უფროსი ინსპექტორის თანამდებობიდან დააწინაურეს და გადაიყვანეს მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე. სადავო ბრძანების გამოცემამდე რამდენიმე დღით ადრე მას ხელმძღვანელობის მიერ მიცემული ჰქონდა დადებითი წერილობითი დახასიათება. ამასთან, სამსა-

ხურიდან გათავისუფლების დროს თ. თ-მე იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, ხოლო საქალაქო სასამართლომ შეფასება არ მისცა არცერთ ზემოაღნიშნულ გარემოებას.

კასატორის განმარტებით, როგორც საქალაქო სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ პირველი ნაწილი, რომელშიც მითითებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები; "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე, 78-ე მუხლები და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი; "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი, რომლებიც უნდა გამოეყენებინათ. უსაფუძვლოდ გამოიყენეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინათ, რის შედეგადაც გასაჩივრებულ ნაწილში გამოიტანეს იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმაც, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, განჩინება გამოიტანა საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი შეფასების გარეშე, რადგან სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №1067-3 ბრძანებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების 5.2. "ვ" და "ზ" მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს გადასახადის გამომხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. თ-მე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო, რაც გამოიხატებოდა მის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში. აღნიშნული ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმი და იმავე წლის 7 დეკემბრის შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის №26082 რეზოლუცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველია სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მოსარჩელის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში. კერძოდ, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი თ. თ-მე, 2007 წლის 10 მაისს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის სახელზე დაწერილ თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ 2007 წლის 7 მაისს სავაჭრო ობიექტში გამოვლენილ სამართალდარღვევაზე ოქმის დაწერის მომენტში ტელეფონით დაუკავშირდა თანამშრომელი ა. ღ-ია, რომელმაც განუცხადა, რომ ეს ობიექტი იყო მისი, რითაც ცდილობდა მოეხდინა მასზე ზემოქმედება, რათა არ შემდგარიყო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული ფაქტი დაედო საფუძველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 მაისის №4580-3 ბრძანებას, ა. ღ-იას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ხსენებულ საქმეზე 2007 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე თ. თ-მე, რომლის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენება განსხვავდებოდა მისსავე 2007 წლის 10 მაისის მოხსენებით ბარათში ასახული ფაქტისაგან. შესაბამისად, სასამართლომ მოხსენებით ბარათში მოყვანილი ფაქტი არ მიიჩნია დადასტურებულად. ამდენად, მოხსენებით ბარათსა და სასამართლო ოქმს შორის განსხვავება შემოსავლების სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევად.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ კანონით რეგლამენტირებული არ არის, კონკრეტულად რა ითვლება სამსახურებრივ მოვალეობათა ისეთ უხეშ დარღვევად, რის გამოც მოხელეს სამსახურიდან შედარებით მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გარეშე პირდაპირ დაითხოვენ, მაგრამ დისციპლინური გადაცდომის შეფასების უფლებამოსილება გააჩნია დაწესებულების ხელმძღვანელობას. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სადავო ბრძანებები გამოცემულია

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და თ. თ-ძის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და თ. თ-ძის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თ. თ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. თ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტები.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 12 სექტემბრის №7884-პ ბრძანებით შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების უფროსი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. თ-ძე 2007 წლის 12 სექტემბრიდან გადაყვანილ იქნა იმავე განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 18 დეკემბრის №10570-პ ბრძანებით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს გადასახადების გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების, საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. თ-ძე 2007 წლის 17 დეკემბრიდან გამომახებულ იქნა კუთვნილი შევბუღებიდან. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №10673-პ ბრძანებით კი ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს გადასახადების გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების, საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. თ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო, რაც გამოიხატა მის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში. ხსენებული ბრძანების საფუძველად კი მითითებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის სხდომის ოქმი და 2007 წლის 7 დეკემბრის №26082 რეზოლუცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია თ. თ-ძის 2007 წლის 10 მაისის მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, თ. თ-ძე 2007 წლის 7 მაისს იმყოფებოდა სავაჭრო ცენტრ "კიდობნის" ტერიტორიაზე, №215 სავაჭრო ობიექტში, სადაც გამოვლენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი. ოქმის შედგენის პროცესში მას პირად ტელეფონზე დაუკავშირდა უცნობი ქალბატონი, რომელიც გაეცნო და უთხრა, რომ ის იყო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი ა. ლ-ია. ამ უკანასკნელმა საუბარში აღნიშნა, რომ №215 მაღაზია ეკუთვნოდა მას და ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა მოსარჩელეზე, რათა მის მიერ სამართალდარღვევის ოქმი არ შემდგარიყო.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ, თ. თ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველად მითითებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ოქტომბრის სხდომის ოქმზე, რომლითაც დასტურდება, რომ ხსენებულ პროცესზე მოწმის სახით გამომახებული თ. თ-ძისათვის დასმულ კითხვაზე -

სატელეფონო საუბრისას ა. ლ-ია ხომ არ ცდილობდა რაიმე ზეწოლას, თ. თ-მე პასუხობს -არა, იმიტომ რომ მან ტელეფონი გათიშა. მისი ვარაუდით, იგი რეკავდა ზეწოლის მოხდენის მიზნით. მოხსენებით ბარათში დაწერა მისი ვარაუდი, რადგან ჩათვალა, რომ ა. ლ-იამ დაურეკა მასზე ზეწოლის მოხდენის მიზნით.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი საკითხი -ხსენებული აქტის კანონიერების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამ შემთხვევაში სარჩელის საგანზე არსებითად მსჯელობისა და მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლიანობაზე მსჯელობას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ამ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე განაცხადა უარი სადავო საკითხის გადაწყვეტაზე, რომ საერთოდ არ იმსჯელა მხარეთა მოტივებზე, შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და არ დაადგინა, თუ რატომ იყო შეუძლებელი მის მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სახეებს. ხსენებული მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რომლის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ ზომას წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლით კი, რეგლამენტირებულია განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი ზომა, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, მოცემული საქმის მასალებით არ დასტურდება თ. თ-მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომის გამოყენება, მაგრამ მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების არარსებობა არ გამორიცხავს შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, კერძოდ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებლად მოხელის სამსახურიდან პირდაპირი გათავისუფლების შესაძლებლობა დადგენილია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის გამოყენებისათვის არსებობს მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება მოსარჩელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევის ფაქტი, კერძოდ, თ. თ-მემ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში მიუთითა, რომ მასზე, სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ა. ლ-ია, ცდილობდა მოეხდინა ზეწოლა. თუმცა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე, ა. ლ-იას სარჩელის განხილვისას, სადაც მოსარჩელე თ. თ-მე მონაწილეობ-

და მოწმის სახით, მან უარყო ასმათ ღურწვიასაგან ზეწოლის ფაქტი. თ. თ-ძის სარჩელის განხილვის გამო საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას კი მან კვლავ შეცვალა ადრე მიცემული და სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება და ისევ განაცხადა, რომ მასზე სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ა. ლ-ია ცდილობდა მოეხდინა ზეწოლა.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში თ. თ-ძემ თავისი პოზიციის არაერთხელ შეცვლით შეეცადა შეცდომაში შეეყვანა ხელმძღვანელობა, რითაც ჩაიდინა საჯარო მოხელისათვის შეუფერებელი ბრალეული ქმედება. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საჯარო მოხელის აღნიშნული მოქმედება სწორად დააკვალიფიცირა სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად, რაც მოსარჩელის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თ. თ-ძის მიმართ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რადგან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაეთავისუფლებინათ მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევდა სამსახურებრივ მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის -თ. თ-ძის მოსაზრებას, რომ სადავო ბრძანება დაუსაბუთებელია, რადგან მასში არ არის ასახული, დისციპლინური გადაცდომის რომელი შემთხვევის საფუძველზე გაათავისუფლეს იგი სამსახურიდან, რის გამოც ვერ დგინდება კანონის ის ნორმა, რომელსაც დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო თ. თ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების დროს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იმავე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. თ-ძისთვის, როგორც დაინტერესებული მხარისათვის, ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, ის გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისად, არ არსებობს ხსენებული აქტის ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძველები. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა თ. თ-ძის დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თ. თ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება და თ. თ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 372-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თ. თ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააკველაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
4. თ. თ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო

განჩინება

№ბს-789-753 (კ-09)

11 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 13 ივნისს მ. ბ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №376 ბრძანების, თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №418/კ ბრძანების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის (მ. ბ-ელის) შემცვლელად ნ. ფ-შვილის დანიშვნის შესახებ, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 მაისის №497/კ ბრძანების მ. ბ-ელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის -სამსახურიდან გათავისუფლების -გამოყენების შესახებ, ბათილად ცნობა. ამავე სარჩელის საფუძველზე მოითხოვა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და უკანონოდ გათავისუფლების გამო განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მისი შვებულებაში წასვლის თაობაზე 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანება გამოცემულია რესურსცენტრის ტიპიური დებულების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის სრული დაცვით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №376 ბრძანებითა და №418/კ ბრძანებით დარღვეულია რესურსცენტრის ტიპიური დებულების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტი, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი, ასევე, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რესურსცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მორალური და მატერიალური ზიანი მიადგა როგორც მას, ასევე, რესურსცენტრის მთავარ სპეციალისტს, რომელიც უფროსის არყოფნის დროს თითქმის 4 წლის განმავლობაში მის მოვალეობას წარმატებით ასრულებდა.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დარღვეულია მინისტრის 2006 წლის 21 აპრილის №211 ბრძანების 1-ლი მუხლის "ზ" პუნქტი.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მაშინ, როდესაც დაიწერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №497/კს, ის ჯერ კიდევ იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში. მისი მოსაზრებით, არასწორია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიუთითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია რესურსცენტრის ტიპური დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტი, რადგან მოსარჩელეს სამინისტროსათვის ერთი კვირით ადრე არ უცნობებია უხელფასო შვებულებაში ერთი თვით წასვლის შესახებ. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მიუთითებული ცვლილება მისთვის არ იყო ცნობილი, არ ჩაჰბარებია, ამასთან, ცვლილება განთავსებული არ იყო სამინისტროს ვებგვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის ნორმები, რომელიც გაგზავნასთან დაკავშირებით მტკიცების პასუხისმგებლობას აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა დასახელებული სამივე ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

საქმის განხილვის პროცესში შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №418/კ ბრძანების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის (მ. ბ-ელის) შემცვლელად ნ. ფ-შვილის დანიშვნის შესახებ ბათილად ცნობის ნაწილში, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. ბ-ელის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 მაისის №497/კ ბრძანების ბათილად ცნობაზე, რომლის თანახმად მ. ბ-ელის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - თანამდებობიდან გათავისუფლება, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 მაისის №497/კ ბრძანება, რომლის თანახმად, მ. ბ-ელის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - თანამდებობიდან გათავისუფლება; დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ბ-ელის მიმართ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა მ. ბ-ელისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; მოსარჩელეს - მ. ბ-ელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №376 ბრძანების ბათილად ცნობაზე, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის - მ. ბ-ელის 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების განკარგულებითი ნაწილი - "მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს მთავარ სპეციალისტს ნ. ჯ-მეს" - ეთქვა უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში მინისტრის 2007 წლის 21 ნოემბრის №1158 ბრძანებით დამტკიცებული ცვლილებით დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატა "თ¹" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, რესურსცენტრის უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს თავისი და რესურსცენტრის თანამშრომლის შვებულებასა და სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თავის ან/და რესურსცენტრის თანამშრომლის უცხოეთში მივლინების, აგრეთვე, თავისი შვებულების თაობაზე ვალდებულია, აცნობოს სამინისტროს უცხოეთში მივლინების/შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

საქალაქო სასამართლოს მიუთითებით, მ. ბ-ელის სამსახურიდან გათავისუფლების ძირითადი სამართლებრივი საფუძველია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 78-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობათა ბრალეული ან არაჯეროვანი შესრულება, რაც გამოიხატა სამსახურის მიტოვებაში 5 დღეზე მეტი ხნის ვადით. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების თანახმად: მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ თანამდებობიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან გათავისუფლდება მისთვის შესაბამისი დოკუმენტის გაცნობის დღიდან. მოხელე, რომელიც თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, გათავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებური დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ზოგადი ხასიათისაა და მისი გამოყენებისათვის მოხელის გასათავისუფლებლად გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების გათვალისწინებით სასამართლომ ჩათვალა, რომ სამინისტროს მიერ არ არის გამოკვლეული, მოსარჩელის -მ. ბ-ელის მიერ ჩადენილია თუ არა “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, რაც “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 79-ე მუხლის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამინისტროს დებულების გათვალისწინებით უნდა გამოიკვლიოს, უზრუნველყოფილი იყო თუ არა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით, კერძოდ, რესურსცენტრი იღებდა თუ არა საკანონმდებლო მაცნეს, გამოქვეყნებული იყო თუ არა სამინისტროს ვებგვერდზე ზემოაღნიშნულ ბრძანებაში შეტანილი 2007 წლის 21 ნოემბრის №1158 ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე 2007 წლის 28 ნოემბერს ან გადაეცა თუ არა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მინისტრის 2006 წლის 1 იანვრის №31 ბრძანებაში 2007 წლის 21 ნოემბრის №1158 ბრძანებით შეტანილი ცვლილება.

პირველის ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აგრეთვე, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აგრეთვე უნდა გამოიკვლიოს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მ. ბ-ელის შვებულებაში გასვლა 2007 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების შესაბამისად ჩაითვლება თუ არა სამსახურის მიტოვებად 5 დღეზე მეტი ხნის ვადით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტზე და განმარტა შემდეგი: თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი ინტერესი, რაც ნაწილობრივ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია.

ამავე დროს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს -მ. ბ-ელს უნდა აუნაზღაურდეს გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასი.

სასამართლოს განმარტებით, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 112-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს გათავისუფლების უკანონოდ ცნობასთან ერთად შეუძლია მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს -შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, რადგან “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო.

რაც შეეხება მ. ბ-ელის მოთხოვნას -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №376 ბრძანების ბათილად ცნობაზე, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის -მ. ბ-ელის 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების განკარგულებითი ნაწილი -"მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს მთავარ სპეციალისტს -ნ. ჯ-მეს" -უარი ეთქვა შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების თანახმად, მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტებს.

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განათლების და მეცნიერების სამინისტრო რესურსცენტრის საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს რესურსცენტრის უფროსის მიერ გამოცემული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, როგორც რესურსცენტრის საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს, უფლებამოსილება გააჩნდა რესურსცენტრის უფროსის მიერ გამოცემული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ კონტროლის განხორციელების მიზნით შემოწმებულ იქნა თიანეთის რესურსცენტრის უფროსის 2007 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების კანონიერება საგანმანათლებლო რესურსცენტრების დებულებასთან შესაბამისობაში, რომლის გამოცემის მომენტისათვის დარღვეული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტის მოთხოვნა, რაც საფუძველი გახდა თიანეთის რესურსცენტრის უფროსის -მ. ბ-ელის 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების განკარგულებითი ნაწილის -"მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს მთავარ სპეციალისტს ნ. ჯ-მეს" -ძალადაკარგულად გამოცხადების.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, სადაც სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ის მოსაზრება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე გამოსცა სადაო ბრძანება მ. ბ-ელის გათვასუფლების შესახებ და შესაბამისად დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა. აპელანტი აღნიშნავდა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული ნორმების დაცვითა და კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელე სამსახურიდან გაათავისუფლა უფლებამოსილმა პირმა, რომელსაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება.

აპელანტი ასევე არ ეთანხმებოდა სასამართლოს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სამინისტრომ თავის ვებგვერდზე არ გამოაქვეყნა დებულებაში შეტანილი ცვლილება და განმარტა, რომ სამინისტრო არ იყო ვალდებული, ბოდაველისათვის პირადად გადაეცა მინისტრის ბრძანება, საკანონმდებლო მანქანა ან ვებგვერდზე გამოქვეყნებინა დებულებაში შესული ცვლილება, ვინაიდან იგი ნორმატიული ხასიათისაა და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნორმატიული აქტების ცვლილების ან დამატების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღების (გამოცემის) ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შედის ეს ცვლილება ან დამატება. ცვლილებაში აღნიშნულია, რომ ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ზემოაღნიშნული კანონის 41-ე მუხლით ნორმატიული აქტი, რომლის ძალაში შესვლაც დაკავშირებულია გამოქვეყნებასთან, ძალაში შედის მხოლოდ იმ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ამ კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილია ოფიციალურ ორგანოდ, მოცემულ

შემთხვევაში "საკანონმდებლო მაცნე". ხსენებული ცვლილება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებულია 2007 წლის 28 ნოემბერს, რაც წარმოადგენს მისი ძალაში შესვლის თარიღს.

აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-4¹ მუხლის მეხუთე პუნქტის "თ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენციაა სამინისტროს ხელმძღვანელობისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. აპელანტის განმარტებით, საუბარია სტრუქტურულ ერთეულებზე და არა ტერიტორიულ ორგანოებზე, ამასთან სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისათვის სამართლებრივი უზრუნველყოფაში იგულისხმება სამართლებრივი დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა და არა კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გადაგზავნის ვალდებულება.

სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებით, დაუშვებელია მ. ბ-ელს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო დებულების არცოდნის გამო მაშინ, როდესაც, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურე ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ბ-ელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რაც გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველია.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სახეზეა მოსარჩელის მიერ ნორმატიული აქტით დადგენილი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი. დარღვევის სიმძიმის შეფასება, რაც ხელყოფს საჯარო ხელისუფლების კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას უნდა შეაფასოს საჯარო დაწესებულებამ და აღნიშნული კომპეტენცია გარანტირებულია ხელისუფლებათა დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით. საჯარო ორგანო თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უფლებამოსილია, შეაფასოს და შესაბამისად მიიღოს ესა თუ ის დისციპლინური ზომა მოსარჩელის დარღვევის სიმწვავიდან გამომდინარე. სასამართლო ვერ ჩაერევა აღმასრულებელი ხელისუფლების კანონით დადგენილ უფლებამოსილებაში და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შეფასებისას უნდა შემოიფარგლოს იმის შემოწმებით, იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებები შესწავლილი და გამოკვლეული კანონით დადგენილი წესით და ადმინისტრაციული ორგანო გასცდა თუ არა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს გადაწყვეტილების მიღებისას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებები სათანადოდ იქნა გამოკვლეული და გადაწყვეტილება მიღებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ბ-ელმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება. გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად გამოიყენა და განმარტა ისინი.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ნორმატიული აქტის, ბრძანების ხელმისაწვდომობაზე, რომ ეს მხოლოდ მოხელის ვალდებულებაა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებები სათანადოდ იქნა გამოკვლეული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-4¹ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის კომპეტენციაა სამინისტროს ვებგვერდის წარმოება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში დამატებული "თ¹"

ქვეპუნქტი. ასევე არასწორად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ იხელმძღვანელა და არ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის "ბ" პუნქტი, სადაც ცალსახადაა ნათქვამი, რომ მოსამსახურემ უნდა მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, რაც ისეთი რეგიონისათვის, როგორც თიანეთია, არის აუცილებელი.

კასატორი აღნიშნავდა, რომ სასამართლომ, ისევე, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, არ გამოიკვლია გამომწვევი მიზეზები და ის გარემოებანი, თუ რატომ ვერ განახორციელა მ. ბ-ელმა შვებულების შესახებ წინასწარი შეტყობინება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ ადმინისტრაციული ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს ვალდებულება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიყენა ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი: დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც სამინისტრომ არ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტი და არ გამოიკვლია, მ. ბ-ელის მიერ სამსახური მიტოვებულ იქნა თუ არა 5 დღეზე მეტი ხნით. სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი, ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი, ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ლ" პუნქტი, როცა განმარტა, რომ სასამართლო ვერ ჩაერევა აღმასრულებელი ხელისუფლების კანონით დადგენილ უფლებამოსილებაში და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შეფასებისას უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის შემოწმებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იყო თუ არა საქმის გარემოებები შესწავლილი და გამოკვლეული კანონით დადგენილი წესით და ადმინისტრაციული ორგანო გასცდა თუ არა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს გადაწყვეტილების მიღებისას.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებები სათანადოდ იქნა გამოკვლეული და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უფლებამოსილების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანებით, თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ. ბ-ელი 2008 წლის 14 აპრილიდან ოჯახური მდგომარეობის გამო გაშვებული იქნა ერთი თვით უხელფასო შვებულებაში; მისი მოვალეობის შესრულება დაევალა მთავარ სპეციალისტს ნ. ჯ-ძეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 22 აპრილის №376 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა "მ. ბ-ელის შესახებ" თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის (მ. ბ-ელი) 2008 წლის 14 აპრილის №6 ბრძანების განკარგულებითი ნაწილის ფრაზა: "მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს მთ. სპეციალისტს ნ. ჯ-ძეს ხელფასის სხვაობის ანაზღაურებით". ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით, მ. ბ-ელს დაევალა ბრძანების კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგინა წერილობითი ახსნა-განმარტება მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების -საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ტიპიური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის შესრულებლობის საკითხთან დაკავშირებით.

2008 წლის 2 მაისს კასატორის -მ. ბ-ელის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე გაიგზავნა ახსნა-განმარტება, ხოლო იმავე წლის 15 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №497/კ ბრძანებით, თიანეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მ. ბ-ელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა შემდეგ გარემოებებზე: "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "თ¹" ქვეპუნქტის შესაბამისად, რესურსცენტრის უფროსი ვალდებულია, თავისი შვებულების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობოს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. იმის გათვალისწინებით, რომ მ. ბ-ელმა თავისი შვებულების თაობაზე ინფორმაცია სამინისტროს მიაწოდა მიმდინარე წლის 21 აპრილს (სამინისტროში წერილობითი ინფორმაციის წარდგენის თარიღი), ხოლო შვებულებაში გავიდა 14 აპრილს, მ. ბ-ელის მხრიდან დარღვეულია ზემოაღნიშნული ერთკვირიანი ვადა. აქვე მიეთითა, რომ მ. ბ-ელის მიერ წარდგენილ ახსნა-განმარტებით ბარათში არ იყო მითითებული ისეთი გარემოების შესახებ, რაც გამოავლენდა მოსარჩელის მიერ დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზს, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა), 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის, 99-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად და მ. ბ-ელის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №497/კ ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -თიანეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის -მ. ბ-ელის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა -თანამდებობიდან გათავისუფლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები წარმოადგენენ სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს, რომლებიც იქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მ. ბ-ელი მუშაობდა რა თიანეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის თანამდებობაზე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის შრომის უფლებას, რის გამოც სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ხსენებულ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ნორმების მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს, რომლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად კი მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. სწორედ ხსენებულ ნორმაზე უთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №497/კ ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -თია-

ნეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის -მ. ბ-ელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თიანეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის -მ. ბ-ელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება უდავოდ წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებასილებას გავიდეს საკანონმდებლო ნორმების რეგულაციის ფარგლებიდან, კერძოდ, იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილი შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მითითებული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს განისაზღვროს, დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაცულია თუ არა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი და გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების ზომა რამდენად აკმაყოფილებდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით რეგლამენტირებულ დანაწესს.

დადგენილია და აღნიშნულს ვერ უარყოფს თავად კასატორიც, რომ წერილობითი ინფორმაცია მ. ბ-ელის შვებულებაში გასვლის თაობაზე სამინისტროსათვის ცნობილი გახდა 2008 წლის წლის 21 აპრილს, მაშინ, როდესაც კასატორი ფაქტობრივად შვებულებაში გავიდა იმავე წლის 14 აპრილს. უდავოა, რომ ნორმატიული აქტის არცოდნა პირს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ იმ პირობებშიც კი, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს კასატორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილების შესახებ, რომელიც რესურსცენტრის უფროსს ავალდებულებს, თავისი შვებულების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობოს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აღნიშნული, სასამართლოს მოსაზრებით, ვერ გამორიცხავს კასატორის პასუხისმგებლობის საკითხს, ვინაიდან მისი მხრიდან შეტყობინება შვებულებაში გასვლის თაობაზე მომხდარია შვებულებაში გასვლიდან 8 დღის დაგვიანებით. აღნიშნული კი საკასაციო სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას დაასკვნას, რომ, მართალია, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა შვებულების თაობაზე სამინისტროს ინფორმირება, მაგრამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის მაკონტროლებელი ორგანოსათვის, მ. ბ-ელის შვებულებაში გასვლის მომენტიდან ცნობილი იყო აღნიშნულის თაობაზე და ამ პერიოდის განმავლობაში სამინისტროს არ შეზღუდვია რესურსცენტრისათვის დაკისრებული ვალდებულებებისა და დონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების საშუალება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორი ვერ უარყოფს რა სამინისტროსათვის შვებულების თაობაზე შეტყობინების ვალდებულებას, იმავდროულად ვერ უთითებს შესაბამის ობიექტურ გარემოებებზე, რამაც განაპირობა ინფორმაციის 8 დღის დაგვიანებით მიწოდება, რაც, როგორც აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს არ აძლევს იმის მტკიცების საკმარის საფუძველს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კასატორთან მიმართებაში დაირღვა თანაზომიერების პრინციპი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მსჯელობას სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების დროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისა და აქტის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის გარეშე მიღების თაობაზე და თვლის, რომ როგორც ფაქტობრივად სწორი, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ბ-ელის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურში 4 თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის გამო განჩინება

№ბს-404-389 (კ-09)

9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ფ-მემ 2005 წლის ნოემბერში სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა და სამუშაოზე აღდგენა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - შევიდა ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანებაში და მასში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა სიტყვები "ე. ფ-მე ჩათვალოს სამსახურიდან გათავისუფლებულად" შეიცვალა სიტყვებით "ე. ფ-მესთან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა"; ე. ფ-მე აღდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ... თანამდებობაზე;

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის სარჩელის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ფ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განჩინებით ე. ფ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით ე. ფ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ფ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ე. ფ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ბათუმის

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ფ-მის სარჩელი მოპასუხის მიერ 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანებაში ცვლილებების შეტანისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ფ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ე. ფ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ფ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანება ე. ფ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ე. ფ-მესთან შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ფ-მე მუშაობდა აჭარის ა/რ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და მისი შრომის ანაზღაურება შეადგენდა 281 ლარს. მოსარჩელემ 2003 წლის 29 ნოემბერს მიიღო საწარმოო ტრავმა და იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2004 წლის 5 აგვისტოს დასკვნით მას დაუდგინდა შრომითი შესაძლებლობების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, შრომისუუნარობა და მორიგი გადამოწმება უნდა გაეწეო 2005 წლის 1 აგვისტოს, დაუდგინდა პროფესიული შრომისუუნარობის 80 % დაკარგვა; აღნიშნული დასკვნის საფუძველზე 2004 წლის 4 აგვისტოს №85 ბრძანებით ე. ფ-მე დროებით განთავისუფლდა სამუშაოდან შრომისუუნარობის ფურცლის მოქმედების ვადით. ე. ფ-მეს 2004 წლის 22 სექტემბრის №31 ბრძანებით დაენიშნა სარჩო 281 ლარის ოდენობით 2004 წლის აგვისტოდან 2005 წლის 5 აგვისტომდე; საწარმოო ტრავმის გამო შრომითი შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის (შრომისუუნარობის) დადგენასთან დაკავშირებით 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანებით ე. ფ-მე ჩაითვალა სამსახურიდან განთავისუფლებულად 2004 წლის 5 აგვისტოდან.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ე. ფ-მის მიერ გაშვებულია სადავო ბრძანების გასაჩივრების ერთთვის ვადა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, ვინაიდან 2004 წლის 5 აგვისტოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით ე. ფ-მეს მიენიჭა შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის სტატუსი, მოპასუხე დაწესებულებას შეეძლო მისი სამსახურიდან განთავისუფლება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-100 მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-100 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით კანონმდებელი არეგულირებს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საკითხებს ხანგრძლივი ზოგადი შრომისუუნარობის გამო; ხოლო იმ მოხელესთან დაკავშირებული სამსახურეობრივი ურთიერთობა, რომელიც დროებით შრომისუუნარო გახდა სამსახურთან დაკავშირებით, რეგულირდება ამავე მუხლის მე-3 პუნქტით და დადგენილია, რომ სამსახურთან დაკავშირებით დროებით შრომისუუნარო პირთან შეჩერდება სამსახურეობრივი ურთიერთობა გამოჯანმრთელების ან ინვალიდობის დადგენამდე და უნარჩუნდება თავისი თანამდებობა. აღნიშნული ნორმით სასამართლომ ჩათვალა, რომ სამსახურთან დაკავშირებით დასახიჩრებულ და დროებით შრომისუუნარო პირებს ენიჭებათ გარკვეული გარანტიები და მათთან ჩერდება სამსახურეობრივი ურთიერთობა გამოჯანმრთელების ან უვადო ინვალიდობის (შრომისუუნარობის) დადგენამდე და, ამასთან, არ არის დაწესებული სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების რაიმე ვადები; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ პირობებში მას უნარჩუნდება თანამდებობა, გამოჯანმრთელების შემთხვევაში მუშაკს უფლება ეძლევა, გააგრძელოს საქმიანობა, ხოლო საბოლოოდ შრომისუუნაროდ მიჩნევის, ანუ უვადო ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში იგი თავისუფლდება სამსახურიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა მოპასუხე დაწესებულების მიერ ე. ფ-მის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველად მიჩნეული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის 2004 წლის 5 აგვისტოს დასკვნაზე და განმარტა, რომ მართალია აღნიშნული დასკვნით მოსარჩელეს დაუდგინდა პროფესი-

ული შრომისუუნარობის დაკარგვის 80%-ი და მიენიჭა შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის სტატუსი, მაგრამ სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს ეს შრომისუუნარობა დადგენილი აქვს დროებით, ერთი წლის ვადით, 2005 წლის 4 აგვისტოს მორიგ გადამოწმებამდე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2005 წლის 1 სექტემბერს მორიგი შემოწმების შედეგად სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით მოსარჩელეს პროფესიული შრომისუუნარობის დაკარგვის ხარისხი განსაზღვრული აქვს 60 % და მინიჭებული აქვს შესაძლებლობის ზომიერი შეზღუდვის სტატუსი, ასევე, დროებით, ერთი წლით, 2006 წლის 1 სექტემბრამდე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტით დათხოვნის საფუძვლად მიჩნეული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა არ ადგენს მოსარჩელისათვის შრომისუუნარობის უვადოდ მინიჭების ფაქტს, არამედ იგი არის დროებითი შრომისუუნარობის განმსაზღვრელი აქტი, რომელიც ასევე ადგენს მომდევნო გადამოწმების თარიღს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები ე. ფ-მის მიერ სადავო ბრძანების გასაჩივრების ერთთვიანი ვადის გაშვების შესახებ. საქმეში არსებული შრომის სტაჟის ამონაწერის თანახმად, 2004 წლის 21 ნოემბერს ის ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანებას მისი განთავისუფლების შესახებ, ხოლო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2005 წლის 3 ნოემბერს - ერთი წლის შემდეგ. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა იმავე კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების თაობაზე.

კასატორი თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა მე-100 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ვინაიდან სახეზეა განთავისუფლებული მოხელის ხანგრძლივი შრომისუუნარობა; კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოხელემ დასახიჩრება მიიღო 2003 წლის 29 ნოემბერს და სამსახურიდან გათავისუფლდა 2004 წლის 25 ოქტომბერს, ზედიზედ თერთმეტი თვის გამოუცხადებლობის შემდეგ; სამუშაოდან მის განთავისუფლების ბრძანებას საფუძვლად დაედო დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი და ის განთავისუფლდა ამ ფურცლის მოქმედების პერიოდში 2004 წლის 5 აგვისტოდან. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა მე-100 მუხლის მესამე პუნქტი, ვინაიდან ის არის საგამონაკლისო ნორმა და განსხვავდება ამ ნორმის შინაარსიდან, რომელიც არეგულირებს ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო მოხელის განთავისუფლების საკითხებს. კასატორი თვლის, რომ დროებითი შრომისუუნარობა განსხვავდება ხანგრძლივი შრომისუუნარობისაგან. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი უნდა იყოს ხანგრძლივი შრომისუუნარობის პერიოდზე ნაკლები. მისი მოქმედების ხანგრძლივობა უნდა იყოს ავადმყოფობიდან ან დასახიჩრებიდან ზედიზედ ოთხ თვეზე, ან კალენდარული წლის მანძილზე ექვს თვეზე ნაკლები. კასატორმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში ნახსენები უვადო შრომისუუნარობის ტერმინს საერთოდ არ იცნობს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონმდებლობა. მომდევნო გადამოწმების თარიღის დადგენა კი ნიშნავს დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის მოქმედების პერიოდის განსაზღვრას.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს წარმოდგენილი აქვს პროფესიული შრომისუუნარიანობის 60%-ით დაკარგვასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდის შრომისუუნარიანობის ფურცელი, რომელიც გაცემულია 2008 წლის 7 ოქტომბერს და ძალაშია 2009 წლის 1 ნოემბრამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ე. ფ-მე მუშაობდა აჭარის ა/რ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში 2003 წლის 1 იანვრიდან ... თანამდებობაზე; მოსარჩელემ 2003 წლის 29 ნოემბერს მიიღო საწარმოო ტრამვა და იმყოფებოდა საავადმყოფო

ფურცელზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2004 წლის 22 სექტემბრის №31 ბრძანებით "საწარმოო ტრამვის გამო ე. ფ-ძისათვის სარჩოსა და დახმარებების დაწესების შესახებ" -ბათუმის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2004 წლის 5 აგვისტოს ცნობისა და დასკვნის შესაბამისად, ე. ფ-ძეს დაენიშნა სარჩო 2004 წლის 5 აგვისტოდან 2005 წლის 5 აგვისტომდე. სარჩოს ოდენობა განისაზღვრა 281 ლარის ოდენობით; მასვე აუნაზღაურდა ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანი (მკურნალობის, მგზავრობის, მედიკამენტების, და კანონით გათვალისწინებული სხვა ხარჯები) 2003 წლის 29 ნოემბრიდან, წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აჭარის ა/რ ქ. ბათუმის სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2004 წლის 5 აგვისტოს შრომითი დასახიჩრების გამო მოსარჩელეს დაუდგინდა შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა 2005 წლის 1 სექტემბრამდე და დაუდგინდა ასევე პროფესიული შრომის უნარიანობის დაკარგვის ხარისხი 80 პროცენტის ოდენობით; ამავე ცნობაში ე. ფ-ძის შრომისუნარიანობის გადამოწმების მორიგ თარიღად მითითებულია 2005 წლის 5 აგვისტო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 25 ოქტომბრის №291 ბრძანებით ე. ფ-ძე ჩათვალა სამსახურიდან გათავისუფლებულად 2004 წლის 5 აგვისტოდან, საწარმოო ტრამვის გამო, შრომითი შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის (შრომისუნარობის) დადგენასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 100-ე მუხლის საფუძველზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების -ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 31 ოქტომბრის №36 ბრძანებით საწარმოო ტრამვის გამო ე. ფ-ძეს მიეცა ერთჯერადი დახმარება ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს -3371 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, მართალია, მოსარჩელეს ჯერ დაუდგინდა პროფესიული შრომისუნარობის დაკარგვის 80%-ი, ხოლო შემდეგ კი 60%-ი და შესაბამისად მიენიჭა შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის სტატუსი, მაგრამ მოსარჩელეს ეს შრომისუნარობა დადგენილი აქვს დროებით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია შრომითი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებით მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-100 მუხლის შინაარსი; ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის ან კალენდარული წლის მანძილზე 4 თვის გამოუცხადებლობის გამო; ამავე მუხლის მე-2 პუნქტით ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან მხოლოდ დროებითი შრომისუნარობის ფურცლის მოქმედების პერიოდში, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი იმ მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობა, რომელიც სამსახურთან დაკავშირებით გახდა დროებითი შრომისუნარო, შეჩერდება მისი გამოჯანმრთელების ან ინვალიდობის დადგენამდე და მას უნარჩუნდება თავისი თანამდებობა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლია მოსარჩელის დროებითი შრომისუნარობა, რომელიც მოიცავს პირის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის მთელ პერიოდს, გრძელდება თუ არა შეზღუდვის სტატუსის დადგენის შემდეგაც და რა სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს პირისათვის შეზღუდვის სტატუსის დადგენა. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სოციალური ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2004 წლის 5 აგვისტოს გაცემული ცნობა, რომლითაც შრომითი დასახიჩრების მიზეზით მოსარჩელეს დაუდგინდა შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა 2005 წლის 1 სექტემბრამდე და დაუდგინდა ასევე პროფესიული შრომის უნარიანობის დაკარგვის ხარისხი -80%, წარმოადგენს დროებითი შრომისუნარობის განმსაზღვრელ აქტს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ე. ფ-ძეს მიანიჭებული ჰქონდა თუ არა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი და დაკარგული ჰქონდა თუ არა პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხი. საკასაციო პალატა თვლის, რომ ყოველივე აღნიშნულის გამოკვლევის შედეგად სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და სწორი შეფასება მისცეს შეზღუდვის სტატუსის პერიოდული გადამოწმება გულისხმობს თუ არა პირის დროებით შრომისუნარობას "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-100 მუხლის მესამე ნაწილთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი შეუსაბამობა

განჩინება

№ბს-928-888 (კ-09) 23 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება და მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 მარტს მ. დ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ იგი 1999 წლის 1 ივნისიდან 2001 წლის 9 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამგორის რაიონის სამხედრო კომისარიატში მთავარ სპეციალისტად. 2001 წელს გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ყ-1 კ/შ დეპარტამენტის სამობილიზაციო რესურსების დაგეგმარების სამმართველოს მობილიზაციის მართვის და განხორციელების განყოფილების პასუხისმგებელ შემსრულებლად.

2005 წლის 1 მარტს მ. დ-ია დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითი ბრიგადის კავშირგაბმულობის ასეულის რადიო ოცეულის რადიოსადგურ რ-140 რადიო-ტელეგრაფისტად.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 2006 წლის 28 თებერვალს მას ჩაჰპარდა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება. ბრძანებაში გათავისუფლების საფუძველად მითითებულია სამსახურებრივი შეუსაბამობაზე, რაც, მოსარჩელის აზრით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება ე.წ. სამსახურებრივ შეუსაბამობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით მ. დ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-იამ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინებით მ. დ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2008 წლის 27 მარტს მ. დ-იამ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე –საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და სანივთე ქონების კომპენსაციის –884,7 ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. დ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ –საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანება და დაევალა, მოპასუხე მხარეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავდა, რომ მოსარჩელე მ. დ-ია მუშაობდა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფში, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. იმავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ლ” ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა. ამასთან, იმავე კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

საქალაქო სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. კანონის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე მოხელის მიღებისა. სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით-ბრძანებით.

ვინაიდან, ბრძანების სამართლებრივი შედეგია საჯარო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მიმართულია საჯარო შრომითი სამართალურითობის შეწყვეტისაკენ და აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის –ბრძანების კანონიერებაზე დავები განხილულ უნდა იქნეს და სასამართლომ უნდა იმსჯელოს ბრძანების, როგორც ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე. სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით, “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

სასამართლოს განმარტებით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურს გადის “სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის სტატუსს, რომლის თანახმად, იგი წარმოადგენს კანონით დადგენილი და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლებების, თავისუფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებ-

ლობის ერთობლიობას. ხოლო ამავე კანონის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირებია საქართველოს სამხედრო ძალებისა და სამხედრო უწყებების მოსამსახურეები: რიგითები (მატროსები), სერჟანტები, ზემდეგები (მიჩმანები), უმცროსი, უფროსი და უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრები.

“სამხედრო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი ნაწილითა და “სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამხედრო მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე, მოქმედება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მოხელეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლში მითითებულია, რომ სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა ხდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევებს, ასევე, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინარული გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 78-ე მუხლის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული ან არაჯეროვანი შესრულება; ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა; გ) ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

დისციპლინური გადაცდომის შეფასების უფლებამოსილება გააჩნია დაწესებულების ხელმძღვანელობას, მაგრამ თუ ეს შეფასება უსაფუძვლოა, მოხელეს შეუძლია დაიცვას საკუთარი უფლებები. მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით, მას ასევე შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა.

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე, მეთაურისა და უფროსის სახელზე შეიტანოს წინადადებები, განცხადებები და საჩივრები. სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია მეთაურის (უფროსის) მეშვეობით ან პირადად სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სამხედრო უწყებების, თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც საჩივარი შეიტანა, არ თავისუფლდება ბრძანებებისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან. კანონსაწინააღმდეგო ბრძანების შესრულების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ბრძანების გამცემს.

აღნიშნული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა სამხედრო სამსახურიდან ხდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. ამავე მუხლის “დ” ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურიდან დაითხოვენ სამსახურებრივი შეუსაბამობისათვისაც.

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ქვეყნის შიდა და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შეიარაღებული თავდასხმისა და აგრესიის მოგერიება წარმოადგენს მხედრული მოვალეობის არსს, რომელიც სამხედრო მოსამსახურისაგან მოითხოვს მტკიცედ დაიცვას სამხედრო ფიცისა და სამხედრო წესდებების მოთხოვნები, ერთგულად ემსახუროს საქართველოს, შეასრულოს მხედრული მოვალეობა; აიმაღლოს სამხედრო, ტექნიკური და ზოგადი ცოდნის დონე; დაეუფლოს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს მინდობილი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა; გაუფრთხილდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას; გაუფრთხილდეს თავის სამხედრო წოდებას, პატივსა და ღირსებას; მკაცრად დაიცვას მისთვის განდობილი სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოება; დაემორჩილოს მეთაურს (უფროსს), ზუსტად და დროულად შეასრულოს მისი ბრძანებები და განკარგულებები.

პირველი ინსტანციის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში განმარტავდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის “დ” პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მღებული გადაწყვეტილება, დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით აღძრული სარჩელის საფუძველზე მოსარჩელეს შეუძლია მიაღწიოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომელიც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას და შესაბამისად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის ან პირების მიერ, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეული იქნა ამ აქტით.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოსარჩელის კომპეტენციაშია, თავად შეარჩიოს იმ ფორმის სარჩელი, რომელიც მას ესაჭიროება მიზნის განსახორციელებლად, ასევე, უნდა განსაზღვროს დავის საგანი, სარჩელის შინაარსი და მოცულობა, სასამართლო შეზღუდულია მოცემული სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლო განმარტავდა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების წინაპირობაა, პირველ რიგში, ამ აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანო იყოს უფლებამოსილი, კონკრეტული ინდივიდუალურ სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმებია: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ფორმალური კანონიერება და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის მატერიალური კანონიერება. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის გამოსცეს უფლებამოსილმა ორგანომ, მისი გამოცემისათვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოება ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემის და აღსრულებისკენ. ადმინისტრაციული კოდექსი ჩამოთვლის ადმინისტრაციული წარმოების სახეებს და ამკვიდრებს პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერების საფუძვლებია: ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლების დაცვა, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა, დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აცილების უფლება, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას – ყოველი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს მის დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამდღვრები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან.

საქალაქო სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოპასუხეს არ გამოუკვლევიან, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ სამსახურის გაცდენას და დაგვიანებით გამოცხადებას, ვინაიდან მოსარჩელის მიერ უარყოფილია აღნიშნული, ხოლო მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა შესაბამისი ყურნალები, სადაც ხდებოდა სამხედრო სამსახურში გამოცხადებულ პირთა რეგისტრაცია დროის

მიხედვით, ასევე გამოცხადებული საყვედურები. ვინაიდან ასეთი არ არსებობს, შესაბამისად მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა მ. დ-იას ხელმოწერები აღნიშნული საყვედურების გაცნობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადაო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ვინაიდან მოპასუხე მხარის მიერ არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება და დაინტერესებულ მხარეს - მოსარჩელეს არ მისცემია შესაძლებლობა, წარედგინა თავისი მოსაზრებანი და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შეწავლილი. ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია, რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა, რომ მოსარჩელეს აქვს სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანება და არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ მოპასუხე მხარეს უნდა დაევალოს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

ხოლო რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ნაწილში, სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოსარჩელე - მ. დ-იას უნდა აუნაზღაურდეს დათხოვნიდა, ანუ 2006 წლის 10 თებერვლიდან ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის სადაო №1067-3 ბრძანება დათხოვნის ნაწილში ბათილია და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობს. "საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 37.1-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო.

საქალაქო სასამართლო განმარტავდა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა 2001-2002-2003 წლების მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება, რომელიც 2001 და 2002 წლების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მოსარჩელემ სარჩელი აღმრა 2006 წელს და ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ვალდებულების ვადა შეადგენს სამ წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა

პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა 2001 და 2002 წლების მიუღებელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლის მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და დაეკისროს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2003 წლის მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაციის 295 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. კერძოდ, მოსარჩელეს დისციპლინური დარღვევისათვის მეთაურის მიერ გამოცხადებული აქვს რამდენიმე საყვედური, სამხედრო დისციპლინის შეუსრულებლობისათვის მის მიმართ ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ.

აპელანტის მითითებით, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო თვით გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრულია.

სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით აპელანტი განმარტავდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლის ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე ხანდაზმულია, ვინაიდან მისი მოთხოვნის ვადა გავიდა 2006 წლის 1 იანვარს, ხოლო სარჩელი შეტანილია 2006 წლის 7 მარტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, დოკუმენტურად არ დასტურდებოდა მ. დ-ის მიერ იმ გადაცდომათა ჩადენის ფაქტი, რომელთა გამოც მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები. ასევე არ დასტურდებოდა მისთვის 2005 წლის 28 მაისის №175 და 27 სექტემბრის №407 ბრძანებების გაცნობის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც არ იძლეოდა აპელანტის არგუმენტების გაზიარების შესაძლებლობას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული აქტი (საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანება) მიღებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-96 მუხლების დაცვით. ასევე, გათვალისწინებულ იქნა იმავე კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები: ადმინისტრაციული აქტი შეიცავს ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, კერძოდ, გასაჩივრებული აქტი მიღებულია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე; ხოლო ფაქტობრივი დასაბუთება მოცემულია ბრძანების გამოცემის საფუძველში: მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაურის 21.01.2006 წლის №125 შუამდგომლობასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში.

კასატორი განმარტავდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ამ სადავო ურთიერთობის გადასაწყვეტად ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორცაა აქტის გამოცემის მიზანშეწონილობა სზაკ-ის 53.7 მუხლის მიხედვით (დასაბუთების გარეშე).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმით მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო მ. დ-ისათვის, როგორც დაინტერესებული მხარისათვის, ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა გასაჩივრე-

ბული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რასაც ადასტურებს სამანდატო კომისიის ოქმის დადგენილებითი ნაწილი.

კასატორის -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოყენებია კანონი, რომელიც უნდა გამოეყენა. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების სწორად შეფასების შედეგად გადაწყვეტილების გამოტანისას გამოყენებულ უნდა ყოფილიყო შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

- ა) "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონი;
- ბ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- გ) "საქართველოს შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება";
- დ) "საქართველოს შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდება".

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებულია. ამასთან, სასამართლო სამართლებრივად არ უნდა იყო უფლებამოსილი სამინისტროს-თვის დაეკისრებინა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განმარტავდა, რომ "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 და მე-14 მუხლების საფუძველზე, კანონმდებელი უპირატესობას ანიჭებს სამხედრო კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების მიზანშეწონილობის საკითხი უნდა გადაწყდეს "სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21.3 მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული "სამხედრო სამსახურის გავლის დებულების" და თვით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით.

კასატორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი, რომლის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება მ. დ-იას თანამდებობიდან გათავისუფლების ან აღდგენის შესახებ, რაც წარმოადგენდა სადაო საკითხს, არამედ სასამართლომ არ გამოიკვლია სადაო ურთიერთობა (გათავისუფლების კანონიერება) და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გამოკვლევა და შეფასება, რაც დაედო საფუძვლად მ. დ-იას სამუშაოდან გათავისუფლებას და მათი ურთიერთ შეჯერების შედეგად დაევალი ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალი არა კონკრეტული ადმინისტრაციული აქტების გამოცემა, მაგალითად, მ. დ-იას სამუშაოზე უპირობო აღდგენის შესახებ (რა დროსაც მოსარჩელის დარღვეული შრომითი უფლება ექვემდებარება აღდგენას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების გათვალისწინებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მომენტამდე) ან პირიქით -სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, არამედ თავდაცვის სამინისტრო გამოიკვლევს და შეაფასებს რა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს, თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა სახის ადმინისტრაციული აქტი გამოსცეს, რომელიც შესაძლებელია იყოს ამავე სახის -მოსარჩელს სამუშაოდან გათავისუფლების ან სამუშაოზე დარჩენის თაობაზე.

კასატორი მიუთითებდა, რომ სანივთე ქონება ან მის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია სამხედრო მოსამსახურეს ეძლეოდა ყოველი წლის პრველ თვეს და წარმოდგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლის სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე ხანდაზმულია და მისი მოთხოვნის ვადა გავიდა 2006 წლის პრველ იანვარს, ხოლო სარჩელი კი შეტანილია 2006 წლის 7 მარტს. აქედან გამომდინარე, საკატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს სრულად უნდა ეთქვას უარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებას და თვლის, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს აძლევს საკმარის საფუძველს წარმოადგინოს სამართლებრივი შეფასებები და საქმეზე მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 15 მარტის №575 ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძა-

ლების გენერალური შტაბის 4-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, 4-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის სამობილიზაციო რესურსების დაგეგმარების სამმართველოს მობილიზაციის მართვის და განხორციელების განყოფილების ყოფილი პასუხისმგებელი შემსრულებელი მ. დ-ია დაინიშნა მე-4 ქვეითი ბრიგადის კავშირგაბმულობის ასულის რადიო ოცეულის რადიოსადგურ რ-140-ის რადიოტელეგრაფისტად 2005 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №195 ბრძანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითი ბრიგადის კავშირგაბმულობის ასულის რადიო ოცეულის რადიოსადგურ რ-140-ის რადიოტელეგრაფისტი უმცროსი სერჟანტი მ. დ-ია დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის, 21-ე მუხლის, მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე - სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მ. დ-იას სამსახურებრივ სტატუსს და აღნიშნავს, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, სამხედრო სამსახურის გავლის სპეციფიკა და მუშაობის გასამხედროებული რეჟიმი სამხედრო მოსამსახურეს მკვეთრად განასხვავებს საჯარო სამსახურის დანარჩენი მოხელეებისაგან. რაც ძირითადად გამოიხატება სამხედრო დისციპლინის, თანამდებობრივი სუბორდინაციისა და წოდებრივი ქვემდებარეობის განუხრელ დაცვაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შინაარსი, რომლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე მეთაურისა და უფროსის სახელზე შეიტანოს წინადადებები, განცხადებები და საჩივრები. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც საჩივარი შეიტანა, არ თავისუფლდება ბრძანებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან, კანონსაწინააღმდეგო ბრძანების შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება ბრძანების გამცემს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სამხედრო სამსახურში მუშაობის სპეციფიკა და სამხედრო მოსამსახურის ვალდებულება, დაემორჩილოს უფროსის ბრძანებებსა და განკარგულებებს, ქმნის საფუძველს, სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების ერთობლივი ანალიზის შედეგად შეაფასოს მ. დ-იას სამსახურიდან გათავისუფლების მოტივი, რა თვალსაზრისითაც ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაურის შუამდგომლობას, ამავე ბრიგადის სამანდატო კომისიის სხდომის ოქმს და თავად მ. დ-იას პატივს.

საკასაციო სასამართლო აღიარებს რა შრომის, როგორც უფლების კლასიკურ მნიშვნელობას, გამორიცხავს მხოლოდ იმ მოსაზრებაზე მოტივირებას, რომ თავდაცვის სამინისტრო მოსამსახურის დათხოვნისას მოქმედებს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, სასამართლოს მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უფლება გამოყენებულია თუ არა კანონიერების ფარგლებში და არსებულ ვითარებაში მ. დ-იას სამსახურიდან დათხოვნა იყო თუ არა მისაღები და პროპორციული მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე, ჩადენილი გადაცდომის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს გამოყენებული პასუხისმგებლობის ადეკვატურობა.

მ. დ-იაზე, როგორც საჯარო მოსამსახურეზე, ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია სპეციალური კანონმდებლობით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 99.2 მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სათანადო შეფასება მიეცეს პირად საქმეში წარმოდგენილ ბრძანებებს, რომელიც შეიცავს მითითებას მ. დ-იას დისციპლინური წესით დასჯის თაობაზე.

საქმეში დაცულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაურის 28.05.05 წლის ბრძანება №178, რომლის საფუძველზეც, მ. დ-იას, დანარჩენ 15 თანამშრომელთან ერთად, სამსახურში გამოუცხადებლობის მოტივით მიეცა საყვედური.

იმავე მე-4 ქვეთი ბრიგადის მეთაურის 2005 წლის 27 სექტემბრის №407 ბრძანებით, მ. დ-იას სამსახურის უმიზეზოდ გაცდენისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური და №412 ბრძანებით გაფრთხილდა არასრული სამსახურებრივი შესაბამისობის შესახებ.

“საჯარო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამხედრო მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

იმავე შინაარსის დებულებას შეიცავს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 127-ე მუხლი, რომელიც მოხელეს ანიჭებს უფლებას 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების, გადაწყვეტილების, განკარგულების მოქმედება.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული ბრძანება თავისი შინაარსით მიეკუთვნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერების შემოწმებაც დასაშვებია მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო უშვებს იმის ვარაუდს, რომ მითითებული აქტები მ. დ-იას კანონით დადგენილი წესით არ გაცნობია, მაგრამ იმავდროულად, უდავოა, რომ მინიმუმ საქმის სასამართლო წესით განხილვისას მ. დ-იამ შეიტყო აღნიშნული აქტების არსებობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, გახადა თუ არა მხარემ მითითებული აქტები სადავო და მისცეს შეფასება -დავის არარსებობის შემთხვევაში, რამდენადაა უფლებამოსილი სასამართლო, განიხილოს ამ აქტების კანონიერება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე, საქმის გარემოებების დამატებითი შესწავლა-გამოკვლევის მიზნით, უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სამუშაოზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1111-1073(კ-08)

27 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

დ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 2005 წლის 14 ივნისიდან სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთის" საბაჟო გამშვები პუნქტის ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, რაზეც 2005 წლის 14 ივლისს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული ბრძანება და მოპასუხე -ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ, გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი. მითითებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება დადასტურებულია სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, რის საფუძველზეც მოპასუხეს წარმოეშვა ვალდებულება, დ. ა-შვილის მიმართ აენაზღაურებინა ხელფასი სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის, კერძოდ, 2005 წლის 14 ივნისიდან სასამართლოს მიერ დავალეზული ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა არ ცნო დ. ა-შვილის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელესთან მიმართებით ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ, არ იყო აღსრულებული, რის გამოც, იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო მოსარჩელისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება და მიუღებელი თანხის განსაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2005 წლის 14 ივნისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დავალეზული ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე, სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 2005 წლის 14 ივნისის №228-კ ბრძანებით, რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთის" საბაჟო გამშვები პუნქტის მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი დ. ა-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ა-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული ბრძანება და მოპასუხეს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ, გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განჩინებებით დარჩა უცვლელად და ამჟამად შესულია კანონიერ ძალაში. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2007 წლის 5 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელიც.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი და განმარტა, რომ დ. ა-შვილი მითითებული ნორმის თანახმად, წარმოადგენდა მოხელეს, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას უნდა გავრცელებულიყო აღნიშნული კანონის მოთხოვნები. ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, საქალაქო სასამართლოს დასკვნით, იმ პირობებში, როცა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეულ იქნა უკანონოდ, მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ამ უკანასკნელისათვის სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში შრომითი გასამრჯელო, ანუ ხელფასი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის გარეშე. ამასთან, სარჩელი დაუშვებელი იყო, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებდა ასკ-ის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებულ სარჩელის დასაშვებობის პირობებს, კერძოდ, ასკ-ის 24.1 მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება ადრულიყო ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარჩელი დასაშვებია იყო, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტისათვის დავალეული ახალი ადმინისტრაციული აქტი ამ პერიოდისათვის გამოცემული არ იყო. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ უნდა გარკვეულიყო, რა საშტატო ერთეულები იყო გათვალისწინებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახლად შექმნილ შემოსავლების სამსახურში და ხომ არ იყო მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ახალი განრიგით. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის №ბს-1230-805 (კ-05) გადაწყვეტილების განმარტების თანახმად, შეიძლება შეთავაზებულიყო სხვა, იგივე, უფრო დაბალი რანგის თანამდებობა ან სამუშაო ადგილი. მოსარჩელის მიმართ არ განხორციელებულა რაიმე შეთავაზება და შესაბამისად, გაურკვეველი იყო, რა თანამდებობრივი სარგოდან უნდა მომხდარიყო იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე, ვინაიდან სადავო 2005 წლის 14 ივნისის №228-კ ბრძანება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად იქნა ცნობილი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განჩინებებით დარჩა უცვლელად. აპელანტმა სააპელაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ახალი ადმინისტრაციული აქტი დ. ა-შვილის მიმართ, დღემდე გამოცემული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და ადმინისტრაციულ ორგანოს დღემდე არ გამოუცია ახალი აქტი, იგი, ფაქტობრივად, შრომით ურთიერთობაში იმყოფება ადმინისტრაციულ ორგანოსთან, შესაბამისად, დ. ა-შვილს უნდა ანაზღაურებოდა ხელფასი სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არასრულია, იგი გამოტანილია კანონის დარღვევით, საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი შეფასების გარეშე, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №228-კ ბრძანება, მოსარჩელე აღდგენილ იქნა ამ ბრძანების გამოცემამდე დაკავებული თანამდებობის მსგავს ან

იმავე ფუნქციების შესასრულებლად საშტატო განრიგით გათვალისწინებულ სხვა ტოლფას თანამდებობაზე. სააკვეციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემიდან მათი სამსახურში აღდგენის ბრძანებამდე პერიოდში, იძულებით ანაზღაურებას ექვემდებარება ხელფასის ის ოდენობა, რაც განსაზღვრული იყო მოსარჩელის თანამდებობის ან იმავე ფუნქციების შესასრულებლად საშტატო განრიგით გათვალისწინებული სხვა ტოლფასი თანამდებობისათვის. აღნიშნული კი სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ცნობა მოსარჩელის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების გაანგარიშების შესახებ, არ არსებობს.

კასატორის განმარტებით, სამსახურში აღდგენის ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებების აღდგენისაკენ, რომელიც პირს გააჩნდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, აუნაზღაუროს მოსარჩელეს განაცდური ხელფასი მათი გათავისუფლებიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ნიშნავს, რომ განაცდური ხელფასის ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ანაზღაურება, რომელსაც მოსარჩელე იღებდა მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს იძულებითი არყოფნის პერიოდის განმავლობაში თავისუფლად შეეძლო განეხორციელებინა შრომითი საქმიანობა, რომელიც გამორიცხავდა საჯარო სამსახურიდან ანაზღაურების მიღების კანონიერ შესაძლებლობას. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ზემოაღნიშნული და უნდა ემსჯელა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების მომენტისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აგრეთვე ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იძულებითი განაცდურის დაანგარიშებას, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, არც სასამართლო პრაქტიკაა ჩამოყალიბებული და არც რაიმე ნორმა არ ავალდებულებს შემოსავლების სამსახურს, მოახდინოს იძულებითი განაცდურის დაანგარიშება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოში 2008 წლის 30 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა 2008 წლის 23 იანვრის ბრძანება, რომლის თანახმად, დ. ა-შვილი აღდგენილ იქნა სამსახურში და დაინიშნა თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საბაჟო-გამშვებ პუნქტ "სამთაწყაროს" ინსპექტორის თანამდებობაზე. დ. ა-შვილის კატეგორია და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

კასატორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ასევე წარმოადგინა ამავე სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ გაცემულ ცნობა, რომლის თანახმად, ყოფილი საბაჟო "ადმოსავლეთის" საბაჟო გამშვებ პუნქტ "უდაბნოს" მთავარი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო, 2005 წლის საშტატო განრიგის თანახმად, შეადგენდა 500 ლარს.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს, მოითხოვა მისი დაკმაყოფილება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ დ. ა-შვილმა არ ცნო საკასაციო საჩივარი და განმარტა, რომ თანამდებობაზე აღდგენის შემდეგ ის თავისი სურვილით იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ მოითხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მის მიერ სამსახურში მუშაობის პერიოდში მოქმედი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააკვეციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, დ. ა-შვილის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

ტროს შემოსავლების სამსახურს დაევალოს დ. ა-შვილის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2005 წლის 14 ივნისიდან 2008 წლის 23 იანვრამდე, 2005 წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული მთავარი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გადაანგარიშების საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკვლავიო სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ განსაზღვრა, თუ რომელი სარგოს საფუძველზე უნდა ანაზღაურებულიყო იძულებითი განაცდური, შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით ახალი გადაწყვეტილებით შეცვლის პროცესუალური საფუძველი, გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის მიზნით.

საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დ. ა-შვილის სასარგებლო განცხადება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №228-კ ბრძანება დ. ა-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საკვლავიო სასამართლოს 2006 წლის 11 ივნისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განჩინებებით უცვლელად იქნა დატოვებული და შევიდა კანონიერ ძალაში. ამასთან, მითითებულ გადაწყვეტილებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2007 წლის 5 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საკასაციო სასამართლოში 2008 წლის 30 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 23 იანვრის ბრძანების თანახმად დ. ა-შვილი აღდგენილ იქნა სამსახურში და დაინიშნა თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საბაჟო-გამშვებ პუნქტ "სამთაწყაროს" ინსპექტორის თანამდებობაზე. დ. ა-შვილის კატეგორია და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად, საიდანაც თავისი სურვილით იქნა გათავისუფლებული.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ გაცემულ ცნობის თანახმად, 2009 წლის 6 იანვარს №46288 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, ყოფილი საბაჟო "აღმოსავლეთის" საბაჟო გამშვებ პუნქტ "უდაბნოს" მთავარი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო, 2005 წლის საშტატო განრიგის თანახმად, შეადგენდა 500 ლარს.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დ. ა-შვილი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, შესაბამისად, მისი, როგორც საჯარო მოსამსახურის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს "საჯარო სამსახურის შესახებ კანონი".

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით, რომლის საფუძველზეც ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და, შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37.1 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელეს ხელფასი ეძლევა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, განსაზღვრულია საჯარო მოხელისათვის ხელფასის გაცემის პერიოდი, რაც მოიცავს დროს სამსახურში მიღებიდან გათავისუფლებამდე. ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 26.1. და 110.1. მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. მოცემულ შემთხვევაში დ. ა-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, აღდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 23 იანვრის ბრძანების თანახმად სამსახურში და დაინიშნა თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საბაჟო-გამშვებ პუნქტ "სამთაწყაროს" ინსპექტორის თანამდებობაზე. დ. ა-შვილის კატეგორია და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა დამტკიცებულ-

ლი საშტატო ნუსხის შესაბამისად, რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, შეადგენს 500 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ა-შვილს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე 2005 წლის 14 ივნისიდან, ანუ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №228-კ ბრძანება მოსარჩელე დ. ა-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, 2008 წლის 23 იანვრამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 23 იანვრის ბრძანების გამოცემამდე, უნდა აუნაზღაურდეს მისივე მოთხოვნის შესაბამისად იძულებითი განაცდური ხელფასი საშტატო განრიგით გათვალისწინებული მთავარი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გაანგარიშების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომლითაც დ. ა-შვილის სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4, 257-ე, 372-ე, 391-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინების შეცვლით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალოს დ. ა-შვილის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2005 წლის 14 ივნისიდან 2008 წლის 23 იანვრამდე, 2005 წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული მთავარი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გადაანგარიშების საფუძველზე;
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაეკისროს სასამართლო ხარჯების -100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამუშაოზე აღდგენა ;
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1502-1459(კ-08)

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე**

სარჩელის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არარა აქტად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 18 ივლისს ნ. გ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1997 წლიდან მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო 2001 წლიდან დაინიშნა ამავე სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანებით ნ. გ-ია გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. აღნიშნული ბრძანების გამოცემით კი მოპასუხემ დაარღვია “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა პრემიერ-მინისტრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანების გაუქმება; სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა; იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე ნ. გ-იამ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანების არარა აქტად ცნობა, ვინაიდან იგი გათავისუფლებულ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ; სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა, ვინაიდან აღნიშნული დეპარტამენტი არ იყო გაუქმებული; იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – არარა აქტად ჩაითვალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანება; მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 19 მარტის №12/კს ბრძანებით დაინიშნა საქვეუწყებო დაწესებულების – სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსად. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის №210 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 17 ოქტომბრის №411 ბრძანებულება, რომლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამგებლობაში შექმნილი იყო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი. “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, სამინისტროს დებულებებს, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დებულებებისა, მინისტრის წარდგინებით ამტკიცებდა მთავრობა. ამ ნორმის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება, რომლის მიხედვით, ზემოაღნიშნული საქვეუწყებ-

ბო დაწესებულება ამ სამინისტროს მმართველობის სფეროში აღარ იქნა გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის ბრძანებით მოსარჩელე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან. 2004 წლის 11 თებერვალს მიღებული "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-ია სამუშაოდან გათავისუფლებული იყო არაუფლებამოსილი პირის -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, რამდენადაც, ერთი მხრივ, 2004 წლის 30 ივნისის სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი, როგორც საქვეუწყებო დაწესებულება, არ შედიოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამგებლობაში და მეორეც -"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების შესაბამისად, საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს ათავისუფლებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მინისტრის წარდგინებით. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქვეუწყებო დაწესებულება იქმნებოდა, გარდაიქმნებოდა და საქმიანობას წყვეტდა კანონით ან მთავრობის დადგენილებით. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება, რომლის გამგებლობაშიც დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად გათვალისწინებული არ იქნა საქვეუწყებო დაწესებულება -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი, თუმცა ამ დეპარტამენტის ფუნქციებს ახორციელებდა სამინისტროს სხვა სტრუქტურული ერთეულები. ამდენად, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილების საფუძველზე გარდაიქმნა საქვეუწყებო დაწესებულება -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი, მისი ფუნქციების გადანაწილდა სამინისტროს სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის. აქედან გამომდინარე, ვინაიდან აღარ არსებობდა საქვეუწყებო დაწესებულება -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი, მოსარჩელის მოთხოვნა იმავე თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ, იყო უსაფუძვლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-იამ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ნ. გ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. გ-იას უარი ეთქვა განაცდური ხელფასის ანაზღაურებასა და სამსახურში აღდგენაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-იას სარჩელი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა; ნ. გ-იას აუნაზღაურდა განაცდური ხელფასი, სამსახურიდან მისი გათავისუფლებიდან აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდში; გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 19 მარტის №12/კს ბრძანებით ნ. გ-ია დაინიშნა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენ-

ტის უფროსად. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის №210 ბრძანებულებით ძალა-დაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 17 ოქტომბრის №411 ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში გათვალისწინებული იყო საქვეუწყებო დაწესებულება –სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი დებულება, რომლის მიხედვით, სამინისტროს მმართველობის სფეროში აღარ იქნა გათვალისწინებული ზემოაღნიშნული საქვეუწყებო დაწესებულება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანებით მოსარჩელე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანება არაა აქტად იქნა ცნობილი. ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესული იყო კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 112-ე მუხლის იმგვარი გაგება, რომ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარება ყველა შემთხვევაში წარმოშობდა ადმინისტრაციის ვალდებულებას, აენაზღაურებინა მუშაკისთვის ხელფასი სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, კანონმდებელი იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებას უკავშირებდა, როგორც მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების, ისე სამსახურში იძულებით არყოფნის გარემოებების ერთდროულად არსებობას. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების უკანონოდ ცნობას ყოველთვის არ უკავშირდებოდა მოხელისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება. ამისათვის აუცილებელი იყო მოხელის სამუშაოზე იძულებითი არყოფნის პირობის არსებობა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიდა და არ დაუდგენია, არსებობდა თუ არა მოსარჩელის სამუშაოზე იძულებითი არყოფნის გარემოება გაცდენილი პერიოდის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე პირადი განცხადებით ითხოვდა სამუშაოდან გათავისუფლებას, რაც დაკმაყოფილდა არაუფლებამოსილი პირის –საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ უარი განაცხადა სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნაზე. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლეთა შეკითხვებზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე დაწერა საკუთარი ნების საფუძველზე, მას არ სურდა სამუშაოზე აღდგენა და დატოვებდა სამსახურს, თუკი უფლებამოსილი პირი –პრემიერ-მინისტრი გაათავისუფლებდა სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია ნ. გ-იას განცხადება და დაედგინა, მოსარჩელეს პირადი განცხადებით ჰქონდა თუ არა გამოვლენილი სამუშაოზე არყოფნის სურვილი, ნება და იყო თუ არა ეს ნ. გ-იას სამსახურში იძულებითი არყოფნა, შესაბამისად, მიუხედავად მისი სამუშაოდან არაკანონიერად გათავისუფლებისა, ადგილი ჰქონდა თუ არა მასთან მიმართებაში იძულებით გაცდენილ პერიოდს და გამოეტანა დასაბუთებული დასკვნა, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო მოთხოვნა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა გამოეკვლია და სამართლებრივი შეფასება მიეცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებისთვის, დავის საგანთან მიმართებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის –საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს არ ჰქონდა პასუხი კითხვაზე, არსებობდა თუ არა სამართლის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა 2007 წლის ბრძანებით პირის სამსახურიდან გათავისუფლებას 2004 წლიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა –გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტი-

ლება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-ის სარჩელი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალია ნ. გ-ისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება, თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარი დაასაბუთა იმ ორგანოს, კერძოდ, სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის არარსებობით, რომლის მუშაკსაც წარმოადგენდა მოსარჩელე, ანუ, ფაქტობრივად, სასამართლო კოლეგიამ არ უარყო რა ნ. გ-ის უფლება, მიეღო იძულებითი განაცდური, არ მიიჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სათანადო მოპასუხედ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სათანადო მოპასუხეობა საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე, მათ შორის, უზენაეს სასამართლოშიც, ეჭვის ქვეშ არ დამდგარა. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ამ (დეპარტამენტის არარსებობის) მოტივით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე უარი არასწორად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუკი სასამართლოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არასთანადო მოპასუხედ მიაჩნდა, იგი ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესებით. სააპელაციო სასამართლომ ნ. გ-ის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მიიჩნია არსებითად და აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლი შრომითი გასამრჯელოს მიღებას უკავშირებდა სამსახურში მიღებიდან -გათავისუფლებამდე პერიოდს. ორივე მათგანი ფორმდებოდა შესაბამისი აქტით -ბრძანებით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 19 მარტის ბრძანებით ნ. გ-ია დაინიშნა ამავე სამინისტროს სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 2004 წლის 30 ივნისის ბრძანება მისი ამ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, არარა და, შესაბამისად, იურიდიული მნიშვნელობის შედეგის არმქონე აქტად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, არსებობდა რა ბრძანება მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ და არ არსებობდა რა აქტი მისი გათავისუფლების შესახებ, ნ. გ-ია უფლებამოსილი იყო, მიეღო შრომითი გასამრჯელო მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანების გამოცემამდე, ასეთი კი საქმის სასამართლო კოლეგიაში განხილვის პერიოდში არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი უფლებამოსილი არ იყო, ამგვარი მნიშვნელობა მიეცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებისთვის, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებდა გადაწყვეტილების დასაბუთებულობასა და კანონიერებას, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების მიღებისას, დასახელებული ბრძანება არ არსებობდა და, შესაბამისად, იგი სასამართლო კოლეგიის მიერ ვერ იქნებოდა და არც შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ვერ შეაფასებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანების, რომელმაც 30 თვის უკუქცევით მოაწესრიგა ნ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი, მართლობიერებას, რადგანაც იგი სცილდებოდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია საკითხი, მოსარჩელეს პირადი განცხადებით გამოვლენილი ჰქონდა თუ არა სამუშაოზე არყოფნის სურვილი, ნება და იყო თუ არა ეს სამსახურში ნ. გ-ის იძულებითი არყოფნა, ანუ, მიუხედავად მისი სამუშაოდან არაკანონიერად გათავისუფლებისა, იყო თუ არა მასთან მიმართებით იძულებით გაცდენილი პერიოდი. მოსარჩელის განმარტებით, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება მან დაწერა იმ პირობით, რომ მისი რეალიზაცია მომხდარიყო დეპარტამენტის საქმიანობის გენერალური ინსპექციის შემოწმების შემდეგ, გათავისუფლებისათვის უფლებამოსილი პირის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ. აღნიშნული დასტურდებოდა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე ნ. გ-ის 2004 წლის 7 ივნისისა და 30 ივნისის მოხსენებითი ბარათებით. ისინი არსებითად სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის სფეროში არსებულ მტკიცებულ საკითხებს ეხებოდა და სრულებით არ მიესადაგებოდა იმ პირის პოზიციას, რომელსაც თანამდებობიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

რაც შეეხებოდა გათავისუფლების შემდგომ პერიოდში ნ. გ-ის სამუშაოზე არყოფნის იძულებით ხასიათს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, სამუშაოზე ყოფნა გულისხმობდა მართლობიერ საფუძველზე სამუშაო ადგილას ყოფნას და თანამდებობრივი

ფუნქციების შესრულებას. თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანებით, რომელიც მოსარჩელის ნებას არ შეესატყვისებოდა, მოსარჩელეს ობიექტურად მოესპო სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობათა შესრულების შესაძლებლობა. როგორც ნებისმიერი კანონმორჩილი მუშაკი, ნ. გ-ია ვალდებული იყო, დამორჩილებოდა ბრძანებას და სწორედ ამაში გამოიხატებოდა სამუშაოზე არყოფნის იძულებითი ხასიათი.

საკასაციო პალატის მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საკასაციო პალატის განჩინებებზე, რომლებშიც ცალსახად იყო აღნიშნული, რომ ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო თუ განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება ბათილად იყო ცნობილი, არ არსებობდა ხელფასის გაუცემლობის საფუძველი, ბრძანების ბათილად ცნობისას კი პირვანდელ თანამდებობაზე, მისი არარსებობის გამო, აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, მუშაკს უნაზღაურდებოდა იძულებითი განაცდური გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, პირს უნდა ანაზღაურებოდა გათავისუფლებიდან შესაბამისი ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი, თუ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა მოქმედი ადმინისტრაციულ-მატერიალური კანონმდებლობის დარღვევით და შესაბამისად, ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე 2004 წლის 30 ივნისამდე. მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40კ/ს ბრძანებით, პირადი განცხადების საფუძველზე. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტმა საქმიანობა შეწყვიტა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილების საფუძველზე, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება. ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ჩამონათვალში არ შედის ზემოაღნიშნული დეპარტამენტი. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის №210 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 17 ოქტომბრის №411 ბრძანებულება, რომლითაც დამტკიცებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება და რომელშიც მითითებული იყო სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რაც წარმოადგენდა ამ დეპარტამენტის არსებობის სამართლებრივ საფუძველს. დაწესებულებამ, რომელშიც ნ. გ-ია მუშაობდა, საქმიანობა შეწყვიტა 2004 წლის ივნისიდან, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების საფუძველზე.

კასატორის განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლი ითვალისწინებს ხელფასის ანაზღაურების შესაძლებლობას სამსახურში იძულებით არყოფნის განმავლობაში. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ნორმა, აუცილებელია სამი პირობა - პირი თანამდებობიდან გათავისუფლებული უნდა იყოს უკანონოდ, პირი უნდა აღდგეს შესაბამის თანამდებობაზე და უნდა არსებობდეს შესაბამისი დაწესებულება და თანამდებობა. მოცემულ შემთხვევაში, არ არის დაცული მეორე და მესამე პირობა -ამჟამად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი არ არსებობს და გაუგებარია, საიდან დაგროვდა მოსარჩელის მიმართ განაცდური. გადაწყვეტილებიდან კი გამომდინარეობს, რომ განაცდურის ოდენობა იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება სასამართლო პროცესი. მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი იყო არა მხოლოდ მისი გათავისუფლების ბრძანება, არამედ -საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილება და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის №210 ბრძანებულება, ასევე -ნ. გ-იას განცხადება, რომელშიც გამოხატულია განმცხადებლის ნება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. გადაწყვეტილების მიღებისას არ არსებობდა არც შესაბამისი დაწესებულება და არც შესაბამისი თანამდებობა და გაუგებარია, თუ რა ოდენობის განაცდური უნდა აუნაზღაურდეს ნ. გ-იას გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში. გა-

დაწვეტილებაში არ არის მითითებული, რომელი თანამდებობრივი სარგოდან და რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს განაცდური.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაზე, რომლითაც საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 19 მარტის №12/კს ბრძანებით ნ. გ-ია დაინიშნა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსად. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის №210 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 17 ოქტომბრის №411 ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში გათვალისწინებული იყო საქვეუწყებო დაწესებულება -სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი დებულება, რომლის მიხედვით, სამინისტროს მმართველობის სფეროში აღარ იქნა გათვალისწინებული ზემოაღნიშნული საქვეუწყებო დაწესებულება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანებით მოსარჩელე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 30 ივნისის №40/კს ბრძანება არაა აქტად იქნა ცნობილი. ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესული იყო კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ ნ. გ-იას სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა და მისთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების ფარგლები.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე ნ. გ-იამ აღნიშნა, მას იძულებითი განაცდური ეკუთვნოდა მანამდე, სანამ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ დააკმაყოფილებდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ მის მოთხოვნას. საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 16 იანვრის სხდომაზე კი კასატორის -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სანამ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოსცემდა ბრძანებას, ნ. გ-იას არ შეეძლო სხვა ორგანიზაციაში დაეწყო მუშაობა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაში ასევე აღინიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე პირადი განცხადებით ითხოვდა სამუშაოდან გათავისუფლებას, რაც დაკმაყოფილდა არაუფლებამოსილი პირის -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ხოლო სააპელაციო

სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ უარი განაცხადა სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნაზე, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კი მოსამართლეთა შეკითხვებზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე დაწერა საკუთარი ნების საფუძველზე, მას არ სურდა სამუშაოზე აღდგენა და დატოვებდა სამსახურს, თუკი უფლებამოსილი პირი –საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაათავისუფლებდა სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამსახურიდან ნ. გ-იას გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირის –საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით, “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოფილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი ნ. გ-ია გათავისუფლებულად ჩაითვალა 2004 წლის 30 ივნისიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძველის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, არ მოახდინა ამ მუხლის ნორმის კომპლექსური რეალიზება ამავე კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ნორმასთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებასთან ერთობლიობაში, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ნ. გ-იასთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების ფარგლები თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ ნ. გ-იას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები უნდა განისაზღვროს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანების ფარგლებით, კერძოდ, ამ ბრძანების გამოცემის თარიღსა და ამავე ბრძანებაში მითითებულ სამსახურიდან ნ. გ-იას გათავისუფლებულად ჩათვლის თარიღს შორის დროის პერიოდით –2004 წლის 30 ივნისიდან 2007 წლის 15 იანვრამდე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით რეგლამენტირებული საკასაციო საჩივრის საფუძველი –კანონის, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია. საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-იას სარჩელი იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალება ნ. გ-იასთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2004 წლის 30 ივნისიდან 2007 წლის 15 იანვრამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის

2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით სამსახურიდან მისი გათავისუფლებულად ჩათვლის დროს არსებული ხელფასის ოდენობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. გ-ის სარჩელი იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დავალოს ნ. გ-ისთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2004 წლის 30 ივნისიდან 2007 წლის 15 იანვრამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით სამსახურიდან მისი გათავისუფლებულად ჩათვლის დროს არსებული ხელფასის ოდენობის მიხედვით;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამუშაოზე აღდგენა;
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1032-996(კ-08) 8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

24.10.07წ. კ. მ-იამ და მ. კ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ. №01-03/41 და №01-03/42 ბრძანებების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ასევე, სასამართლო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვეს. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2006 წლიდან მუშაობდნენ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში. სამმართველოში მუშაობის დაწყების დღიდან გათავისუფლებამდე, 2007 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებდნენ კეთილსინდისიერად. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ. ბრძანებებით განთავისუფლებულები იქნენ თანამდებობებიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 98-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე. მოსარჩელებმა განცხადებით, აღნიშნული ბრძანებები უკანონოა, არ დგინდება, რა გახდა მითითებული ნორმის გამოყენების საფუძველი.

მოსარჩელე მ. კ-მემ აღნიშნა, რომ 20.09.07წ. მიიღო დავალება შეესწავლა აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მოწოდებული სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების მიერ 2007წ. გაცემული არამერქნული რესურსების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დავალების მიღებისთანავე დაიწყო მუშაობა დავალების შესასრულებლად, გამოითხოვა დოკუმენტები და გაანალიზა არსებული სიტუაცია, მიიღო 61 დოკუმენტი, საიდანაც გამოყო 21 გაყალბებული

დოკუმენტი, რაც შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მოამზადა შესაბამისი დასკვნა და შემდგომი რეაგირებისათვის გადასცა სამმართველოს უფროსს. დასკვნაში არ იქნა ასახული ტერიტორიული ორგანოების საქმიანობაში დაშვებული შეცდომები, რაც არაპროფესიონალიზმად ჩაუთვალეს. მ. კ-მემ განმარტა, რომ სრულყოფილი დასკვნის მომზადებას 05.10.07წ. დაასრულებდა.

მოსარჩელე კ. მ-იამ აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული არ იქნა სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი. მოსარჩელე კ. მ-იამ სასამართლოს მთავარ სხდომაზე შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ 02.10.07წ. აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებულება მოითხოვა. მოსარჩელემ განმარტა, რომ თანამდებობა, რომელზეც მუშაობდა, გაუქმებული იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.12.07წ. გადაწყვეტილებით კ. მ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ. №01-03/42 ბრძანება და მოპასუხეს დაევალა, კ. მ-იას შრომით ურთიარეთობასთან დაკავშირებით გამოეცა ახალი აქტი. მოპასუხეს დაევალა ასევე განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2007 წლის 5 ნოემბრამდე და კომპენსაცია მისი ზღვრული ხელფასის ორი თვის სარგოს ოდენობით. მოსარჩელე მ. კ-მეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.12.07წ. გადაწყვეტილება მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.08წ. გადაწყვეტილებით მ. კ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა -გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.12.07წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მ. კ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ. №01-03/41 ბრძანება, მ. კ-მე აღდგენილი იქნა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, მას აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. კ-მე 2006 წლიდან მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში ... თანამდებობაზე, საიდანაც გათავისუფლდა 02.10.07წ. ბრძანებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 98-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. კ-მის მიერ შესწავლილი იქნა სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების მიერ 2007წ. გაცემული ტყის არამერქნული რესურსების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შემდეგ მოხსენებითი ბარათით მიმართა სამმართველოს უფროსს და მოახსენა, რომ შესწავლილი მასალების საფუძველზე გენერალურ ინსპექციას მიზანშეწონილად მიაჩნდა მასალების გადაგზავნა აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსათვის. მოხსენებითი ბარათი 28.09.07წ.-ით იყო დათარიღებული. 28 სექტემბერი იყო პარაკევი, მოხსენებით ბარათს დაედო ი. კ-კის რეზოლუცია "მოამზადეთ წერილი პროკურატურისათვის". 02.10.07წ. მ. კ-მე გათავისუფლეს სამსახურიდან. სამმართველოს ... თანამდებობა ვაკანტური იყო და საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის ამ თანამდებობაზე დანიშნული არავინ ყოფილა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-მის მოხსენებით ბარათში ასახული იყო შემოწმების მასალების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რითაც საჯარო მოხელემ შეასრულა თავისი მოვალეობა, მიზანშეწონილად მიიჩნია მიეთითებინა სამმართველოს ხელმძღვანელობისათვის, რომ შემდგომი რეაგირების მიზნით მის ხელთ არსებული დოკუმენტები გადაეგზავნა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. მოხსენებითი ბარათის ირგვლივ რაიმე შენიშვნები არ გამოთქმულა. რეზოლუციით ირკვეოდა, რომ სამმართველოს თანამშრომელს დაევალა წერილის მომზადება პროკურატურისათვის. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ ასებობდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 98-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მ. კ-მის სამსახურიდან გათავისუფლების საკმარისი საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მ. კ-მის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 98-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტი. მ. კ-მის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მასზე დავალებული მოვალეობის შესრულება. მის მიერ არასრულყოფილად იქნა შემოწმებული სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა და არ იქნა გამოვლენილი დარღვევები. აღნიშნულის გამო მ. კ-მე სამსახურიდან გათავისუფლდა. მ. კ-მის მოხსენებით ბარათში არ აისახა სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები, მასში მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტების მიერ დოკუმენტების გაყალბების შესახებ აღნიშნა. კასა-

ტორის აზრით, სადავო ბრძანება გამოცემული არ ყოფილა ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. კასატორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ "აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ა/რ მთავრობის 11.07.06წ. №60 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აჭარის ა/რ მთავრობის 30.06.08წ. №29 დადგენილებით ცვლილება იქნა შეტანილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სტრუქტურაში, გაუქმდა სამმართველოს სტრუქტურული ერთეული -გენერალური ინსპექცია, შესაბამისად -... თანამდებობა. ამდენად, აღარ არსებობდა ის თანამდებობა, რომელიც გათავისუფლებამდე ეკავა მ. კ-ძეს.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მ. კ-ძე 2006 წლის აპრილიდან მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... თანამდებობაზე. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ. №01-03/41 ბრძანების საფუძველზე მ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ., №01-03/41 ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემული უნდა იქნეს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მ. კ-ძეს სამმართველოს უფროსის 20.09.07წ. რეზოლუციით დაევალა სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან შემოსული დოკუმენტების შესწავლა, მ. კ-ძე სამმართველოს უფროსს მოხსენებითი ბარათით მიმართა 28.09.07წ. (პარასკევს), მოხსენებითი ბარათის შედგენიდან მეორე სამუშაო დღეს -სამშაბათს (02.10.07წ.) იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამდენად, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მ. კ-ძისათვის არ მიუცია სზაკ-ის მე-13 მუხლით მინიჭებული მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. მ. კ-ძე განმარტავს, რომ ქობულეთის ტერიტორიული ორგანოდან ხსენებული დოკუმენტი მიიღო 27.09.07წ., რომლიდანაც 28.09.07წ. თემატურად გამოყო 21 გაყალბებული დოკუმენტი, რაც შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. აღნიშნულზე მოამზადა შესაბამისი დასკვნა და შემდგომი რეაგირებისათვის გადასცა სამმართველოს უფროსს, დანარჩენი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებზე დასკვნის მომზადება შესაძლებელი იყო მოგვიანებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. კ-ძეს სამმართველოს უფროსის რეზოლუციით დაევალა სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან შემოსული დოკუმენტების შესწავლა, ხელმძღვანელის რეზოლუციაში არ განსაზღვრულა საქართველოს პრეზიდენტის 01.07.1999წ. №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმების ერთიანი წესების" 29-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებული შესრულების ვადა, დავალების შესრულების საბოლოო თარიღი. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ მოსარჩელე დანიშნული იყო საჯარო დაწესებულების ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად, ხელმძღვანელ თანამდებობაზე არადამაკმაყოფილებელი ჩვევების გამოვლენა არ გამოირიცხავდა მ. კ-ძის თანხმობის შემთხვევაში, მისი სამმართველოს აპარატში ან სისტემაში იმ თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობას, რომლის შესაბამისი კვალიფიკაციაც გააჩნდა. მ. კ-ძე სამსახურიდან გათავისუფლდა ამ შესაძლებლობის განხილვის გარეშე. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საჯარო მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი არ გადაწყვეტილა მოხელის საქმიანობის მართლზომიერების შემოწმების შედეგად, დაინტერესებულ პირს -მ. კ-ძეს არ მისცემია საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, მ. კ-ძე სამსახურიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით იქნა გათავისუფლებული.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ. კ-ძის მოხსენებითი ბარათი არ ადასტურებს მის არადამაკმაყოფილებელ პროფესიულ ჩვევებს. მ. კ-ძის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათში აღინიშნა, რომ შესაძლოა არსებობდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც მასალები სამართალდამცავი ორგანოებისათვის უნდა გადაგზავნილიყო. მოხსენებითი ბარათის ავტორი ზოგადად ითხოვდა ყველა მის ხელთ არსებული მასალის გადაცემას აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოსათვის. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი იყო ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიერ უკანონოდ მოსაკრებლების გადახდევინების და ტყით სარგებლობის ბილეთების კანონდარღვევით გაცემა –ჩატარებული დადგენა, დარღვევაზე შესაბამისი რეაგირება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არადაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება იქცეს მაშინ, როდესაც დაბალი პროფესიული მომზადების დონის გამო მუშაკის მხრიდან არაერთჯერადად ხდება სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებას, მუშაკის სამსახურისადმი შეუსაბამო ობიექტური მონაცემებით უნდა დასტურდებოდეს (აქტი დავალების უხარისხოდ შესრულების შესახებ, ცნობა ნორმატივების შეუსრულებლობის შესახებ, და ა.შ.), დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციას აწევს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. კ-ძის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდა მხოლოდ ერთი დოკუმენტის –მისი მოხსენებითი ბარათის შინაარსი მანამდე მ. კ-ძის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო დისციპლინური ზომები არ გაუტარებია, გაწეული მუშაობისათვის მას ეძლეოდა ფულადი პრემიები, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამსახურიდან გათავისუფლებამდე რამოდენიმე დღით ადრე (26.0907წ.) მ. კ-ძეს მიეცა ფულადი პრემია. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ მ. კ-ძის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე სხვა სახის დასკვნა, წერილობითი დოკუმენტი მ. კ-ძის მიერ დავალების უხარისხოდ შესრულების შესახებ არ შედგენილა, სამმართველოს მიერ არ წარმოდგენილა ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელის მიმართ დოკუმენტაციაში ასახული დარღვევების გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების რაიმე მტკიცებულება. აჭარის ა/რ მთავრობის 11.07.06წ. №60 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების მე-4 მუხლის თანახმად, სამმართველოს უფროსი ახორციელებს სამმართველოს თანამდებობის პირთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას, რაც გადაწყვეტილების მიღებამდე დასკვნის მომზადების შემოწმებას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სათანადო მითითებების მიცემას ნიშნავს. საქმის მასალებით არ დასტურდება დასკვნის მომზადებამდე რაიმე მითითების მიცემა, პირიქით, მ. კ-ძის მიერ შესწავლილი დოკუმენტაცია აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის რეზოლუციის შესაბამისად, მ. კ-ძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გადაგზავნა სამართალდამცავ ორგანოს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 98-ე მუხლის “ვ” ქვეპუნქტით მ. კ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების საკმარისი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია სააკაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. კ-ძის მოხსენებითი ბარათი არ წარმოადგენს მოხელის არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების დადგენის საკმარის საფუძველს, შესაბამისად, ამ საფუძველით მისი სამსახურიდან გათავისუფლება კანონშესაბამოა.

“საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული ნორმა მოხელის აღდგენას თანამდებობაზე ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც კვლავ არსებობს გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა. სამმართველოს სტრუქტურული ერთეული –გენერალური ინსპექცია, “აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ” აჭარის ა/რ მთავრობის 11.02.06წ. №60 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აჭარის ა/რ მთავრობის 30.06.08წ. №29 დადგენილებით, გაუქმდა. “აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შექმნის შესახებ” აჭარის ა/რ მთავრობის 02.09.04წ. №36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აჭარის ა/რ მთავრობის 30.06.08წ. №28 დადგენილებით აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების –გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა (50 საშტატო ერთეული) შემცირდა და 47 საშტატო ერთეულით განისაზღვრა. აჭარის ა/რ მთავრობის 16.12.08წ. №56 დადგენილებით სამმართველოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა კვლავ განისაზღვრა 50 საშტატო ერთეულით, თუმცა მთავრობის ამ დადგენილების საფუძველზე სამმართველოს უფროსის 25.12.08წ. ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს სამმართველოს სტრუქტურული ერთეულის –გენერალური ინსპექციის არსებობას, შესაბამისად, საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული გენინსპექციის ... შტატი. ამდენად, სადღეისოდ არ არსებობს თანამდებობა, საშტატო ერთეული, რომელიც სამსახურიდან განთავი-

სუფლებამდე ეკავა მ. კ-ძეს, რის გამოც არ არსებობს წინანდელ თანამდებობაზე მ. კ-ძის აღდგენის და ამ ნაწილში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 112-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური ხელფასი მთელი მოცდენილი დროისათვის. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობას. ვინაიდან მ. კ-ძის სამუშაოზე აღდგენის ობიექტური შესაძლებლობა არ არსებობს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს გათავისუფლების დღისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გათვალისწინებით გათავისუფლების დღიდან -2007 წლის 2 ოქტომბრიდან მის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმებამდე -2008 წლის 30 ივნისამდე. სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას მ. კ-ძის შრომითი ურთიერთობასთან დაკავშირებით ახალი აქტის გამოცემის, გასასვლელი დახმარების საკითხზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.08წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. კ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ბათილად იქნეს ცნობილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 02.10.07წ. №01-03/41 ბრძანება;
4. მ. კ-ძეს აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური 2007 წლის 02 ოქტომბრიდან 2008 წლის 30 ივნისამდე;
5. მ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1377-1335(კ-08)

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე**

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 აპრილს გ. შ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე ქ. ქუთაისის მერის მიმართ, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ქ.ქუთაისის მერიამ განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის (საქმე №ბს-835-797(კ-07) 05.02.08)) განჩინება, რომელმაც უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (საქმე №3ბ-608; 16.07.08წ.) გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის მერის №537 "კ" ბრძანება გ. შ-ძის სამუშაო-

დან განთავისუფლების შესახებ და ქ. ქუთაისის მერიას დაევალა ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ –სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით, გ. შ-ძისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებით შტატით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად.

მან 2008 წლის 28 თებერვალს განცხადებით მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება.

ქ. ქუთაისის მერიამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განიხილა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და სამართლებრივად მცდარ არგუმენტებზე დამყარებით, ასევე, მისი სამსახურიდან გათავისუფლების მოტივირებული ახსნის გარეშე, რომლის დასაბუთებაც ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო და უზენაესი სასამართლო, გამოსცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი, რომლის თანახმად ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულებით მოხდა ქუთაისის ბიბლიოთეკების ლიკვიდაცია და მოსარჩელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდო იმ ბიბლიოთეკის არარსებობა, სადაც თანამდებობაზე აღდგენას ითხოვდა.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო ბრძანებით არ შესრულდა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ქ. ქუთაისის მერიას საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევით უნდა გადაეწყვიტა არსებობდა თუ არა მისი ქუთაისის სამეცნიერო–უნივერსალური ბიბლიოთეკაში მისი თანამდებობიდან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი მისი დასაქმების საკითხის გადასაწყვეტად. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მისი სამსახურიდან განთავისუფლების მოტივირებული საფუძველი, რის გამოც გათავისუფლების მოტივი კვლავ უცნობია, მით უფრო, რომ ქუთაისის სააპელაციო და უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო რა ქუთაისის მერის №527 “კ” ბრძანება, დავის არსებითად გადაწყვეტის გარეშე, მოპასუხეს დაავალა დაესაბუთებინა სამსახურიდან გათავისუფლება. ამდენად, ზემოაღნიშნული №537 “კ” ბრძანების ბათილად ცნობით მისი სამსახურიდან დათხოვის საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად არა აქვს საფუძველი ქუთაისის მერიის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანებას. ამასთან, არც სააპელაციო და არც უზენაეს სასამართლოს სამუშაოზე აღდგენაზე არ უმსჯელია და 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანებაში არსებული მითითება სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმის შესახებ წინააღმდეგობაშია სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მითითებებთან, რამდენადაც მოპასუხეს მოსარჩელის განთავისუფლების საფუძველი უნდა მიეთითებინა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმით, რაც ქუთაისის მერის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანებაში მითითებული არ არის, ე.ი. ქუთაისის მერის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანება უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ქ. ქუთაისის მერიის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას უკანონოდ დათხოვნის დღიდან, 2007 წლის 1 თებერვლიდან სამუშაოზე აღდგენამდე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 მაისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ... -მ. გ-ავა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით გ. შ-ძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის მოტივით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერიამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინების მითითების შესაბამისად სრულად ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და 2008 წლის 25 მარტის ბრძანება გ. შ-ძის შრომითი ურთიერთობის დასრულების შესახებ მიიღო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შედეგად. კერძოდ საქართველოს ზაკ-ის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის უფლების შესახებ ეცნობა ყველა დაინტერესებულ მხარეს. გ. შ-ძემ წარადგინა თავისი მოსაზრებები, მტკიცებულებები, შუამდგომლობები და მათი საქმის გარემოებებთან გაანალიზების შედეგად გამოიცა №446 ბრძანება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა, რომ კვლავ უცნობი რჩება და ბრძანებაში მითითებული არ არის დათხოვნის საფუძველი, ვინაიდან სადავო ბრძანებაში კონკრეტულად არის მითითება, რომ “თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულებით “ქუთაისის მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შექმნის შესაბამისად, ლიკვიდირდა ქ. ქუთაისის ბიბლიოთეკები და დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით, მათ შორის, ი. ჭავჭავაძის სახელო-

ბის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკაც. ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულებით ახლად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ... ქუთაისის მერმა თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნა მ. გ-ავა, რომელიც არ დანიშნულა იმ თანამდებობაზე საიდანაც გათავისუფლდა გ. შ-ძე.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის მსჯელობა რომ გ. შ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად ცნობის შემდეგ, ქუთაისის მერს არ გამოუცია ახალი ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვის შესახებ და, ამდენად, იგი არ ითვლება სამსახურიდან დათხოვნილად. სასამართლოს მითითებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2007 წლის 1 თებერვლის №537 "კ" ბრძანება გ. შ-ძემ გაასაჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ბრძანება და სადავო საკითხის გადასაწყვეტად დაავალა ქ. ქუთაისის მერიას გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებით ახალი აქტის გამოცემამდე. მერიის №446 ბრძანებით გადაწყდა სწორედ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხები. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თანამდებობა, სადაც მუშაობდა მოსარჩელე აღარ არსებობს, რაც გახდა საფუძველი მის აღდგენაზე უარის თქმისა. სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო ვერ იმსჯელებდა გ.შ-ძის არარსებული თანამდებობიდან დათხოვნაზე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. შ-ძემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, როგორც ქალაქის მერმა, ისე საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და უგულვებელყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება და უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება, რომლითაც დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში სადავო საკითხთან დაკავშირებით გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამსახურიდან გათავისუფლების მოტივირებული ახსნით და შტატით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. მერიამ ჩაატარა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის №131 დადგენილებისა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულების შესაბამისად, რომლითაც ლიკვიდირებულ იქნა ქუთაისის ბიბლიოთეკები და დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით, 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანებით უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე იმ საფუძველით, რომ მოხდა იმ ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია, საიდანაც იყო დათხოვნილი. აღნიშნული აქტის გამოცემისას იგნორირებული იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ქუთაისის მერიას საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევით უნდა გადაეწყვიტა არსებობდა თუ არა ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის ... თანამდებობიდან მისი გათავისუფლების კანონიერი საფუძველი და გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დასაქმების საკითხის გადასაწყვეტად. აპელანტის მითითებით, მისთვის კვლავ უცნობი რჩება გათავისუფლების მოტივი. ქ. ქუთაისის მერმა სადავო ბრძანების მიღებისას ასევე არ გაითვალისწინა, რომ ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულებით ფაქტობრივად მოხდა დაწესებულების რეორგანიზაცია და არ მომხდარა ლიკვიდაცია. ასევე, სადავო №446 ბრძანებით არ გადაწყვეტილა მისი სამსახურიდან დათხოვნის საკითხი. ამასთან, აპელანტის განმარტებით, ქ. ქუთაისის მერის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანებით კვლავ ირღვევა მისი კონსტიტუციური უფლებები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინებით გ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ამასთან ვინაიდან გ. შ-ძე არ განეკუთვნება საჯარო მოსამსახურეთა კატეგორიას მოცემული დავა უნდა დარეგულირდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, "საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით და 2006 წლის 25 მაისის საქართველოს შრომის კოდექსით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ქ. ქუთაისის მერიამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინების შესაბამისად სრულად ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და რომ 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანება მიღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის და ურთიერთშეჯერების შედეგად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად სადავო საკითხზე დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რის შესახებ ამავე კოდექსის მე-13, 95-ე და 98-ე მუხლების შესაბამისად ეცნობა გ. შ-ძეს და როგორც მხარეს განემარტა მისი უფლებები სადავო საკითხზე საკუთარი მოსაზრებების, მტკიცებულებების და შუამდგომლობების წარდგენის შესახებ. თავისი უფლებების რეალიზაციის მიზნით გ. შ-ძემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინა თავისი მოსაზრებები და მტკიცებულებები.

ქ. ქუთაისის მერიის მიერ სადავო ურთიერთობის დარეგულირებისას მხედველობაში იქნა მიღებული თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულება ქ. ქუთაისის მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შექმნის შესახებ, რომლის თანახმადაც ლიკვიდირებულ იქნა ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა და დაფუძნდა სრულიად ახალი არასამეწარმეო (არასამაწარმეო) იურიდიული პირი -ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის . . ., დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ქუთაისის მერის 2007 წლის 31 აგვისტოს №2348 "კ" ბრძანებით დაინიშნა მესამე პირი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2006 წლის 25 მაისის შრომის კოდექსი, რომელიც "საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 11.1 მუხლის შესაბამისად არეგულირებს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომით ურთიერთობებს, არ ითვალისწინებს მუშაკის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობას, რაც საფუძვლად დაედო 2008 წლის 25 მარტს ქ. ქუთაისის მერიის მიერ გ. შ-ძის შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ №446 ბრძანებას და უარი ითქვა მისი ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის . . . აღდგენაზე, ასეთი დაწესებულების და თანამდებობის არ არსებობის გამო.

ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო სამართალურთიერთობის დარეგულირებასთან დაკავშირებით აქტის გამოცემისას გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებას და, ამდენად, იგი სრულად აკმაყოფილება კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. შ-ძემ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის 2008 წლის 25 მარტიდან სამუშაოზე აღდგენამდე სრულად ანაზღაურებას, . . . შესაბამისი სახელფასო სარგოს ოდენობით.

კასატორი საკასაციო საჩივარს ფაქტობრივად აფუძნებდა იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სასარჩელო და სააპელაციო საჩივრებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. შ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება გამოიტანა სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, დაარღვია საპროცესო ნორმები, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგინდად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ქ. ქუთაისის მერიის 2002 წლის 1 ნოემბრის №208 განკარგულებით კასატორი გ. შ-ძე დაინიშნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის

ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის №537-კ ბრძანებით გ. შ-ძესთან შეწყდა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის საფუძველით.

2007 წლის 22 თებერვალს გ. შ-ძემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის №კ-537 ბრძანების ბათილად ცნობა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის . . . თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამტატო განრიგით განსაზღვრული განაკვეთის გათვალისწინებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით გ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის №531 "კ" ბრძანება და ქუთაისის მერიას დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით. გ. შ-ძეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური შტატით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად, გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით და შევიდა კანონიერ ძალაში.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქ. ქუთაისის მერიის მიერ 2008 წლის 25 მარტს მიღებულ იქნა №446 ბრძანება, რომლითაც გ. შ-ძეს უარი ეთქვა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის . . . თანამდებობაზე აღდგენაზე, ასეთი დაწესებულების არარსებობის გამო. ამავე ბრძანებით, გ. შ-ძეს უარი ეთქვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის . . . თანამდებობაზე დანიშვნაზე. აღნიშნული აქტის კანონიერება წარმოადგენს წინამდებარე დავის საგანს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოაყალიბა სადავო აქტთან მიმართებაში და დავის საგანს მისცა მცდარი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებულია საქმის გარემოებების არასწორი შეფასებისა და შეჯერების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სადავო აქტში წარმოდგენილ მოტივაციას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მითითებული მოტივაციის გაზიარებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის დებულებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" პუნქტის შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, ესაა ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით დადგენილად მიჩნული ფაქტი იმის თაობაზე, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ განიცადა რეორგანიზაცია, რა დროსაც ის გარდაიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად და მასზე, როგორც უფლებამონაცვლეზე, გადავიდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უფლება-მოვალეობები.

ამდენად, გასაჩივრებულ აქტში წარმოდგენილი სამართლებრივი საფუძველი რადიკალურად განსხვავდება ზემოაღნიშნული განჩინებით დადგენილი გარემოებისაგან. იმ პირობებში, როდესაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და მტკიცებას არ საჭიროებს ფაქტი იმის თაობაზე, რომ ბიბლიოთეკამ განიცადა რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, საკასაციო სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს პროცესუალური მოწინააღმდეგისა და სააპელაციო სასამართლოს მხრიდან წარმოდგენილი მოტივაციის გაზიარებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია არ ემყარება საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით მიუთითებს იმის თაობაზე, რომ მართალია, ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №58 განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე ქ. ქუთაისის მუზეუმებმა და ბიბლიოთეკებმა განიცადეს ლიკვიდაცია, მაგრამ ამავე განკარგულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ახლად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ჩაითვალოს იმ დაწესებულებების უფლებამონაცვედ, რომელთა ბაზაზეც დაფუძნდა აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) პირები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. ქუთაისის მერის №446 ბრძანება "გ. შ-ძის შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ" ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული განკარგულების დებულებებს, არ გამომდინარეობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოთხოვნებიდან და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე გასაჩივრებული ბრძანების შინაარსს, რომელშიც საუბარია გ. შ-ძის ... თანამდებობაზე აღდგენისა და თანამდებობაზე დანიშვნის შეუძლებლობაზე. საგულისხმოა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის №531-კ ბრძანება, რომლითაც გ. შ-ძესთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა. სასამართლოს მხრიდან აქტის ბათილად გამოცხადების შემდეგ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა -საუბარია №531-კ ბრძანებაზე, შეწყვიტა მოქმედება ძალაში შესვლის დღიდან და გამოიწვია მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი იურთიერთობის გაუქმება. ამდენად, №531-კ ბრძანების სასამართლო წესით ბათილად გამოცხადების მომენტიდან ითვლება, რომ გ. შ-ძესთან შრომითი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეწყვეტილა და ფაქტობრივად არ არსებობს დოკუმენტი მასთან შრომითი ურთიერთობის მოშლის თაობაზე. ამდენად, დაუშვებელია საუბარი იმ პირის თანამდებობაზე აღდგენასა თუ თანამდებობაზე დანიშვნაზე, რომელთან მიმართებაშიც არ არსებობს აქტი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ატარებს წინააღმდეგობრივ ხასიათს, საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილი და წარმოდგენილია არასწორად, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იძლევა აქტის ბათილობის საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 _ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. შ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
ბათილად იქნეს ცნობილი ქუთაისის მერის 2008 წლის 25 მარტის №446 ბრძანება;
ქუთაისის მერს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გ. შ-ძის სამუშაოზე მოწყობის თაობაზე;
- გ. შ-ძეს აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური 2008 წლის 25 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამუშაოზე აღდგენა ;
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1591-1545(კ-08)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე**

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 20 სექტემბერს გ. ქ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №331-კ ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთის" გამშვებ პუნქტ "...-ის" ინსპექტორის თანამდებობიდან.

აღნიშნულის გამო გ. ქ-შვილმა, 2005 წლის 14 ივლისს, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა აღნიშნული ბრძანების არაკანონიერად აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №331-კ ბრძანება და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი და აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

მოსარჩელის განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 2005 წლის 14 ივნისიდან სასამართლოს მიერ დავალებული ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე სამსახურში იძულებითი არყოფნისათვის კუთვნილი ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით გ. ქ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა მოსარჩელე გ. ქ-შვილისათვის ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, 2005 წლის 14 ივნისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დავალებული ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე გ. ქ-შვილი იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მოხელეს, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები. ამავ კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სარჩელი იყო დაუშვებელი ვინაიდან, არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობებს. სარჩელი დაუშვებელი იყო, აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, რომლის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ასეთი საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამსახურში წარდგენილი არ ყოფილა.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან სარჩელის წარდგენისას არ იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოსარჩელეს არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით, შესაბამისად, არ არსებობდა ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე სახის ანაზღაურების გაცემისა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითავლისწინებს იძულებითი განაცდურის დაანგარიშების წესს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არც სასამართლო პრაქტიკაა ჩამოყალიბებული და არც რაიმე ნორმა არ ავალდებულებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოახდინოს იძულებითი განაცდურის დაანგარიშება. ამასთან, აღნიშნული სამსახურის მიერ სახელფასო დავალიანების გაუცემლობა გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ გასულ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტში სახელფასო თანხები რამოდენიმეჯერ იქნა სეკვესტრირებული. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხარჯზე შეუძლებელია იმ მიზეზის გამო, რომ "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად თანხა გამოყოფილი აქვს ფინანსთა სამინისტროს, ხოლო შემოსავლების სამსახურისათვის გამოყოფილი ზღვრული ასიგნებანი არ მოიცავს გასულ წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისათვის გათვალისწინებულ თანხას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მასალებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე: გ. ქ-შვილი 2005 წლის 14 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "ადმოსავლეთის" საბაჟო გამშვებ პუნქტ ". . .-ის" თანამშრომლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №331-კ ბრძანებით გ. ქ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გ. ქ-შვილის სასარჩელო განცხადების საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 14 ივნისის №331-კ ბრძანება გ. ქ-შვილის თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასებების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განჩინებებით.

მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანომ გ. ქ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლებისას დაარღვია კანონის მოთხოვნები, რაც წარმოადგენდა გათავისუფლების თაობაზე მიღებული აქტის ბათილობის საფუძველს. ამდენად, აქტის ბათილად გამოცხადებით, მითითებულმა აქტმა, მისი ძალაში შესვლის დღიდან, დაკარგა ძალა და გამოიწვია ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების გაუქმება. არსებული ფაქტობრივი საფუძველები საკასაციო სასამართლოს აძლევს საშუალებას გაიზიაროს სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ იმ პირობებში, როდესაც გ. ქ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეულია უკანონოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აუნაზღაუროს მას სამსახურში იძულებითი არ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში შრომითი გასამრჯელო-ხელფასის სახით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე ქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ქმედების განუხორციელებლობა, კერძოდ, განაცდური ხელფასის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს პროცესუალური მოწინააღმდეგის კანონიერ უფლებას - მიიღოს იძულებითი განაცდური, რის გამოც სასამართლო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლზე დაყრდნობით უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალება, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სასამართლოს მსჯელობას ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების თაობაზე - ანაზღაუროს იძულებითი განაცდური, საჭიროდ მიიჩნევს სასამართლოს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 23 იანვრის №238-ბ ბრძანებით, გ. ქ-შვილი აღდგენილ იქნა სამსახურში და დაინიშნა თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საბაჟო-გამშვები პუნქტ "...-ის" ინსპექტორის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო და კატეგორია განისაზღვრა დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ აქტის არსებობა სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას გააკეთოს ზოგადი ხასიათის მითითება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იძულებითი ხელფასის ანაზღაურება ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. საკასაციო სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კონკრეტულად განსაზღვროს ის პერიოდი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას და სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს გარკვევით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

ამდენად მართალია, საკასაციო სასამართლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარს მიიჩნევს დაუსაბუთებლად და თვლის რომ საკასაციო საჩივარი არ ემყარება სამართლის შესაბამის ნორმებს, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლის საჭიროებიდან გამომდინარე თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების შეცვლით საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული უნდა იყოს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალოს გ. ქ-შვილს აუნაზღაუროს ხელფასი სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში -2005 წლის 14 ივნისიდან 2008 წლის 23 იანვრამდე;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

№ბს-708-674 (კ-09)

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 10 ივნისს ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების -საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებად. ე. ყ-შვილი ასრულებდა უზენაესი საბჭოს სესიის სამდივნოს თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო გ. გ-ანი სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის მდივნის მოვალეობას. 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალების შედეგად უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ვადამდე უკანონოდ შეუწყდათ სადეპუტატო უფლებამოსილება და უკანონოდ იქნენ დათხოვნილი თანამდებობიდან. მათ არ მიუღიათ 4 წლის ხელფასი. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილისა და 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული გადატრიალება ცნობილ იქნა ანტიკონსტიტუციურად და კვლავც დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 19 ნოემბრის №311 დადგენილებით უზენაესი საბჭოს დეპუტატის ხელფასი განისაზღვრა 1400 მანეთით, მუდმივმოქმედი კომისიის მდივნის -1600 მანეთით, ხოლო სესიის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილის - 1700 მანეთით.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით დგინდება, რომ 1991 წლის 1600 მანეთი დღევანდელი კურსით შეადგენს 798 ლარს, ხოლო 1700 მანეთი -847 ლარს. აქედან გამომდინარე, ე. ყ-შვილს 1991 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ნოემბრამდე მიუღებელი ხელფასის სახით ერგება 40656 ლარი, ხოლო გ. გ-ანს -38264 ლარი. ასევე, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%, რაც ე. ყ-შვილთან მიმართებით შეადგენს 70 487 ლარს, ხოლო გ. გ-ანთან მიმართებით -66408 ლარს. გარდა აღნიშნულისა, უზენაესი საბჭოს წევრი ყოველთვიურად იღებდა სადეპუტატო დანამატს -200 მანეთს, რაც დღევანდელ ვალუტაში შეადგენს 100 ლარს, 48 თვის განმავლობაში -8213 ლარს.

პარლამენტის წევრს საქართველოს პარლამენტის წევრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დანიშნული ჰქონდა თანამდებობრივი განაკვეთი და სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკისრებოდათ ე. ყ-შვილისათვის მიუღებელი ხელფასის - 78700 ლარისა და გ. გ-ანისათვის -74621 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოირიცხა მოპასუხეთა სიიდან და საქმეში ჩაება მესამე პირად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ყ-შვილისა და გ. გ-ანის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, იმავე სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებათა დადგენილებით, დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ყ-შვილი აღიარებულია რეპრესირებულად და 1992 წლის იანვრიდან უკანონოდ შეუწყდა უფლებამოსილება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ-ანი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საქართველოს სამხედრო საბჭოს 1992 წლის 2 იანვრის დადგენილების საფუძველზე გ. გ-ანს შეუჩერდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება, ხოლო მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს დაევალა ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების განხორციელება. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ შეხედულებებთან, რაც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში. გ. გ-ანის უფლებამოსილების ვადამდე უკანონო შეწყვეტა შეფასდა როგორც თანამდებობიდან უკანონო დათხოვნა, ვინაიდან დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა, თანამდებობიდან დათხოვნა, 1992 წლის 4 იანვარს მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო დეპუტატის უფლებამოსილების ვადის გასვლისა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველებით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებას, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს. კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს რეპრესირებულთა პოლიტიკურ, სამოქალაქო და ქონებრივი უფლებების აღდგენის მექანიზმს, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება, სამხედრო და სპეციალური წოდებები, უზრუნველდება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად ჩამორთმეული სახელმწიფო ჯილდოები, მიენიჭება შეღავათები ამ კანონით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით, რომელიც სარჩელის განხილვის მომენტისათვის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილული არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეთა წარმომადგენლის განმარტება, რომ მათ უნდა აუნაზღაურდეთ 1991 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ნოემბრამდე მიუღებელი ხელფასი, არაარგუმენტირებულია. 1991 წლის მდგომარეობით საქართველოში შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც საქართველოს 2006 წლის 25 მაისის №3132 კანონით ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული. მოსარჩელეთა წარმომადგენლის მოთხოვნა, მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ, ეფუძნება მოსარჩელეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას, რომ მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო მათ პოლიტიკურ შეხედულებებთან, რაც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში.

სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ ქმნის საფუძველს მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ. 2006 წლის 25 მაისამდე მოქმედი შრომის კოდექსით, ხელფასის შენარჩუნების გარანტიაში მოიაზრებოდა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება იძულებითი გაცდენის მთელი პერიოდის განმავლობაში იმ მუშა-მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც სამსახურიდან უკანონოდ იქნენ დათხოვნილი და სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილნი იქნენ წინააღმდეგ სამსახურში, ხელფასი მიეცემოდათ დათხოვნის დღიდან, მაგრამ -არაუმეტეს სამი თვისა. ამდენად, იძულებითი ხელფასის ანაზღაურების საფუძველი იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მოსამსახურის სამსახურში აღდგენის შესახებ პირვანდელ თანამდებობაზე. ხელფასის შენარჩუნების გარანტია რაიმე ვადით არ იყო შეზღუდული, თუ იძულებით გაცდენა გამოწვეული იყო ადმინისტრაციის მიერ შრომის წიგნაკის დაყოვნებით, ან თუ ადმინისტრაცია არ შეასრულებდა შრომის დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებას მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა დღეს მოქმედ საქართველოს კანონზე "საჯარო სამსახურის შესახებ", რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოსამსახურეს უფლება აქვს, მოითხოვოს სამსახურში აღდგენასთან ერთად იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება იძულებით გაცდენის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამდენად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნა უკავშირდება უკანონოდ დათხოვნილი მოსამსახურის უფლებას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სამსახურში აღდგენას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ვერ იმსჯელებს მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან მოსარჩელებს ქონებრივი უფლებების აღდგენა და გარანტია მიანიჭა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამ მოსარჩელების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ. წინამდებარე გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოსარჩელებს აღნიშნული უფლება არ წარმოშობიათ, ვინაიდან მოსარჩელეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული არ ყოფილა, რომელიც უფლებას მიანიჭებდა, მოეთხოვათ იძულებითი განაცდური ხელფასი სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის გამო მთელი პერიოდის განმავლობაში. მოსარჩელებს მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებმა მიანიჭეს უფლება, მოითხოვონ, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულმა პირებმა ქონებრივი უფლებების აღდგენა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გამოიხატება აგრეთვე მიუღებელ ხელფასში. მიუღებელი ხელფასის ცნებაში კი მოიაზრება ხელფასის მიღები პირის მატერიალური და ქონებრივი დაინტერესების პრინციპი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლმა განსაზღვრა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის ქონებრივი უფლებები, რომლის თანახმად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით. ამგვარი კანონი დღეის მდგომარეობით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული არ ყოფილა, რომელიც სამართლებრივ საფუძველად დაედებოდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას სასარჩელო მოთხოვნაზე.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტები სააპელაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ მათ 1992-95 წლებში მიღებული ხელფასის მოთხოვნის უფლება მიანიჭა პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებამ, რომლითაც ლეგიტიმურად იქნა ცნობილი უზენაესი საბჭოს უფლებამოსილება კონსტიტუციურ, ანუ 5-წლიან ვადაში. პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელფასის გაცემა იწყება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან და მთავრდება შესაბამისი მოწვევის პარლამენტის ან მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე. ვინაიდან პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონში არაფერი წერია უკანონოდ გათავისუფლებული დეპუტატის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, გამოყენებული უნდა იქნეს კანონის ანალოგიის პრინციპი და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 112-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც მოპასუხეები ვალდებული არიან, აპელანტებს აუნაზღაურონ ხელფასი დეპუტატებად არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

აპელანტების აზრით, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება სამსახურში გ. გ-ანის და ე. ყ-შვილის აღდგენის შესახებ. ამიტომ მათ არ აქვთ, უფლება მოითხოვონ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, ვინაიდან 2005 წლამდე 1991-92 წლების გადატრიალება შეფასებული იყო როგორც დემოკრატიული რევოლუცია, უზენაესი საბჭოს საქმიანობის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა ფასდებოდა როგორც სამშობლოს ღალატი. აპელანტების აზრით, ქონებრივი უფლებების დაცვას საერთო არ აქვს მათ მოთხოვნასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით ე. ყ-შვილისა და გ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტით და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, ე. ყ-შვილისა და გ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: რეპრესირებულთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით. ამ დებულებაში იგულისხმება რეპრესირებული პირისათვის, უპირველეს ყოვლისა იმ ქონებრივი სიკეთის დაბრუნების წესის განსაზღვრა, რომელიც მას ჩამოერთვა რეპრესიის შედეგად. პირველ რიგში ეს არის უძრავი ქონება და შემდეგ სხვა მატერიალური სიკეთეები.

კასატორების აზრით, რეპრესირებულთა ქონებრივი უფლებების აღდგენის კანონი არასოდეს არ მიიღება, ვინაიდან რეპრესირებულთა კანონის მოქმედების სივრცეში, ანუ 1921 წლიდან დღემდე პოლიტიკური რეპრესიის შედეგად ბევრმა ადამიანმა დაკარგა უძრავი ქონება და სხვა მატერიალური სიკეთე, ამიტომ ამ კანონის მიღებას დიდი სოციალური აფეთქება მოჰყვება.

კასატორები მიუთითებდნენ "რეპრესირებულთა შესახებ" კანონის მე-2 მუხლზე, რომელიც პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევს იძულების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნას.

კასატორები აღნიშნავდნენ, რომ მათ სასამართლოს წარუდგინეს რეპრესირებულად ცნობის გადაწყვეტილება, რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი უკანონოდ არიან დათხოვნილი დეპუტატის თანამდებობიდან, ამიტომ გაუგებარია, რატომ მოიაზრებს როგორც პირველი, ასევე, მეორე ინსტანციის სასამართლო სახელფასო დავალიანების ცნებას რეპრესირებულთა კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ქონებრივი უფლებების აღდგენაში და არა ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის ცნებაში, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია იმ ქონებრივი უფლებების აღდგენა, რაშიც იგულისხმება უძრავი ქონებისა თუ სხვა მატერიალური სიკეთის დაბრუნება და არა სახელფასო საკითხების გადაჭრა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ ხელფასის მოთხოვნის უფლება მათ მინიჭათ პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებამ, რომლითაც დაგმოხილ იქნა და სამხედრო გადატრიალებად შეფასდა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და უზენაესი საბჭო ცნობილ იქნა ლეგიტიმურად კონსტიტუციით დადგენილ ვადაში, ანუ 1990 წლიდან 1995 წლამდე.

კასატორების მოსაზრებით, 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით მათ ავტომატურად მიეცათ უფლება მოითხოვონ მიუღებელი ხელფასი 1992 წლიდან 1995 წლამდე, ვინაიდან არც პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონში და არც პარლამენტის რეგლამენტში არაფერი წერია უკანონოდ გათავისუფლებული დეპუტატის ხელფასის შესახებ.

კასატორები მიუთითებდნენ, რომ საფუძველს მოკლებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემდა მოსარჩელეებს მოეთხოვათ განაცდური ხელფასის სრული ოდენობით ანაზღაურება. კასატორები აღნიშნავდნენ, რომ სამხედრო გადატრიალების პირობებში მათთვის აბსოლუტურად შეუძლებელი იყო სასამართლოსათვის მიმართვა უზენაესი საბჭოს საქმიანობის აღდგენისა და, შესაბამისად, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფუნქციონირების აღდგენის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ანისა და ე. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 28.10.90 წელს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგად გ. გ-ანი აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, პოლიტიკური გაერთიანება "მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო

სიით. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სა-ხელმწიფო გადატრიალების შედეგად მოხდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საქმიანობა ვადამდე შეწყდა. გ. გ-ანს საქართველოს სამხედრო საბჭოს 02.01.92 წლის დადგენილების საფუძველზე შეუჩერდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება. დადგენილია, რომ გ. გ-ანის სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ შეხედულებებთან, რომელიც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, გ. გ-ანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შეფასდა როგორც თანამდებობიდან უკანონო დათხოვნა და ის ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად.

მეორე კასატორ ე. ყ-შვილთან დაკავშირებით ასევე დადგინდა, რომ ე. ყ-შვილი 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად, ხოლო 1992 წლის 2 იანვარს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუჩერდა დეპუტატის უფლებამოსილება. სასამართლო გადაწყვეტილებით ე. ყ-შვილი მიჩნეულია თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებულად და რეაბილიტირებულია.

საგულისხმოა, რომ კასატორები იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია მათი თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი, რაც მათ აძლევს უფლებას, მოითხოვონ თავდაპირველ უფლებებში აღდგენა და იძულებითი განაცდურის მთელი პერიოდისათვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მისი მხრიდან ექვევემ არ არის დაყენებული კასატორთა სამსახურებრივი უფლებამოსილების უკანონოდ შეწყვეტის ფაქტი, მოცემულ პირობებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს ერთადერთი გარემოება, რამდენად მართებულად მოხდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ შესაბამისი ნორმების გამოყენება და მათი კონკრეტული ურთიერთობისადმი მისადაგება.

სამართლის თითოეული ნორმა წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომლის მიხედვითაც ხდება მხოლოდ ამ ზოგადი წესის შესაბამისი კონკრეტული ურთიერთობის რეგულირება. სამართლის ნორმის სწორად შეფარდების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კონკრეტული ურთიერთობის მარეგულირებელი იმ დროისათვის მოქმედი ნორმის გამოყენება, რა დროსაც წარმოიშვა ეს კონკრეტული ურთიერთობა. რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ნორმის დროში მოქმედების საკითხს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა მოტივაციას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებამდე კასატორთა მოთხოვნას არ გააჩნდა სამარტობრივი საფუძველი, მაგრამ იმავდროულად, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მოთხოვნა განიხილოს და გადაწყვიტოს იმ საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით, რომელიც მოქმედებდა ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის.

უდავოა, რომ კასატორებს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერდათ 1992 წლის 2 იანვარს. მითითებული ფაქტობრივი გარემოება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს იმ პერიოდისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა (13.08.92 წ. შეტანილი ცვლილებით 3 თვე გაიზარდა 1 წლამდე).

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი უდავოდ ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებდა ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს, კერძოდ, უნდა არსებულიყო სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდებოდა, განსხვავებით ამჟამად მოქმედი ნორმებისაგან, რომელიც გათავისუფლების თაობაზე მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არაკანონიერებას უკავშირებს პირის უფლებას, მოითხოვოს უკანონო აქტით მიყენებული ზიანის იძულებითი განაცდურის ხაზით ანაზღაურება.

რაც შეეხება "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს, საკასაციო სასამართლო მითითებული კანონის გამოყენების ნაწილში სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მოტივაციას და იმის გათვალისწინებით, რომ კასატორთა მოთხოვნა ცალსახად არ ემყარება უშუალოდ ამ კანონის ნორმებს, საჭიროდ არ მიიჩნევს ზემოაღნიშნული კანონის ცალკეული ნორმების დამატებით ანალიზს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ანისა და ე. ყ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამუშაოზე აღდგენა;
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-627-595 (კ-09) 12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. კ-ძემ 2008 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა თანხის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელე ვ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის -2123 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით აპელანტი -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის არგუმენტი საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რამდენადაც ჩათვალა, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე და 112-ე მუხლები და დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 1 ოქტომბრის №2341-პ ბრძანებით ვ. კ-ძე რეორგანიზაციისა და შტატებით გათვალისწინებული თანამდებობათა შემცირების გამო განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ძე აღდგენილ იქნა თანამდებობაზე და მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს დაეკისრა მოსარჩელისათვის განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის

უფროსის მოადგილის წერილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ვ. კ-მის იძულებითი განაცდური 2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის სექტემბრამდე შეადგენს 2123 ლარს. სააპელაციო სასამართლო მიუთითა სააპელაციო ინსტანციაში წარდგენილ 2008 წლის 25 დეკემბრის შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივ ბარათზე, რომლითაც ვ. კ-მის ხელფასი განთავისუფლებამდე (2004 წლის 1 ოქტომბრისათვის) შეადგენდა 22 ლარს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იძულებითი განაცდური ხელფასის დაანგარიშება დაკავშირებულია გარკვეულ პერიოდთან, კერძოდ, მოიცავს დათხოვნის დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძულებითი განაცდური ხელფასი უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რომელსაც ვ. კ-მე იღებდა სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდში არსებული თანამდებობრივი სარგოს 22 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-მემ და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე და 112-ე მუხლები, რომლის მიხედვით, იძულებითი განაცდურის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს არა თანამდებობრივი სარგო ან ის საშუალო ანაზღაურება, რომელსაც მოსარჩელე იღებდა მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე, არამედ ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებდა იგი, რომ არ მომხადარიყო სამსახურიდან მისი უკანონო განთავისუფლება. კასატორი თვლის, რომ ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, რის გამოც კასატორი თვლის, რომ სასამართლომ უკანონოდ შეუზღუდა ამავე კანონის 112-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება, სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეღო პრემია და კანონით გათვალისწინებული დანამატები. კასატორი თვლის, რომ სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილის სამსახურში აღდგენა ნიშნავს იმ პირის იმ უფლებებში აღდგენას, რომელიც მას ექნებოდა იძულებით არ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც გულისხმობს იმ ხელფასის (და არა სარგოს) ანაზღაურებას.

კასატორის აზრით, სასამართლომ დაარღვია ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა საქმის წარმოების შეწყვეტას, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი, რომლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა აპელანტს არ მოუთხოვია, რის გამოც კასატორი თვლის, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნა ის, რაც არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ვ. კ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ვ. კ-მის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელე ვ. კ-მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იძულებითი განაცდურის -105.50 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 1 ოქტომბრის №2341-პ ბრძანებით ვ. კ-მე რეორგანიზაციისა და შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების გამო განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის 1 ოქტომბრის №2341-პ ბრძანება დაკავებული თანამდებობიდან მოსარჩელე ვ. კ-მის განთავისუფლების შესახებ აღიარებულ იქნა არაკანონიერად და გაუქმდა მისი შედეგი. მოსარჩელე ვ. კ-მე აღდგენილ იქნა წინანდელ ან სხვა მის ტოლფას თანამდებობაზე და მოპასუხეს დაეკისრა მისთვის იძულებითი განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 8 სექტემბრის №2332-პ ბრძანებით ვ. კ-მე იმავე წლის 8 სექტემბრიდან აღდგენილ იქნა საგადასახადო დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსური და სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს, სამეურნეო განყოფილების დამხმარე მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სააპელაციო ინსტანციაში წარდგენილი 2008 წლის 25 დეკემბრის შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის თანახმად, ვ. კ-ძის ხელფასი სამუშაოდან განთავისუფლებამდე (2004 წლის 1 ოქტომბრისათვის საშტატო განრიგის თანახმად) შეადგენდა 22 ლარს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის იძულებითი განაცდური ხელფასი უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რომელსაც ვ. კ-ძე აიღებდა სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდში - 2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის 8 სექტემბრამდე განთავისუფლების მომენტისათვის არსებული თანამდებობრივი სარგოს - 22 ლარის ოდენობით. ამიტომ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ იძულებითი განაცდურის გაანგარიშებისას თანამდებობრივი სარგოს გარდა პრემიის და კანონით გათვალისწინებული დანამატების ოდენობაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ვ. კ-ძე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანია, რის გამოც მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ, იგი როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქე არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის იძულებითი განაცდური ხელფასი თვეში 22 ლარის გათვალისწინებით 2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის 8 სექტემბრამდე შეადგენს 242 ლარს; მხარეებმა სასამართლო პროცესზე დაადასტურეს, რომ ამ თანხიდან მოსარჩელეს მიღებული აქვს 136 ლარი, ამიტომ მოსარჩელე ვ. კ-ძეს უნდა აუნაზღაურდეს დარჩენილი იძულებითი განაცდური 105 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის იძულებითი განაცდური ხელფასი თვეში 22 ლარის გათვალისწინებით 2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის 8 სექტემბრამდე შეადგენს 242 ლარს; მხარეებმა სასამართლო პროცესზე დაადასტურეს, რომ ამ თანხიდან მოსარჩელეს მიღებული აქვს 136 ლარი, ამიტომ მოსარჩელე ვ. კ-ძეს უნდა აუნაზღაურდეს დარჩენილი იძულებითი განაცდური - 105 ლარისა და 50 თეთრი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელე ვ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს იძულებითი განაცდურის - 105.50 ლარის ოდენობით ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.